საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი

# არილი

ფასი 2 ლარი

1134/2
2016




2016/მაისი
5 (247)

ფრედრიკ ჯეიმისონი

## მომავლის ქალაქი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# სარჩევი


| | | |
|---|---|---|
| კრიტიკა | 1 | თამარ შანიძე \| მაკულიტერატურა |
| ქალაქი | 11 | ფრედრიკ ჯეიმისონი \| მომავლის ქალაქი<br>*ინგლისურიდან თარგმნა თამარ ლომიძემ* |
| პოეზია | 19 | შოთა იათაშვილი |
| პროზა | 22 | ნიკოლას მაჩაბელი \| ბოროტების გზა |
| | 29 | ანიკა მექანიკური \| აღდგომის გველი \|ღმერთმა დალოცოს კომუნიკაცია |
| თარგმანი | 35 | ფარიბა ვაფი \| ქალი, რომელსაც ქმარი ჰყავდა<br>*სპარსულიდან თარგმნა მზია ბურჯანაძემ* |
| | 37 | ლექსი პროზად - მცირე ანთოლოგია<br>*ინგლისურიდან თარგმნა დალილა გოგიამ* |


გარეკანი: მამუკა ტყეშელაშვილი


# არილი

საზოგადოებრივ-ლიტერატურული ასოციაცია
"არილის" ყოველთვიური გამოცემა

The Literary Magazine "Arili"



რედაქტორები
მალხაზ ხარბედია
შადიმან შამანაძე

მხატვარი მამუკა ტყეშელაშვილი

კორექტორი ინა არჩუაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა თამაზ ჩხაიძე

პროექტის მენეჯერი ეკა ხარბედია

სარედაქციო საბჭო

რატი ამაღლობელი, ია ანთაძე, ანდრო ბუაჩიძე,
ლაშა ბუღაძე, თამაზ ვასაძე, გიორგი კეკელიძე,
ზურაბ კიკნაძე, ვასილ მაღლაფერიძე,
ზვიად რატიანი, ჯიმშერ რეხვიაშვილი,
ირაკლი სამსონაძე, გულსუნდა სიხარულიძე,
ბაკურ სულაკაური, ირმა ტაველიძე,
ქეთი ქანთარია, პაატა შამუგია, ზაზა ჭილაძე.


არილი - დასასვენებელი სიმწინდეთა

სულხან-საბა

არილი - მზის შუქი, რამეზე დამდგარი

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

არილი - თანამედროვე ქართული ლიტერატურის მარილი

ხალხური


ელექტრონული ფოსტა: info@arilimag.ge
ვებგვერდი: arilimag.ge



გამოდის 1993 წლიდან



© ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების გამოყენება "არილის" რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია



ჟურნალი გამოდის
საქართველოს კულტურისა და
ძეგლთა დაცვის სამინისტროს
ფინანსური მხარდაჭერით


მწერალთა
სახლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამარ შანიძე

# მაკულიტერატურა



ბოლო წლებში ქართული ლიტერატურული თარგმანი აღმავლობის გზაზეა. ყოველ შემთხვევაში, რაოდენობრივად მაინც, რაზეც წიგნის მაღაზიებში არსებული მსოფლიო ლიტერატურის კლასიკის და თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურის ქართული თარგმანების რაოდენობა მეტყველებს. ამ თარგმანების ძალიან დიდ ნაწილს „პალიტრა-L" გამოსცემს. სწორედ ამ გამომცემლობამ გამოაქვეყნა „მსოფლიოს რჩეული მოთხრობების" სერიით ინგლისელი მწერლის ოლდოს ჰაქსლის მოთხრობები, მწერლის, რომლის მიმართ განსაკუთრებული ინტერესი და დამოკიდებულება მაქვს.

კრებულში შესულია ორი მოთხრობა - „ფეიერვერკის შემდეგ" და „სამკურნალო დასვენება". პირველი მოთხრობის პირველი აბზაცის წაკითხვისთანავე ცხადი ხდება, რომ თარგმანი ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. ტექსტის გარკვეული რაოდენობის წაკითხვის შემდეგ კი დამებადა აზრი, რომ გამომცემლობას შეეშალა და შემთხვევით რედაქტირებული ვერსიის ნაცვლად დაუმუშავებელი ტექსტი გამოაქვეყნა (თუმცა ასეთი ხარისხის დაუმუშავებელი ტექსტიც წარმოუდგენელია) და თანაც ისე, რომ ეს პუბლიკაციაზე პასუხისმგებელი თანამშრომლებიდან არავის შეუმჩნევია. სხვა შემთხვევაში გამომცემლობა, რომელიც მკითხველს პატივს სცემს და საკუთარ რეპუტაციას უფრთხილდება, წიგნის დაბეჭდილ პარტიას მაღაზიებიდან ამოიღებდა და მკითხველს თარგმანის რედაქტირებულ ვარიანტს შესთავაზებდა.

თარგმანის მოწონება-არ მოწონება ხშირად გემოვნების საკითხია და ის, რაც ერთი მკითხველისთვის მისაწონია, მეორისთვის შეიძლება მიუღებელი აღმოჩნდეს. დაბალი ხარისხის თარგმანი არსებობდა და ყოველთვის იარსებებს, ამ წიგნში კი უაღრესად დაბალი ხარისხის თარგმანის მაგალითია ყოველი მეორე წინადადება, ყველა თუ არა. მოკლედ, თამამად შემიძლია ამ თარგმანს ბოდვა ვუწოდო. გარდა იმისა, რომ გაუმართავი წინადადებების გამო აზრის გამოტანა ძალიან ძნელია, ინგლისურ ტექსტთან შედარებისას ისიც აშკარა ხდება, რომ ბევრი სიტყვის, ტერმინის და წინადადების აზრი მთარგმნელს არ ესმის, დამახინჯებულად ან სრულიად საპირისპირო მნიშვნელობით აქვს გადმოცემული. წიგნის კითხვისას ჯერ გაოცება გიპყრობს, მერე თმები ყალყზე გიდგება, მერე სიცილით კვდები, ბოლოს კი ბრაზით ივსები, რომ შენ, როგორც მკითხველს, ასე გეპყრობიან - უბრალოდ, დაგცინიან! და გატყუებენ, რადგან თარგმანში უამრავი ისეთი წინადადებაა, რომელთა შინაარსს საერთო არაფერი აქვს ორიგინალში არსებული შესაბამისი წინადადების შინაარსთან. ინგლისურის და ქართულის არცოდნა და სრული დაუდევრობა აშკარაა. თვალში საცემია ასევე არაპროფესიონალიზმის კიდევ ერთი გამოხატულება - მთარგმნელს, რედაქტორს და ორ სტილისტ(!)-კორექტორს(!) თავი იმითაც კი არ შეუწუხებიათ, რომ ლექსიკონში მაინც გადაემოწმებინათ გეოგრაფიული და საკუთარი სახელების ქართული შესატყვისები, ზოგიერთი ისეთი, რომლის სწორი ქართული ფორმა საშუალო სკოლის მეექვსე-მეშვიდეკლასელისთვისაც ლექსიკონში ჩაუხედავად არის კარგად ცნობილი. მაგალითები:

- უფიზში – (და არა „უფიციში") იგულისხმება გალერეა „უფიცი" (გვ. 9)
- მონტრეუქსი - ქ. მონტრე (Montreux) (გვ. 9)
- პიაზა დი სპანგა - ესპანეთის მოედანი (Piazza di Spagna) (გვ. 12)
- ვია დელ ბაბუინი/ბაბუინის ქუჩა - ვია დელ ბაბუინო (გვ. 20)
- რასტიგნაკი – Rastignac- რასტინიაკი (გვ. 26)
- ტიბერი / ტაიბარი - Tiber - მდ. ტიბრი/ტიბროსი (გვ. 28)
- ტანგანაიკი - ტანგანიკი (გვ. 30)
- ტუსკანი - Tuscan - ტოსკანა (გვ. 40)
- ტუსკანები - Tuscans - ტოსკანელები (გვ. 40)
- რაბელაისმა - Rabelais - რაბლემ (ანუ ფრანსუა რაბლემ) (გვ. 55)
- ჯულიას ვილა - Villa Giulia - ვილა ჯულია (ეროვნული მუზეუმი) (გვ. 61)
- ბერნინთან - ბერნინისთან (გვ. 71)
- მაილოლი - Maillol – მაიოლი (გვ. 71)
- ქენისი - Cannes - ქ. კანი (გვ. 74)
- ტივოლში - to Tivoli - ტივოლიში (გვ. 91, 97)
- ბორგესის ვილა - Villa Borghese - ვილა ბორგეზე (გვ. 91 )
- პინკიანის მთა, პინკიო - Pinician hill, Pincio - პინჩოს ბორცვი, პინჩო (გვ. 93, 96)
- დომიერი - Daumier – (ონორე) დომიე (გვ. 113)

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

| გვ. | თარგმანი | ორიგინალი | შენიშვნები |
|---|---|---|---|
| 4 | დაიხსომე [უილბურ ფ. შმალცის თავაზიანობა] | mark you. [Wilbur F. Schmalz's dear]. | [mark you - ყურადღება მიაქციე, აღნიშნე] |
| 5 | დათვი-ლიდერი | bearleader | გუვერნიორი, მეგზური (ახალგაზრდა მამაკაცის თანმხლები)<br>[აქ ინგლისურ ტექსტში არის სიტყვების თამაში, რაშიც გამოყენებულია სიტყვა bear] |
| 6 | ...განსაკუთრებულ შემთხვევაში | ...in singular | მარტო, დამოუკიდებლად |
| 7 | ჯადი თავის მისიონურ ძალებს იკრებდა, სანამ მისი ამხანაგი ასაკში შედიოდა, ან ავადმყოფობდა. | Judd was reserving his missionary efforts till his friend should be old or ill. | ჯადი მისიონერის ძალისხმევას იმ დროისთვის ინახავდა, როცა მისი მეგობარი დაბერდებოდა, ან დაავადდებოდა. |
| 7 | გასაოცარია, გასართობი, მაგრამ შენ რამ აგაფეთქა! - უთხრა ფანინგმა. | Amazed, amused, "But what an outburst!" said Fanning | |
| 7 | მიზიდულობის რაიმე სასწაული | Miracle of grace | ღვთის წყალობის სასწაული |
| 7 | მართლა გამძაგებული ვიყავი | Was I right? | მართალი ვიყავი? |
| 9 | ეს გახლავთ ისტორიის ბუნებრივი ნაწილი | It's a piece of natural history | |
| 11 | საყვედურობდა დაუფარავად, ექსპლოატატორულად | reproached him with being an exhibitionist, shameless, a self-exploiter | ...ექსჰიბიციონიზმში, უსირცხვილობაში და თვითრეკლამირებაში სდებდა ბრალს |
| 12 | შენ ყველაფერს მორალურად ითხოვ | You take everything so moralistically | შენ ყველაფერს მორალისტის პოზიციიდან აფასებ |
| 12 | მაგრამ ძნელია განზრახ რამის კეთება | But people do hardly anything on purpose. | მაგრამ ადამიანი განზრახ თითქმის არაფერს აკეთებს. |
| 12 | ისინი ისე იქცევიან, როგორც უნდათ, რადგან თავის შეკავება არ ძალუძთ; ამიტომაც რაც შეემთხვევათ, მოსწონთ. | They behave as they do because they can't help it; that's what they happen to be like. | ისინი იქცევიან ისე, როგორც იქცევიან, რადგან სხვაგვარად არ შეუძლიათ; როგორც ჩანს, ასეთები არიან. |
| 14 | იოანესა და ბაპტისტს თავიანთი მესიის შესრულებისთვის | for playing John the Baptist to their Messiah | [ჯერ ერთი, თუ შესრულებაზეა ლაპარაკი, უნდა იყოს „მისია", და არა „მესია". მაგრამ ორიგინალში მისიის შესრულებაზე ლაპარაკი საერთოდ არ არის. ჯონი და ბაპტისტი ორიგინალის მიხედვით ყოფილა იოანე ნათლისმცემელი (John the Baptist), „შესასრულებელი" „მესია" კი - ქრისტე (Messiah)] |
| 15 | მგრძნობიარე თვალები მისი მშვენიერების გამომსახველი იყო, მაგრამ ამჯერად იგი ოსტატურად უარყოფილი გახლდათ. | To a sensitive eye, the beauty of his expression was, on these occasions, subtly repulsive. | ასეთ შემთხვევებში მგრძნობიარე/გამოცდილი თვალისთვის მისი გამომეტყველების მომხიბვლელობა ოდნავ უსიამოვნო იყო. |
| 18 | მოქმედება ... ჩვენს რწმენას აღემატება. | act up to our beliefs | მოქმედება ჩვენი რწმენის შესაბამისად |
| 19 | ეჭვი მეპარება, ოდნავ მაინც იყო მართალი | I don't see that you have the<br>smallest right | არა მგონია, სულ მცირე უფლება მაინც გქონდეს |
| 19 | ფანინგს ჰქონდა რაღაც ბუნდოვანი მიზეზი, უცებ დაეწია ხმისთვის უკანასკნელ სიტყვებზე. | He had been for some obscure reason suddenly depressed by his own last words. | რაღაც გაუგებარი მიზეზის გამო ფანინგი უცებ თავისი უკანასკნელი სიტყვებით დაითრგუნა. |
| 21 | შენ დაჟინებით ეტარტრებოდი მას | You stuck out your tongue at her | შენ მას ენა გამოუყავი |
| 29 | პამელამ დროულად უყარა კენჭი ადგილობრივ კოლორიტს. | Pamela duly voted for local color. | პამელამ სწორი არჩევანი გააკეთა ადგილობრივი კოლორიტის სასარგებლოდ. |
| 30 | დოდომ ოდნავ გაიღიმა. ... ფანინგი მგრძნობიარედ იცინოდა, შემდეგ უცებ შეცვალა საუბრის საგანი. | Dodo only faintly smiled; ... Fanning was sensitive to smiles; he changed the subject. | დოდომ ოდნავ შესამჩნევად გაიღიმა. ... ფანინგი ყოველთვის მგრძნობიარე იყო ღიმილის მიმართ/რეაგირებდა ღიმილზე; მერე თემა შეცვალა. |
| 30 | სანამ შენ მათ სახლში ნადირობ. | While you hunt them at home. | სანამ შენ სახლში ნადირობ მათზე. |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | |
|---|---|---|---|
| 30 | დიახ, ძვირფასო მასწავლებელო | Oui, chre maitresse | დიახ, ჩემო საყვარელო [ნაცვლად თარგმანისა „დიახ, ჩემო საყვარელო" (Oui, chre Oui, chre maitresse) არის „დიახ, ძვირფასო მასწავლებელო" [შეცდომით არის ნახმარი სიტყვის „maitresse" (ფრ). „mistress" (ინგ) მეორე მნიშვნელობა - „მასწავლებელი"), რის გამოც აზრს კარგავს შემდეგი წინადადება: „სინამდვილეში მაილსს დოდო ამ მხრივ არასოდეს აინტერესებდა, რადგან საკმაოდ უტემპერამენტო იყო."] |
| 31 | უნდა მომილოცო, რომ ჩინებულ გრძნობაზე ვარ | You ought to congratulate me on my immense good sense | უნდა მომილოცო, რადგან უაღრესად კეთილგონიერი ვარ |
| 31 | მან იცოდა, როგორ უვნებელეყო ახლა თავი | Now that he knew himself safe, | ახლა, როდესაც იცოდა, რომ უსაფრთხოდ იყო / ახლა, როდესაც თავი ქუდში ჰქონდა |
| 31 | რა გტანჯავს, ჩემო საწყალო მგრძნობიარე დოდო, რატომ უნდა იყო მოწყენილი | What you must have suffered, my poor sensible Dodo, what you must have missed | რა ტანჯვა უნდა გადაგეტანა, ჩემო საწყალო კეთილგონიერო დოდო, რას უნდა ასცდენოდი |
| 31 | -ტანჯვა ცოტაა, -უპასუხა მან, ხოლო მოსაწყენი ქალები გაცილებით არასასიამოვნონი არიან, ვიდრე უგრძნობი ქალები. | "Suffered less," she answered, "and missed more unpleasantnesses than the women who didn't have the sense to say no." | „ნაკლები ტანჯვა გადავიტანე", უპასუხა მან, „და ავცდი მეტ უსიამოვნებას, ვიდრე ის ქალები, რომლებსაც არ ჰქონდათ კეთილგონიერება „არას" სათქმელად." |
| 31 | და როგორც ნამდვილად საეკლესიო ხალხი ვარაუდობს, ყველაფერი პირვანდელ მდგომარეობას უბრუნდება. | And as for the really spiritual people, look what they revert to. | რაც შეეხება ნამდვილად მაღალი სულიერების ადამიანებს, ნახეთ, რა [საკითხს] უბრუნდებიან ისინი. |
| 34 | -მასადილებ თუ არა, ძვირფასო? ... | "Should I be dining here with you, my dear, if I weren't?" | - რომ არ ვიყო, განა აქ ვიქნებოდი ახლა სადილზე შენთან ერთად? |
| 34 | ისინი საკუთარ თავსაც ტილივით ესხმიან თავს. | They attach themselves like lice. | ისინი ტილებივით ეკვრიან. |
| 34 | ამიტომაც მან მთელი ტუნისის გზა გამოიარა | That was why she'd come all the way to Tunis | სწორედ ამიტომ დიდი გზა გამოიარა ტუნისამდე |
| 36 | სულიერი ცდუნება ამ ასაკში სულაც არ არის ისეთივე, როგორიც თხუთმეტი, ოცი, ოცდახუთი წლის მერე. ის თავს არ გაბეზრებს მისტიციზმით... | the spiritual vamp who's come of age this year is not at all the same as the spiritual vamp who came of age fifteen, twenty, twenty-five years ago. She doesn't bother much about Mysticism ... | სულიერად ამაღლებული ვამპი [იგულისხმება „საბედისწერო ქალი"], რომელიც წელს სრულწლოვანი გახდა, სულაც აღარ ჰგავს სულიერად ამაღლებულ ვამპს, რომელიც სრულწლოვანი თხუთმეტი, ოცი, ოცდახუთი წლის წინ გახდა. ის თავს დიდად არ იწუხებს მისტიციზმით ... |
| 36 | მათი ინდივიდუალობისა და სულიერი გრძნობების შეკავების ქვეცნობიერებაზე | Their Individualities, their Souls, their Inhibitions, their Unconsciouses ... | მათი ინდივიდუალობა, მათი სულები, მათი კომპლექსები, მათი ქვეცნობიერი... |
| 37 | ნარმოსახვით ბავშვობიდანვე განაჩენგამოტანილია | The worst guide imaginable, to judge from the child's account | ყველაზე უარესი ორიენტირი, რომლის წარმოდგენაც კი შეიძლება, თუ ბავშვის თვალსაზრისით ვიმსჯელებთ |
| 38 | -ვინც მთლიანად ამიკრძალა შენი თავი, თქვა აღელვებულმა დოდომ. | "Whom I absolutely forbid you," said Dodo emphatically, "to . . ." | -ვისაც, მკაცრად გიკრძალავ, რომ ... - თქვა დოდომ ხაზგასმით. |
| | მან ქარაგმული ლაპარაკი დამიწყო, უპასუხისმგებლოდ თუ პასუხისმგებლობით | she started ... by being a riddle to me. Unanswerable, or rather answerable, | |
| 41 | -სხვის ნაცვლად დადიხარ კრამიტებზე, ეჰ? | "Going on the tiles vicariously, eh?" | |
| 41 | თუ შენ არჩევ, ვრცლად და მარტივად დადო... | Well, if you choose to put it grossly and vulgarly. . . . | თუ გირჩევნია სათქმელი უხეშად, ვულგარულად გამოხატო ... |
| 41-42 | რასაც ვარჩევ, ჩაურთო მან, იქნება ტაქტიანი და სათანადოდ მარტივი... | Which I do choose/" he interposed. 'To be tactfully gross and appositely vulgar... | -სინამდვილეში ის მირჩევნია, ჩაურთო მან, ვიყო მოზომილად უხეში და გარემოების შესაბამისად ვულგარული... |
| 43 | -კურდღლებზე მონადირე/ -არა, გონიერი კაცი. ასეთებს მე ვაგროვებ. | "A rabbit-shooter?" Fanning asked. "No: an intellectual. That's what I gathered." | -კურდღლებზე მონადირე/ -არა, ინტელექტუალი. როგორც მივხვდი. |

ბიბლიოთეკა

| | | | |
|---|---|---|---|
| 44 | მაგრამ ჩანდა, ეს ფოტოსურათი გაკეთებული იყო დამნაშავის შენახვის პირობით. | But it appears that photography is done under the seal of confession. | როგორც ჩანს, ფოტო აღსარების საიდუმლოს პირობით არის გაკეთებული. |
| 45 | მე მას მიდასს ვამსგავსებ, იგი თავის წარმოსახვაში რასაც ხელს შეახებდა, აუცილებლად რომ გარდაიქმნებოდა. | I see her as a king of Midas, turning everything she touched into imagination. | კლერს მეფე მიდასად აღვიქვამ, რადგან ის წარმოსახვად აქცევს ყველაფერს, რასაც ეხება. |
| 45 | "რამხელა პასუხისმგებლობაა"! „რომლის მიღებასაც მთლიანად უარვყოფ. | "What a responsibility!" "Which I absolutely refuse to accept. | [უნდა იყოს (პასუხისმგებლობის) „აღება", და არა „მიღება"] |
| 46 | როცა ისინი ცდილობენ მიბაძონ მას ან მისი თხზულების გმირებს, ყველაფერი, რაც კი ოდესმე გაუკეთებიათ, არის მათი საკუთარი პოტენციური როლის მოქმედება. | And when they try to imitate him or his creations, all that they can ever do is to act one of their own potential roles. | და მწერლის ან მისი გმირების მიბაძვისას ყველაზე მეტი, რის გაკეთებასაც [ოდესმე] შეძლებენ, ერთ-ერთი შესაძლო საკუთარი როლის შესრულებაა. |
| 48 | საცოდავმა ბავშვმა იცის ეს, რაც ჯვარს აცვამს მასაც. | And, poor child, she knows it. Which makes her so cross with herself. | საცოდავი ბავშვი, მან ეს იცის. და ამის გამო ძალიან ბრაზობს საკუთარ თავზე. |
| 48 | ...სულაც არ აპირებს დამთავრებას... | ...it's not going to contain... | [კონტექსტიდან აშკარაა, რომ აქ ლაპარაკია ისეთ რამეზე, რომელიც (ფელეტონში) არ შევა; contain - შესვლის, შეტანის მნიშვნელობით არის ნახმარი] |
| 48 | მეტი საქმე არ მაქვს | I think of nothing else | მეტზე არაფერზე ვფიქრობ |
| 49 | თუ ერთხელ მაინც მოხვდი ზღვაზე, დიდ სახლში, სასიამოვნოდ აღარ მოგეჩვენება შინ, პატარა მინის ვაზაში ყოფნა. | when you've once been at home in the sea, it doesn't seem much fun being at home in a little glass bowl. | როდესაც ერთხელ გამოცდილი გაქვს ზღვაში ყოფნის თავისუფლება, პატარა მინის თასში ყოფნა თავისუფლებად აღარ მოგეჩვენება. |
| 52 | ეს გრიპივითაა. თქვენ იჭერთ მის ინტელიგენტურობას. | He's like influenza: you catch his intelligence. | ის გრიპივითაა: თქვენ ავადდებით მისი გონებით/ინტელექტით. [სიტყვების თამაშია - "catch cold" - გაცივება] |
| 54 | ...და ბეჰემოთის მსგავსნი რომ ყბედობენ მომსახურებასა და მოვალეობაზე... | ...Hippo rigamarole about service and duty... | ... ფარისევლებისგან თავის მობეზრება სამსახურსა და მოვალეობაზე ლაპარაკით... [კონტექსტიდან აშკარაა, რომ „hippo" ნიშნავს ფარისეველს - „hypocrite", და არა ბეჰემოთს.] |
| 55 | | "which I pretended I'd read | ეს წინადადება გამოტოვებულია |
| 55 | ეს სრულყოფილია იქამდე, სანამ შენი ბედი იმ საგნებივით მოგწონს, რომლებსაც ციხის გისოსების მარჯვენა მხარეს ინახავ და ფიქრობ იმ საგნებზე, რომლებიც ვერ იპოვე მკვლელობის ჩადენით. მე ვუთხარი, რომ ვამბობ იმას, რასაც ვფიქრობ და ვაკეთებ, რაც მომწონს და უმალ მკვლელი გავხდები, და ციხეში ჩავჯდები, ვიდრე ბეჰემოთად ვიქცევი. | it was perfect, so long as you had the luck to like the sort of things that kept you on the right side of the prison bars and think the sort of things that don't get you murdered when you say them. And. I said I'd rather say what I thought and do what I liked and be murdered and put in jail than be a Hippo, ... | ეს ძალიან კარგი იყო იმდენად, რამდენადაც გაგიმართლა და უპირატესობას ანიჭებდი ისეთ საქციელს, რომლის გამო ციხეში არ მოხვდებოდი [სიტყვასიტყვით - ციხის გისოსებს აქეთ იქნებოდი], და ფიქრობდი ისე, რომ ამ ფიქრების გამოთქმის გამო ვიღაც არ მოგკლავდა. მე კი ვუთხარი, ფარისევლობას ის მირჩევნია, ვთქვა, რასაც ვფიქრობ და ამისათვის მომკლან ან ციხეში ჩამსვან-მეთქი, ... [აქაც, როგორც 54-ე გვერდზე, კონტექსტიდან აშკარაა, რომ „hippo" ნიშნავს ფარისეველს „hypocrite", და არა ბეჰემოთს.] |
| 55 | მთლიანად ის ვარ, ვისაც არ უნდა ჩახშობით გაგიჟდეს. | Someone who didn't want to go mad with inhibitions. | ვიღაც, ვისაც არ სურს თავშეკავებამ გააგიჟოს. |
| 55 | ... აფუსფუსდა ჩემოდნებში | she bustled about ... among her trunks. | |
| 56 | არასოდეს უგრძვნია თვალის გამოცდა, როცა ყველა მას უყურებს განსჯით და კრიტიკულად, ის იტანჯებოდა მწუხარებით. | she never felt quite eyeproof; she could never escape from the obsession that everyone, was looking at her, judging, criticizing. | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | |
|---|---|---|---|
| 56 | მაგრამ ჰოლი სავსე იყო მოწყენილთვალებიანი და სახიანი უცხოელებით | But the hall was a desert of alien eyes and faces | ჰოლი კი იყო უცხო თვალებით და სახეებით სავსე უდაბნო |
| 57 | პამელა კი ვიღაცას ღალატობდა | ...she was betrayed into what,... | [ის კი არ ღალატობდა, მას უღალატეს] |
| 57 | აქტიური მაილს ფანინგის! | actually Miles Fanning! | |
| 58 | იგი კმაყოფილი იყო თავის თავისა, რადგან უყურადღებობა იქნებოდა, პამელას მოწყენილობა რომ არ ეხსენებინა. | His sympathy hypocritically covered a certain satisfaction that it should be his absence that had condemned her to dreariness. | მისი თანაგრძნობა ფარისევლურად ნიღბავდა აშკარა კმაყოფილებას იმის გამო, რომ პამელას უგუნებობის მიზეზი სწორედ მისი არყოფნა უნდა ყოფილიყო. |
| 58 | ამ გასაღებით ბოდლერი თავის გულს გახსნიდა. | With this key Bowdler locked up his heart. | [Lock up - დაკეტვა, ჩაკეტვა] |
| 61 | იმეორებდა იგი თითქმის მრისხანედ | she repeated truculently | გაიმეორა მან გამომწვევად/უკმეხად |
| 61 | | Truthfully now I mean without any hippoing and all that why shouldn't I neglect it? | ეს წინადადება თარგმანში საერთოდ გამოტოვებულია, ეტყობა ამ „hippoing"-ის გამო. ეტყობა მთარგმნელს ამ კონტექსტში „ბეჰემოთი" აღარ მოეწონა. |
| 62 | მაინც არ ვნახავ. | I still don't see. | მაინც ვერ ვხედავ. |
| 62 | იმიტომ, რომ არასოდეს იცნობდი კულტურულ ხალხს | Because you've never known people who weren't cultured | რადგან შენ არასოდეს იცნობდი უკულტურო ხალხს [სიტყვასიტყვით: „არასოდეს იცნობდი ხალხს, რომელიც არ იყო კულტურული" - ანუ თარგმანის მნიშვნელობა ორიგინალის სრულიად საპირისპიროა.] |
| 62 | ისინი გიჩვენებენ კულტურის ადგილს ზუსტად ისე, როგორ საჰარა გიჩვენებს წყლის ადგილს და სწორედ ამ მიზეზის გამო მოურწყავია. | they'll make you see the point of culture. Just as the Sahara'll make you see the point of water. And for the same reason: they're arid. | [აქ "point" ნიშნავს „მნიშვნელობას", და არა „ადგილს".] |
| 63 | | "En tout bien, tout honneur. At least, sometimes and to begin with. | გამოტოვებულია<br>ყველაზე კეთილშობილი ზრახვებით, ზოგჯერ მაინც, და დასაწყისისთვის.<br>["En tout bien, tout honneur" - with the most honorable intentions] |
| 63 | პამელას ქუდი უნდა მოერგო. რა მომხიბვლელი პატარა თავი აქვს! | Pamela might be made to feel that the cap fitted. Which it did, except that her little head was such a charming one. | პამელასთვის შეიძლება ეგრძნობინებინა, რომ ქუდი მოერგო. რაც ასეც იყო, თუ იმას არ ჩავთვლიდით, რომ მისი პატარა თავი ასეთი მომხიბვლელი იყო. [„cap fitted" - „ქუდის მორგება" - აქ სიტყვების თამაშია; to fit the cap on = შენიშვნის თავის თავზე მიღება; „ქუდის მორგება" გადატანითი მნიშვნელობით არის ნახმარი და პამელას მიერ სხვისი მისამართით გაკეთებული შენიშვნის საკუთარ თავზე მიღებას ნიშნავს. <http://dictionary.ge/ka/word/cap%C2%B9+I/?h=cap+fits> |
| 66, 57 | აპოლონ ბელვედერელი | Apollo of Veii | ვეის აპოლონი [(ეტრუსკული ქალაქი ვეი Veii); აპოლონ ბელვედერელი და ვეის აპოლონი ორი ერთმანეთისგან ძალიან განსხვავებული ქანდაკებაა. ტექსტში ასევე მოხსენიებულია ვეის აპოლონის ავტორი ვულკა, თუმცა მთარგმნელი ამ ქანდაკებას რატომღაც მაინც ბელვედერელს უწოდებს.] |
| 68 | შენ დაუძლეველი ხარ, პამელა! | You're irresistible, Pamela." | შეუდარებელი ხარ, პამელა! [irresistible] |
| 68 | ასე რომ ის აქ იყო, ახალდაღდასმული, განახლებული და აპოკალიფსისებური, წარსულის გარეშე... | So there it was, a brand-new experience, a new and apocalyptic voice out of the past. | და ის აქ იყო, სრულიად ახალი განცდის გამომწვევი, ახალი და აპოკალიფსური ხმა წარსულიდან. [„brand new" თარგმნილია, როგორც „ახალდაღდასმული", როგორც ჩანს, სიტყვიდან "brand" - მანთი დამღა] |
| 69 | სწორედ ეს დავინახე მასში ომის შემდეგ - ყველა საგნის აპოთეოზის და ლოგიკური დასკვნისთვის როდი დგას აქ აპოლონი. | It was just after the War that I first saw him - just after the apotheosis and the logical conclusion of all the things Apollo didn't stand for. | სწორედ ომის დამთავრების შემდეგ ვნახე ის პირველად - სწორედ იმ ყველაფრის აპოთეოზის და ლოგიკური დასასრულის შემდეგ, რის სიმბოლოც აპოლონი არ იყო. |

| | | | |
|---|---|---|---|
| 70 | ბერძნებს არ შეეძლოთ დაენახათ, რომ ღვთაებრივი შეუსაბამობა ისეთივე ნათელია, როგორც ეტრუსკები. | The Greeks didn't see that divine absurdity as clearly as Etruscans. | ბერძნები არ აღიქვამდნენ იმ ღვთაებრივ აბსურდულობას ისე ნათლად, როგორც ეტრუსკები. |
| 71 | ისინი ყველანი აცდუნეს | They've all allowed themselves to be lured away. | ყველამ მისცა თავს უფლება, რომ ისინი ვიღაცას ეცდუნებინა |
| 71 | სულიერი ამაღლებულობის და ჰეროიკის შემდეგ მეძაობა გამოგვიგზავნა, მეძაობა ზიზღისა და ცოდვის სანაქებო დამონების შემდეგ | sent us whoring after spirituality and heroics, whoring after the complementary demons of disgust and sin. | გვაიძულა გამოვდევნებოდით სულიერებას და გმირობას, გამოვდევნებოდით ზიზღის და ცოდვის დანყვილებულ დემონებს. [whore ნახმარია არასწორი მნიშვნელობით. ამ კონტექსტში არის whore after - რაღაცას გამოდევნება, და არა whore - მეძავი] |
| 72 | ქარვასლის ქვეშ გრძელი სკამი იდგა | Under the arcades was a bench | თაღოვანი გალერეის ქვეშ გრძელი სკამი იდგა |
| 74 | მე მომიხდა ძლძუთა ბავშვთა სახლში, ქენისში წასვლა სიმშვიდის მოსაპოვებლად. | I had to go to a nursing home in Cannes to get disintoxicated | სანატორიუმში მომიხდა წასვლა, კანში, დეზინტოქსიკაციის ჩასატარებლად. |
| 76 | შენ პატარა ჰიპოკრატე ხარ | You little hypocrite | შენ პატარა ფარისეველი ხარ [ჰიპოკრატე - hypocrite-ის კიდევ ერთი მნიშვნელობა ბეჭემოთის შემდეგ] |
| 78 | ეს მთაზე წამოსკუპებული სათამაშო სასახლე პაპის მხარეს | that toy palace perched on the hill beyond was the Pope's | მოშორებით მთაზე მდგარი ის სათამაშო სასახლე პაპის სასახლე იყო |
| 81 | მოურიდებელი სიცელქე ზეიმობდა პაჭულას სახეზე. | An expression of impertinent mischief chased away the solemnity from her face. | მის სახეზე სერიოზული გამომეტყველება მოურიდებელმა სიცელქემ ჩაანაცვლა. |
| 82 | პენი და სირინქსი | Pan and Syrinx | [„პანი" - ძველი ბერძნების მესაქონლეობის ღმერთი] |
| 83 | უნდა აკეთო ის, რაც მოგწონს, სიწმინდიდან ზიზღისკენ, ჩვეულებრივი სიტყვების ალწერით. | You could make any action seem anything you liked, from saintly to disgusting, by describing it in the appropriate words. | ნებისმიერი საქციელი შეიძლება წარმოაჩინო შენთვის მოსაწონად - როგორც სიწმინდე, ისე საზიზღრობა - ამ საქციელის შესაბამისი სიტყვებით აღწერით. |
| 84 | კათოლიკე ამხანაგის სახლში ცხოვრობს ... მოსწონს მისი ცხენის პირიდან ნათქვამი პაპური გულწრფელობა. | lives in a house belonging to a friend of his who is a Catholic and ... he likes to get his popery straight from the horse's mouth | [„straight from the horse's mouth" - სანდო წყაროდან, პირველწყაროდან. „popery" - პაპიზმი, კათოლიციზმი;] იგულისხმება, რომ მას უნდა კათოლიციზმის შესახებ ინფორმაციის პირველწყაროდან მიღება.] |
| 86 | ჰუმანური ურთიერთობები | human relationships | ადამიანური ურთიერთობები |
| 86 | რაც ისე ცუდად მხდის, როგორც მათხოვარს | ... which made me wretched | რამაც შემანუხა |
| 87 | ...პირველად მესმის, რომ ორმოცდაათი წლის დაქირავებული მოცეკვავე უკანვე გაიწვია ოცი წლის ქალიშვილმა | ... it was the first time he'd heard of a gigolo of fifty being taken out by a woman of twenty. | ...პირველად გაიგო ორმოცდაათი წლის ჟიგოლოს შესახებ, რომელსაც ოცი წლის ქალიშვილი იწვევდა/ირჩევდა. |
| 87 | ...თამაშობს თითებით რიცხვის დასახელების მატჩს... | ...playing that game of sticking out your fingers and calling a number... | [თამაში თითების ჩვენებით და რიცხვების დაძახებით; მატჩი არაფერ შუაშია;- https://en.wikipedia.org/wiki/Morra-(game)] |
| 87 | ...რისი თქმაც შემეძლო, თავი უნდა დამეცვა... | What I'd have liked to say, only I didn't, was that I don't want to be defended, | მინდოდა მეთქვა, არ მსურს ვინმემ დამიცვას-მეთქი, მაგრამ არ ვთქვი |
| 87 | | making stupid jokes about gigolos and old gentlemen. | გამოტოვებულია |
| 87 | არადა, დარწმუნებული ვარ, ის სულ მითვალთვალებს, ზოგჯერ გზიდან მიყურებს, | Because I think he really does rather care underneath - from the way he looks at me sometimes | რადგან, ვფიქრობ, მას მართლა ვუყვარვარ გულის სიღრმეში - ისე მიყურებს ხოლმე ხანდახან |
| 88 | ...დაემსგავსები მამიდა ედიტს თვალთმაქცობაში და მოკვდები მასში. | ...one becomes like Aunt Edith, hippoish and dead inside. | ...ადამიანი ემსგავსება მამიდა ედიტს, ფარისეველსა და უგულოს. [მხოლოდ ამ წინადადებაშია „hippoish" სწორად ნათარგმნი] |
| 90 | დისპიაცერე დი ფამიგლია | dispiacere dz famigfia | ოჯახური მწუხარება [ჯობდა იტალიურად დატოვება, როგორც ორიგინალში] |
| 91 | პირველი გამოფენაა ომის შემდეგ | first Girandola since the War | პირველი გირანდოლა/ჟირანდოლი/მბრუნავი ფეიერვერკი ომის შემდეგ [Girandola - მბრუნავი ფეიერვერკი; 92-ე გვ-ზე Girandola საერთოდ გამოტოვებულია] |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | |
|---|---|---|---|
| 91 | ეს ერთხელ კიდევ გვიჩვენებს, რა გახრწნილი ბეჰემოთიზმი არსებობს. | which shows again what rot hippoism is. | ეს კიდევ ერთხელ გვიჩვენებს, თუ რა არის დამპალი ფარისევლობა /თვალთმაქცობა. [გვ-88-ზე ეტყობა „გაეპარათ" „თვალთმაქცობა" „ბეჰემოთიზმის" ნაცვლად] |
| 92 | ეს საძაგელი გრძნობების გაღიზიანება! | This hateful bantering with feelings! | გრძნობების ეს საზიზღარი დაცინვა! |
| 92 | განიერი ბეჭების მუქარით იგერიებდა ბრბოს | he fended off the menacing lurch of a large back. | მან მოიგერია განიერი ზურგი, რომელიც ის-ის იყო უნდა დასცემოდათ/მან მათკენ გადმოხრილი განიერი ზურგი მოიგერია. |
| 92 | საშინელმა აფეთქებამ გააყრუა იქაურობა | A terrific explosion interrupted the distant selections from Rigoletto | საშინელმა აფეთქებამ „რიგოლეტოს" შორიდან მომავალი მოტივები გადაფარა |
| 93 | მაგიური ყვავილების განვითარების ბოდვაში, რაკეტები ავარდნენ მათ წვრილ ღეროზე და აჰა, პინკიანის მთის ზემოთ დამაბრმავებლად, ბრწყინვალედ, ვარსკვლავთა გუნდში, მეხის გავარდნასავით იფეთქეს. | Magical flowers in a delirium of growth, the rockets mounted on their slender stalks and, ah! high up above the Pincian hill, dazzlingly, deafeningly,in a bunch of stars and a thunderclap, they blossomed. | რაკეტები - ზრდის დელირიუმში/ექსტაზში მყოფი ჯადოსნური ყვავილები - წვრილ ღეროებზე აიჭრნენ ცაში და აჰა! პინჩოს ბორცვის თავზე უამრავ ვარსკვლავსა და ჭექა-ქუხილში, დამაბრმავებლად და გამაყრუებლად გაიფურჩქნენ. |
| 94 | დაუბრუნა მან ღიმილით | he laughed back | მან პასუხად/საპასუხოდ გაიღიმა |
| 94 | ხელახალი გრუხუნი, ხელახალი, და პიაზას ცენტრში მდგარი ობელისკი გადმოვარდა, მკაცრი და შავი, აპოკალიფსისი პატიოსანი თვლების ნათების საწინააღმდეგოდ. | There was another bang, another, and the obelisk at the center of the Piazza leaped out sharp and black against apocalypse after apocalypse of jeweled light. | კიდევ ერთხელ დაიქუხა, მერე კიდევ, და პიაცას ცენტრში მდგარი შავი და წვეტიანი ობელისკი გამოიკვეთა აპოკალიფსური სტიქიის მსგავსი, თვალ-მარგალიტით მოოჭვილი სინათლის ფონზე, რომელიც განუწყვეტლივ იფრქვეოდა. [აღწერილია პიაცა დელ პოპოლოს ცენტრში მდგარი ობელისკი, ფეიერვერკით განათებული] |
| 95 | რაც ძალზე გულისგამაწვრილებელია. | expiringly | მილევადად / ისე, რომ თანდათან ილეოდა |
| 95 | რაკეტების შემდეგ ბაღმა იწყო აყვავება. | Another garden of rockets began to blossom. | რაკეტების მეორე ბაღმა დაიწყო აყვავება. |
| 95 | სიცილი. გამარჯვება. პამელამ თავზე დაადო ხელი. | Laughing, triumphant, Pamela laid her hand on his head. | მოცინარმა, მოზეიმე პამელამ თავზე დაადო ხელი. |
| 99 | მთელი ეს სცენა რაღაც არაჩვეულებრივი და იძულებითი იყო. პამელას შეთხზული ხასიათი ჰქონდა. მაგრამ ტანჯვით შეთხზული. | There was something forced and unnatural about the whole scene.She was being a character in fiction. But characters in fiction suffer. | მთელ ამ სცენაში იყო რაღაც ნაძალადევი და არაბუნებრივი. ის თითქოს მხატვრული ნაწარმოების გმირი იყო. მაგრამ თითქოს მხატვრულ ნაწარმოებებში გმირები იტანჯებიან. |
| 100 | შენ ხომ ცოტაოდენ ყურადღებას მაქცევდი. | Because you did care a little; you did. | იმიტომ, რომ ცოტათი ნამდვილად გიყვარდი, ნამდვილად. |
| 100 | იმიტომ, რომ ჩემზე, ზრუნავდი (შენ ზრუნავდი, მაილს). | Because you did care, Miles; a little, you did." | [„care" - იგულისხმება ინტერესი, სიყვარული, ღელვა, და არა ზრუნვა]. |
| 100 | -ოჰ, ღმერთო! ღმერთო! - კვნესოდა ის თავისთვის და ხმამაღლაც (რადგან პამელა მის ჩუმად ყოფნას მიიჩნევდა, რომ ის თავს არ იცავდა და ბოლომდე ჩაჰყვებოდა) - ცოტა მეტი მომივიდა შენზე ზრუნვა, უთხრა. | Oh God! he was groaning to himself, God! And aloud (for she had made his silence untenable, she had driven him out into articulateness), "I cared too much/' he said. | ოჰ, ღმერთო! გულში კვნესოდა მაილსი, ღმერთო! ხმამაღლა კი (რადგან პამელამ მისი სიჩუმე გაუმართლებლად ჩათვალა და იმ მდგომარეობამდე მიიყვანა, რომ ამოათქმევინა) "ძალიან მიყვარდიო", უთხრა. |
| 103 | შენ გიყვარს მოზეიმე კაცი | You love the celebrated man | შენ გიყვარს სახელგანთქმული /ცნობილი კაცი |
| 104 | ეჭვიანობა გამოწვეულია სუსტის ღვარძლიანობით მეტოქის გამო | jealous with the malignity of a weaker for a stronger rival | ვეჭვიანობ სუსტის სიძულვილით უფრო ძლიერ მეტოქეზე |
| 105 | ჩემი სენტიმენტალობა შენი უცხოელობისთვის უფრო ძლიერია (როგორც ზოგჯერ უნდა იყოს) | my sentiment of your alienness should come to be stronger (as some time it must) | შენი უცხოობით გამოწვეული ჩემი გრძნობა/განწყობა უფრო უნდა გაძლიერდეს (და ოდესმე ასეც მოხდება) |
| 105 | საკუთარი „მე", რომელსაც არა აქვს რაიმე განზრახვა ჩაიცვას უარესად, ვიდრე შესაძლებელია მისი თავიდან აცილება. | the self that doesn't intend to put up with more discomfort than it can possibly avoid; | საკუთარი თავი, რომელიც არ აპირებს აიტანოს იმაზე მეტი დისკომფორტი, რამდენის თავიდან არიდებაც შეუძლია. |

ეროვნული



| | | | |
|---|---|---|---|
| 106-107 | რაც შესაძლებელია მაშინ, თუ ბუნება გაძლევს გარანტიას, როგორც ის ქალი მაძლევს საზოგადოების ანარქიული დამოკიდებულების შესაძლებლობას | which is only possible if nature has granted you, as she has to me, the possibility of anarchic independence of society | რაც მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუკი ბუნებამ გიბოძა, ისევე როგორც მე, შესაძლებლობა იყო საზოგადოებისგან ანარქიულად დამოუკიდებელი [„she" ტექსტში ბუნების ნაცვლად არის ნახმარი] |
| 107 | იქნება შემდეგი დანიშნულების ადგილის სერიების რეისი ...რომელი ჩვენგანი გაიმარჯვებს ამ რეისში? ნაძლევს ვდებ, თუნდაც ეს ჩემი განწყობილების გულგრილობაში ჩამეთვალოს, მე არ ვაპირებ არც გამარჯვებულად და არც დამარცხებულად ყოფნას, | would be a race toward a series of successive goals ... Which of us is likely to win the race? The betting, I should say, is about even, with a slight tendency in favor of myself. But there's not going to be a winner or a loser, for the good reason that there's not going to be any race. | იქნებოდა რბოლა ერთმანეთის მომდევნო მიზნებისკენ ... ვინ იქნება გამარჯვებული ამ რბოლაში? ვიტყოდი, რომ ძალები დაახლოებით თანაბარია, ჩემი უმნიშვნელო უპირატესობით. მაგრამ ამ რბოლაში დამარცხებული და გამარჯვებული არ იქნება იმ გასაგები მიზეზის გამო, რომ არავითარი რბოლა არ შედგება. |
| 108 | | "Miles!" Fanning started so violently that a drop of ink was jerked from his pen onto the paper. He felt as though his heart had fallen into an awful gulf of emptiness. | გამოტოვებულია |
| 111 | მაგრამ ბნელი სიღრმიდან ამოსული ვარდები უცებ აფეთქდა გონების ზედაპირზე ირონიულ სიცილში | But the dark certainty of the depths rose suddenly and exploded at the surface in a bubble of ironic laughter | მაგრამ ცნობიერების სიღრმეში არსებული შავი სინამდვილე უეცრად ზედაპირზე ამოვიდა და გასკდა, ირონიული სიცილის ბუშტებად ქცეული |
| 111 | გონებამ მისი საქმიანი და უნარიანი ყბედობა შეაჯამა | his surface mind resumed its busy efficient rattle | მისი გონების ზედაპირზე ინტენსიური რაციონალური დისკუსია განახლდა |
| 111 | სინათლემ თითქოს შეურაცხყოფა მიაყენა | The light hurt her | სინათლემ ტკივილი მიაყენა |
| 114 | რომელიც ინტიმურობისა და სიყვარულის ფიზიკური გაგების ჩვეულებრივი ბილია. | which are the ordinary fruits of the intimate knowledge, the physical understanding of love. | რომლებიც ინტიმურობის, სიყვარულის ფიზიკური მხარის შეცნობის ჩვეულებრივი შედეგია. |
| 114 | ალბათ, ვილაც იტყვის, რომ საყვარელთან წვები. სიბნელეში წვები, არადა, შენ ნათელი ხარ, უთუოდ ნათელი | Anyone could tell that you'd been in bed with your lover. Could tell in the dark, even; you're luminous,... | ნებისმიერი შენიშნავდა, რომ საყვარელთა იწექი. სიბნელეშიც კი შენიშნავდა; შენ ანათებ,... |
| 115 | მაილსი ახლა ეკუთვნოდა ამ მინერალური წყლების ჯიხურთა ერთ-ერთ მახინჯ მომხმარებელს, რომელთაც ისინი თითქმის ეჭვიანად უყურებდნენ. | He was on his way to becoming one of those pump-room monsters at whom they were now looking, almost incredulously. | მაილსი თანდათან ემსგავსებოდა მინერალური წყლის მომხმარებელ ურჩხულებს, რომლებსაც ახლა უყურებდნენ, უყურებდნენ თითქმის სკეპტიკურად. |
| 115 | ავადმყოფობის მისჯა როგორც დამნაშავისთვის, რა მართალია! | Making the Erewhonians punish illness as a crime how right! | სწორი იყო, როდესაც „დასრას"-ს მცხოვრებნი ავადმყოფს ისევე სჯიდნენ, როგორც დამნაშავეს. [Erewhonians - სამუელ ბატლერის „Erewhon" – უტოპიური ქვეყანა, დასახელება არის სიტყვის „nowhere" ანაგრამა; ქართულში - „არსად" = დასრა"; Butler meant the title to be read as "nowhere" backwards even though the letters "h" and "w" are transposed, as it would have been pronounced in his day; «Едгин (*англ.*)» (1872, название — анаграмма слова *нигде*)] |
| 116 | შეურაცხყოფილ ფენომენთა | Humiliating phenomena | დამამცირებელი/შეურაცხმყოფელი მოვლენები |
| 116 | იყო მისი ღვიძლის მიზეზი | was the cause of the bile. | აქ სიტყვების თამაშია, „bile" ნიშნავს „ნაღველს" - ფიზიოლოგიურს და სულიერს |
| 116 | მაილსი რომ არ გადარეულიყო ამ არშიყობით ვნებიანი მამების ვიწრო საკანში | For if he had not been so extenuated by that crazy love making in the narrow cells of the Passionist Fathers | ასეთი გამოფიტული რომ არ ყოფილიყო გიჟური ფიზიკური სიყვარულით პასიონისტების ვიწრო სენაკში ]Passionis fathers - პასიონისტები (ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს ვნებისა და წმიდა ჯვრის ფეხშიშველი სამღვდელონი) http://www.nplg.gov.ge/gwdict/index. php?a=term&d=16&t=2076] |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | |
|---|---|---|---|
| 118 | მონტეკატინი ცხოველთა ბუნაგს მოგვაგონებს | Montecatini seems a beastly sort of hole | მონტეკატინი, როგორც ჩანს, საშინელი ადგილია |
| 119 | როგორც ჩანს, ექვსასი კიდევ დასალევია | it appears there are six hundred W.C.s | |
| 119 | დიახ, ობობა და სხვა არავინ. | Yes, she had found the spider, not somebody else. | დიახ, მან იპოვა ობობა, და არა ვილაც სხვამ. (ამ აბზაცში ლაპარაკია ადამიანის ერთგვარ „გაორებაზე" - რომ ადამიანში არის თვითონ, და ვილაც სხვა). |
| 121 | ყველაზე უფრო საშინელი ისტორია | the unlikeliest story. | ყველაზე ნაკლებად სარწმუნო ამბავი |
| | ისე ხანგრძლივად, როგორც დიდი დათვის თანავარსკვლავედები რჩებიან უძრავად | so long as the Bears remained unmoved | [so long as - რამდენადაც, სანამ; იმ პირობით, თუ] |
| 122 | პამელა ისევ განაგრძობდა დღიურის თვალიერებას. | Pamela was looking through her diary. | პამელა თავის დღიურს ათვალიერებდა. |
| 123 | მან გამოტოვა გვერდი, სადაც მაილსი ლაპარაკობდა კლასიკურ მხატვრობასა და ორგის მნიშვნელობაზე ანტიკურ რელიგიებში. ბედნიერად ყოფნის მოვალეობასა და მზის არსებობაზე შენში, როგორც მწიფე ყურძნის მტევანი, სამყაროს უსასრულობასა და სიცარიელეზე ხორციელი სიყვარულის მტკიცებით, საგნებისა და მოვლენების მიღებაზე უტრაგედიოდ და მოუბეზრებლად. | She skipped nearly a page of Miles's remarks on classical art and the significance of orgies in the ancient religions;on the duty of being happy and having the sun inside you, like a bunch of ripe grapes; on making the world appear infinite and holy by an improvement of sensual enjoyment; on taking things untragically, unponderously. | [გარდა იმისა, რომ წინადადება გაუგებარია - Classical art - კლასიკური მხატვრობა ?<br>„Orgies" - „ორგო" ?] |
| 123 | იესოს, კრავისა და მოციქულების სურათები ყოველთვის ასე წინ არის წამოწეული | always pictures of Jesus and sheep and apostles and so forth | ყოველთვის იესოს და ცხვრების და მოციქულების და კიდევ სხვების სურათები |
| 127 | სიყვარული, მაილსმა რომ პასუხად დაუბრუნა | love he had offered her in return | |
| 128 | იყო ... მხიარული და იოლი კომპანიონობით გამდიდრებული, მაგრამ მარტივი სიამოვნებით. | was a gay and easy companionship enriched, but uncomplicated, by pleasure. | იყო მხიარული და მარტივი პარტნიორობა, გამდიდრებული სიამოვნებით, რომელიც ამ პარტნიორობას არ ართულებდა. |
| 129 | მისი წიგნები დიდებული იყო, თუმცა იმ კაცისთვის დიდად არ იყო თავშესაქცევი, რომელიც ნახევარ დროსაც არ იყო იქ მთლიანად. | His books were splendid, of course; still, it wasn't much fun being With a man who, for half the time, wasn't there at all. | მისი წიგნები, რა თქმა უნდა, დიდებული იყო; და მაინც, დიდად სასიამოვნო არ იყო იმ კაცთან ყოფნა, რომელიც დროის ნახევრის განმავლობაში იქ საერთოდ არ იყო. |
| 130 | | There was no point in reading; | გამოტოვებულია |
| 130 | ჰგავდა თავის მოსახელეს „საბალახოების ახალმოწველილი რძიდან" | [she was like her namesake of] Pastures New | Pastures New - новое поле деятельности<br>http://dictionary.ge/ka/word/pasture+l/?h=pastures+new<br>http://dictionary.ge/ka/word/pasture+l/?h=pastures+new |
| 130 | თუმცა ფაქტები ამტკიცებდნენ ძლიერ სიჯიუტეს | But the facts had proved too stubborn; | მაგრამ ფაქტები ძალზე ჯიუტი იყო |
| 131 | დღეები წარსულს ჩაჰბარდა მის ცერქვეშ | The days flicked past under her thumb. | [To be under smb's thumb - ვისიმე ძალაუფლების ან გავლენის ქვეშ ყოფნა] |
| 132 | და მისი სიყვარულიც ნამდვილად დაჟინებული ჰქონდა. | and, loving him, she had the right to insist. | და რადგან ის უყვარდა, დაჟინებით მოთხოვნის უფლებაც ჰქონდა. |
| 132 | ეცადა, გაეცოცხლებინა ის ემოციები | managed to revive some of the emotions | მოახერხა გაეცოცხლებინა იმ ემოციების ნაწილი |
| 132 | ...რა შესაბრალისად მკაცრი! | ...how pitilessly cruel! | ...რა შეუბრალებლად/უმოწყალოდ სასტიკი! |

ეროვნული ბიბლიოთეკა

- მან ქალიშვილს ხელი ჩასჭიდა და დროდადრო აქანებდა (გვ. 15)
- დაამატა მან გამომწვევად მისი შეხედვის პასუხად (გვ. 17)
- დაიჟინა თითქმის მრისხანედ, რითაც ადასტურებდა, რომ საკუთარ თავზე შურს იძიებდა (გვ. 17)
- პამელას მეხსიერებაში მამიდა ედიტის ხმა გახმიანდა (გვ. 19)
- ფიქრობდა, რომ ეს ჯეროვნად საინტერესო იყო (გვ. 23)
- მხოლოდ არსებობის გარდა მეტი არაფრის კეთება არ შეგიძლია (გვ. 28)
- „...შემდეგ გემში ჩავჯექი და, როგორ ქურდი ლამეში, სიცილიისკენ გავწიე". (გვ. 35)
- როცა ისინი ასაკოვანნი არიან (გვ. 36)
- თქვა დოდომ გაკვირვებული, მგრძნობიარე ხმით (გვ. 38)
- უცებ სასოწარკვეთა გადაიყარა (გვ. 40)
- მას უნდოდა შეურაცხეყო თავისი თავი (გვ. 42)
- რამდენნი იყვნენ? (გვ. 43)
- თავისი დედის შვილია და ალბათ, თანდაყოლილად მისი მსგავსიც. (გვ. 47)
- ეს მხიარული დროსტარება ალმა-დალმა ავტომობილებით, ალმა-დალმა ღმუილი თვითმფრინავით, ალმა-დალმა ყვინთვა მოტორიანი ნავით (გვ. 59)
- უნდა გენახათ, რა ინტელიგენტურობით შეხედა! (გვ. 66)
- კვარცხლბეკზე ერთი ნაბიჯით წინ გადმოდგმული, საბურველში გახვეული ღმერთი ალმართულიყო (გვ. 66-67)
- შენ ყველაზე უძლეველი ქათინაური მითხარი (გვ. 68)
- უპასუხა, როგორც ძალზე გაგებულმა ადამიანმა (გვ. 68)
- წინასწარ განუზრახველი მანერები (გვ. 74)
- უნდა აკეთო ის, რაც მოგწონს, სიწმინდიდან ზიზლისკენ, ჩვეულებრივი სიტყვების ალწერით. (გვ. 83)
- როდის წავიდა მისგან მისი სული და რატომ? (გვ. 97)
- მას ესმოდა თავის ლაპარაკი ხან მხიარული და ხან სევდიანი ლაურინასთან (გვ. 98)
- ძალიან ცოტად ცვლის (გვ. 105)
- საკუთარი „მე", რომელსაც არა აქვს რაიმე განზრახვა ჩაიცვას უარესად, ვიდრე შესაძლებელია მისი თავიდან აცილება. (გვ.105)
- ჰკითხა მან უკვე ზურგს უკან თითქმის გაბრაზებულმა (გვ. 110)
- იგი ნუგეშისმცემლად მიჰყვებოდა მას (გვ. 110)
- ... და დაინახა ფანჯრიდან შემოსულ სინათლეში შეზავებული, მის წინ უმოქმედო, ლოდინისგან მოქანცული, უძრავად მდგარი პამელა. (გვ. 112)
- თვალი მოკრა მიყრილ-მოყრილ საწერ მაგიდას (გვ. 113)
- თან ხმას უწევდა თავისი ლაპარაკის გულგატეხილობის შესაგულიანებლად, რომელშიც მისმა ღვიძლმა და პამელამ ჩაძირა (გვ. 115)
- მოდი ვიმედოვნოთ (გვ. 115)

ბედნიერად ყოფნის მოვალეობასა და მზის არსებობაზე შენში, როგორც მწიფე ყურძნის მტევანი, სამყაროს უსასრულობასა და სიცარიელეზე ხორციელი სიყვარულის მტკიცებით, საგნებისა და მოვლენების მიღებაზე უტრაგედიოდ და მოუბეზრებლად.

გვ. 127

(თარგმანი) შეეძლო დაენახა, რაც მოხდა ამ დროის განმაელობაში მთლიანად პერსპექტივაში. ეამაყებოდა, რომ შიში, სასაცილოდ რომანტიკულად გამოვიყურებიო, შეიცვალა მაილსის მიმართ გრძნობების ხარისხში - სიამაყე და შიში, რომელსაც მაილსი განზრახ თამაშობდა ტრაგიკულად, როგორც პამელას წარმოედგინა, ჯოანიც განზრახ სთავაზობდა თავს ერთი შეხედვით უხალისო ვოლტერს.

(ორიგინალი) From this distance of time she could see all that had happened in perspective, as it were, and as a whole. It was her pride, she could see, her fear of looking ridiculously romantic that had changed the quality of her feelings toward Miles - a pride and a fear on which he had played, deliberately. She had given herself with passion and desperately, tragically, as she imagined that Joan would have desperately given herself, at first sight, to a reluctant Walter.

(შესწორებული თარგმანი) დროის ამ გადასახედიდან შეძლო იმის ობიექტურად და სრულად დანახვა, რაც სინამდვილეში მოხდა. შეძლო დაენახა, რომ სწორედ საკუთარმა სიამაყემ და იმის შიშმა, სასაცილოდ რომანტიული არ გამოჩენილიყო, ხარისხობრივად შეცვალა მისი გრძნობები მაილსის მიმართ - სიამაყემ და შიშმა, რომლებზეც მაილსმა შეგნებულად ითამაშა. ის მიეცა მაილსს ვნებით და სასოწარკვეთით, ტრაგიკულად, რადგან წარმოიდგინა, რომ სწორედ ასე, ერთი შეხედვით სასოწარკვეთილად უნდა მისცემოდა ჯოანი მის უარმყოფელ უოლტერს.

სიყვარული, მაილსმა რომ პასუხად დაუბრუნა (გვ 127)

* * *

მეგონა, საქართველოში არ არსებობდა მკითხველი, რომლისთვისაც ეს თარგმანი მისაღები იქნებოდა, თუმცა მკითხველის ბლოგზე ამ წიგნის შესახებ დაწერილი კომენტარებში თარგმანის ხარისხზე ლაპარაკი საერთოდ არ არის, და ეს ძალიან შემაშფოთებელია.

გამომცემლობა, რომელმაც ეს წიგნი გამოსცა, აცხადებს, რომ პირველი ქართული გამომცემლობაა, რომელმაც გარემოზე ზრუნვა დაიწყო, რაც მისასალმებელია. მაგრამ როდესაც ამ გარემოსდაცვითი აქციის სარეკლამო განცხადება წავიკითხე, მივხვდი, რომ ძალიან ბევრს ვითხოვ იმ გამომცემლობიდან, რომელიც მკითხველს ასეთ რამეს ჰპირდება:

„პალიტრა L" მაკულატურის სანაცვლოდ ახალ წიგნს გაჩუქებთ და მისი გადამუშავების შემდეგ, თქვენ მიერ ჩაბარებული მაკულატურით, გამომცემლობა ახალ წიგნებს გამოსცემს!" (!!!)

გამოდის, თავადვე მიმხვდარან, რომ მათი გამოცემული ახალი მაკულიტერატურის წაკითხვა გადამუშავების გარეშე შეუძლებელი ყოფილა. დაველოდოთ, ყვითელ ჟურნალებს დამატებული დიდი ლიტერატურის წაკითხვა იქნებ გადამუშავების შემდეგ მაინც გახდეს შესაძლებელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ფრედრიკ ჯეიმისონი

# მომავლის ქალაქი

***ინგლისურიდან თარგმნა თამარ ლომიძემ***

*მოდერნისტული არქიტექტურა მოძველდა. როგორი იქნება მომავლის ქალაქები და მათი არქიტექტურა? „დროის სათავეების“ ავტორი, ფრედრიკ ჯეიმისონი მსჯელობს რემ კოლჰასის პროექტის - მდინარე ჟუძიანის („მარგალიტთა მდინარის“) დელტაში აგებული მეგაშენობებისა და ე.წ. „ნაგვის სივრცის“ შესახებ.*



ორტომეულში, საერთო სახელწოდებით - „ქალაქთმშენებლობა“ - შეტანილია იმ სემინარის მასალები, რომელსაც ხელმძღვანელობს რემ კოლჰასი ჰარვარდის უნივერსიტეტის დიზაინის სკოლაში; ამ ჩინებული გამოცემის პირველ ტომში, რომლის სახელწოდებაა „გიგანტური ნახტომი“, წარმოდგენილია მდინარე ჟუძიანის დელტის (ჰონკონგსა და მაკაოს შორის) განაშენიანების პროექტი, მეორე ტომი კი ამგვარადაა დასათაურებული - „მყიდველის გზამკვლევი“. ეს უჩვეულო ტომები მკვეთრად გამოირჩევა მასობრივი ინფორმაციის ბეჭდური გამოცემებისგან; მათში მოყვანილი სტატისტიკური მონაცემები დამაჯერებელია, ილუსტრაციები კი - შთამბეჭდავი.

არქიტექტურა ხელოვნების იმ მცირერიცხოვან დარგებს მიეკუთვნება, რომლებშიც ჯერ კიდევ გვხვდებიან ტიტანები და კოლჰასი ნამდვილად ერთ-ერთი მათგანია, მაგრამ ამ ორ ტომში განთავსებული სემინარის მასალები არქიტექტურას კი არ ეძღვნება, არამედ თანამედროვე ქალაქის კვლევას. მათში დახასიათებულია ნიშან-თვისებები, რომლებიც განასხვავებს თანამედროვე ქალაქს მეორე მსოფლიო ომამდე არსებული კლასიკური ურბანული სტრუქტურისგან. არქიტექტურაში ურბანიზმის პრობლემები აქტუალური გახდა მეთვრამეტე-მეცხრამეტე საუკუნეებიდან. ამიტომ, მაგალითად, ზიგფრიდ გიდიონი თავის ნაშრომს „სივრცე, დრო და არქიტექტურა“ იწყებს სიქსტუს მეხუთის მიერ (ბაროკოს ესთეტიკის შესაბამისად) რომის რესტრუქტურირებით და ამთავრებს როკფელერის ცენტრისა და რობერტ მოზესის მიერ გაშენებული პარკების აღწერით, ფაქტობრივად კი, ხოტბასასხამს ლე კორბიუზიეს. ლე კორბიუზიე - თვალსაჩინო არქიტექტორი, ქალაქ ჩანდიგარჰის დამპროექტებელი და ალჟირის რეკონსტრუქციის გეგმის ავტორი, ქალაქთმშენებელიც გახლდათ. „ქალაქთმშენებლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაში" ვლინდება კოლჰასის ინტერესი ქალაქური არქიტექტურის მიმართ, მაგრამ ის ურბანისტი როდი გახლავთ (ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით); საერთოდ, ტერმინი „ურბანიზმი" არ გამოდგება განსახილველი წიგნების დასახასიათებლად, რომლებიც ვერ ეტევა ვერცერთი მეცნიერების (მაგალითად, სოციოლოგიის ან ეკონომიკის) საზღვრებში; შეიძლება ითქვას, რომ ისინი ყველაზე უფრო ახლოა *კულტურულ კვლევებთან.*

საქმე ისაა, რომ ტრადიციული ან, უკეთ რომ ვთქვათ, მოდერნისტული ურბანიზმი ჩიხში მოექცა - თვალში საცემია უდიდესი ექსპანსია, რომელსაც განიცდიან ეგრეთ წოდებული მესამე სამყაროს ქალაქები: „2025 წელს,- ვკითხულობთ ზემოხსენებულ კოლექტიურ ნაშრომში, - „ქალაქების მცხოვრებთა რაოდენობა 5 მილიარდ ადამიანს მიაღწევს. ...2015 წელს მსოფლიოს 33 მეგაპოლისიდან 27 განლაგებული იქნება დედამიწის ყველაზე ნაკლებად განვითარებულ რეგიონებში, მათ შორის 19 - აზიაში... ტოკიო იქნება ყველაზე მდიდარი ქალაქი მსოფლიოს 10 უდიდეს ქალაქს შორის". ეს უკვე სავარაუდო პერსპექტივა კი აღარაა, არამედ ახალი რეალობა, რომელსაც ეძღვნება „ქალაქთმშენებლობის" ორი მომდევნო ტომი. ერთ მათგანში საუბარი იქნება ლაგოსის (ნიგერია), მეორეში კი - კლასიკური რომაული ქალაქის, როგორც თანამედროვე ქალაქების პროტოტიპის შესახებ.

წიგნის პირველ ტომში ნათქვამია, რომ უდიდესი სამშენებლო ბუმი თანამედროვე ჩინეთში (1992 წლის შემდეგ შანხაიში აშენდა თითქმის ცხრა ათასი ცათამბჯენი) სულაც არ ისახავდა მიზნად კაპიტალიზმისადმი მიბრუნებას ან მის დაბრუნებას. ეს პროცესი დაიწყო დენ სიაოპინის ინიციატივით, რომელსაც სურდა გამოეყენებინა კაპიტალიზმი რადიკალურად განსხვავებული - *ინფრაწითელი*, და არა *წითელი* - საზოგადოების ასაშენებლად:

კომუნისტურ, წითელ იდეალებს იმ პერიოდში, როდესაც მას აქტიურად ებრძოდნენ, როდესაც მთელ მსოფლიოში დაგროვდა მისი გამანადგურებელი ზემოქმედების მტკიცებულებები... შეენაცვლა ინფრაწითელი, ანუ რეფორმატორული იდეოლოგია, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა კამპანია უტოპიის გადასარჩენად და 21-ე საუკუნეში მე-19 საუკუნის იდეალების ფარულად გამოსაყენებლად.

მათ, ვისაც სწამთ, რომ ბაზარი სავსებით ბუნებრივი და კანონზომიერი რეალობაა, შიშის ზარს დასცემს ამგვარი პერსპექტივა, რომელიც, მათივე შეხედულებით, შეიძლება თავიდან აცილებულ იქნას კაპიტალისტურ წყობილებაზე გადასვლის ან ეკონომიკური კოლაფსის მეშვეობით.

მაგრამ დავუბრუნდეთ არქიტექტურას. ჩვენ თვალწინ აშენდა ან შენდება ასობით ნაგებობა, რომლებშიც არავინ ცხოვრობს და რომელთა შეძენა იშვიათად თუ ვისმესთვის იქნება ხელმისაწვდომი კაპიტალიზმის პირობებში. მათ არსებობას ვერ გაამართლებს ვერავითარი საბაზრო სტანდარტები. დავაკვირდეთ მდინარე ჟუძიანის დელტის განაშენიანების პროექტებს, რომლებიც სამომავლოდაა დაგეგმილი და სრულიად განსხვავდება იმათგან, რომლებიც აგებულ იქნა დასავლელი საქმოსნების ან ბანკების ხელშეწყობით კაპიტალისტურ ქვეყნებში. შეიძლება ითქვას, რომ ეს ოთხი სამშენებლო კომპლექსი ოთხი სხვადასხვაგვარი უტოპიური პროექტია: შენჟენი თანდათან გარდაისახება და იქცევა ჰონკონგის ერთგვარ ვარიანტად ან ორეულად; დუნგუანი - „წითელი ფარნების" ქალაქად; ძუჰაი - გოლფის მოყვარულთა სამოთხედ, ძველი ცენტრი - გუანჯოუ (იგივე კანტონი) კი - ერთგვარ უჩვეულო პალიმფსესტად, რომელშიც უკვე არსებულ ეკონომიკურ ცენტრზე ახალი არქიტექტურა „დაინერგება". ამგვარი ექსტრაორდინარული და ჰიპოთეტური მოგზაურობა მომავალში უფრო კონკრეტულად წარმოგვიდგენს თანამედროვე და მომავლის ჩინეთს, ვიდრე - გზამკვლევთა უმრავლესობა (და თვით რეალური მოგზაურობაც ამ ქვეყანაში).

## „მყიდველის გზამკვლევი"

„მყიდველის გზამკვლევი" ძალზე სპეციფიკური წიგნია, როგორც სტილის, ისე - ჩანაფიქრის მხრივ. კითხვაზე, თუ რას წარმოადგენს ეს ნაშრომი - უბრალოდ, ილუსტრირებულ წიგნს; მრავალფეროვანი სტატიების კრებულს ურბანისტულ და კომერციულ თემებზე; გამოკვლევას გლობალური სივრცისა ევროპიდან სინგაპურამდე და დისნეილენდიდან ლას-ვეგასამდე; სავაჭრო ცენტრის ფუნქციონირების ანალიზს მისი თავდაპირველი იდეოლოგიიდან თანამედროვე ფორმებამდე - შეიძლება მრავალნაირი პასუხი გაიცეს (მისი ობიექტის ზოგად არაერთმნიშვნელოვნების შესაბამისად). კიდეც რომ ერთგულნი დავრჩეთ ამ ობიექტის თავდაპირველი დახასიათებისა, ვიკითხოთ, რას ნიშნავს „ყიდვა" - არის თუ არა ის ფიზიკური კატეგორია, რომელიც მიემართება სავაჭრო ობიექტებს ან ფსიქოლოგიური კატეგორია, რომელიც მოიცავს ამ ობიექტთა შესყიდვის სურვილს? ან, იქნებ, ის არქიტექტურული კატეგორიაა და გულისხმობს ორიგინალურ სივრცულ გაფორმებას სავაჭრო ცენტრებისა, რომლებსაც საფუძველი ჩაეყარა მე-19 საუკუნეში, ვალტერ ბენიამინის მაღაზია-პასაჟებში; თუმცა, როგორც ამ წიგნში მოყვანილი ზოგიერთი დიაგრამა მოწმობს, მოხმარების საგნებით ვაჭრობა, როგორც ჩანს, დაიწყო ქალაქ ჩათალ-ჰიუიუკში (მე-7 ს. ჩვ. წ-მდე) ან, შესაძლოა, საცალო ვაჭრობა „გამოგონებულ" იქნა ლიდიაში, ჩვენს წელთაღიცხვამდე მეშვიდე საუკუნეში. აქ მოხმარების გლობალიზაციის (კონსიუმერიზმის) შესახებ ხომ არ უნდა ვიმსჯელოთ? რა როლს ასრულებს ახალი სავაჭრო გზები, წარმოება და სადისტრიბუციო ქსელი (ან მეწარმეები) ამგვარ გლობალიზაციაში? რა უნდა ითქვას ახალი ტექნოლოგიების შესახებ, რომლებიც, ჩატალ-ჰიუიუკის მსგავსად, კომერციის ხელშესაწყობად შეიქმნა? ხომ ფაქტია, რომ ბევრი მერჩანდაიზინგური კომპანია და კონგლომერატი სიდიდით აღემატება ზოგიერთ ქვეყანას? ისმის კითხვა: არის თუ არა სივრცის განვითარების ახალი სახეობა - მართული, ანუ ე.წ. „ნაგვის სივრცე"? როგორ ზემოქმედებს ის ადამიანის ფსიქიკასა და თვით ჩვენს რეალობაზე? (რეკლამის პირველი თე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ორეტიკოსი გახლდათ ფროიდის დისშვილი, ედვარდ ბერნაისი.) რას უქადის ყოველივე ეს ჩვენს მომავალს და უტოპიას?

ალბათ, ამ რთული საკითხის ზოგიერთი ასპექტი გამომრჩა; მაგრამ ეჭვგარეშეა, რომ, არქიტექტურასა და ურბანიზმთან ერთად, ის მოიცავს ისეთ განსხვავებულ სფეროებს, როგორებიცაა ფსიქოანალიზი და გეოგრაფია, ისტორია და ბიზნესი, ეკონომიკა და ტექნიკა, ბიოგრაფია, ეკოლოგია, ფემინიზმი, ქვეყანათმცოდნეობა, იდეოლოგიური ანალიზი, კლასიკური კვლევები, სამართლებრივი გადაწყვეტილებები, კრიზისის თეორია და ა.შ. შესაძლოა, ამ უზარმაზარმა დისციპლინარულმა სპექტრმა არავინ გააოცოს პოსტმოდერნის ეპოქაში, რომლისთვისაც დამახასიათებელია საყოველთაო დედიფერენციაცია, როდესაც ყველაზე მეტად გვაინტერესებს საგნების ურთიერთთანხვედრა და როდესაც ირღვევა ცალკეულ მეცნიერებათა გამმიჯვნელი საზღვრები. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პოსტმოდერნში მნიშვნელოვანწილად წაიშალა ზღვარი ძველ სპეციალიზებულ მეცნიერებებს შორის, რაც მკაფიოდ შეიმჩნევა ისეთ საინტერესო ნაშრომებში, როგორებიცაა დელეზისა და გვატარის „ათასი ზეგანი", რობერტ კაროს „საქმოსანი"; ბენიამინის „პასაჟი", ნეგტისა და კლიუგეს „ისტორია და შეუპოვრობა". ალარაფერს ვამბობთ გიდიონის „სივრცის, დროისა და არქიტექტურის" შესახებ. თეორიული მსჯელობები განსახილველ ორტომეულში თითქმის არ გვხვდება (თუმცა, მგონი, ერთხელ მოხსენიებულია ბოდრიარი), მაგრამ ის არც კულტურული ჟურნალიზმის არათეორიული ნიმუშია, და არც, უბრალოდ, ილუსტრირებული წიგნი. თვით ზემომოყვანილი ჩამონათვალი გვავარაუდებინებს, რომ ესაა კოლექტიური გამოკვლევა. რეცენზენტისთვის უხერხულია კონკრეტული სახელების გამოყოფა, მაგრამ უნდა ითქვას, რომ წიგნის ყველაზე უფრო ვრცელი და ყველაზე მნიშვნელოვანი ფილოსოფიური განზოგადებების შემცველი ნაწილები დაწერილია ზი ცანგ ლეონგის მიერ, ხოლო ჩუიჰუა ჯუდი ჩანგის დაკვირვებები საინტერესო არგუმენტებს შეიცავს. რაც შეეხება კოლჰასს, ის, როგორც ჩანს, მხოლოდ ზოგად ხელმძღვანელობას უწევდა კრებულის ავტორებს (ესე იგი, ღმერთის მსგავსად, ერთდროულად ყველგან და არსად სუფევდა).

## სავაჭრო ცენტრების შესახებ

შევეცდები, დავახასიათო პრობლემის თეორიული ასპექტი, მაგრამ თავდაპირველად შევჩერდები სავაჭრო ცენტრების პრობლემაზე, რაც განსახილველ წიგნში ფართო და მრავალფეროვან კონტექსტშია გაანალიზებული. სავაჭრო ცენტრების (ე.წ. „მოლების") მცირერიცხოვანი ადრეული ფორმები სრულიად ახალი, წმინდა წყლის ამერიკული (და გვიანდელი კაპიტალიზმისთვის დამახასიათებელი) მოვლენა გახლდათ. ცნობილია ამ ინოვაციის ზუსტი თარიღიც: 1956 წელი; მას შემდეგ განვლილ პერიოდში აშკარად გამოვლინდა სავაჭრო ცენტრების გამანადგურებელი ზეგავლენა ქალაქთა ცენტრალურ ნაწილებზე, რასაც გარეუბნების განვითარება ახლდა. ეს ტენდენცია ყველგან შეიგრძნობა, თუმცა კი - სხვადასხვა ხარისხით; ის, რომ სავაჭრო ცენტრები მრავლად არსებობს მთელ მსოფლიოში, ალბათ, ამერიკანიზაციის, პოსტმოდერნიზაციის ან გლობალიზაციის ერთგვარ ეპიდემიად უნდა მივიჩნიოთ. ამავე დროს, საქონლის სხვადასხვა ფერით კოდირებული სისტემები და მრავალრიცხოვანი თემატური ინდექსები მეტყველებს იმის შესახებ, რომ ამ ეპიდემიას რიძომული ფორმა აქვს; მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში საცალო ვაჭრობით მიღებული ამონაგების შედარება სავაჭრო ცენტრების ამონაგებთან მკაფიოდ მეტყველებს პირველი მათგანის სასარგებლოდ და საშუალებას გვაძლევს, გავიაზროთ არა მარტო იერარქიული გლობალიზაციის, არამედ - მყიდველობითი აქტივობის („შოპინგის") არსიც, რომელიც მალე (გავბედავ ვთქვა) არა მარტო პოლიტიკური, არამედ - მეტაფიზიკური მნიშვნელობითაც აღიჭურვება.

ამასთან, არა მარტო წინამდებარე წიგნში, არამედ - მყიდველობითი საქმიანობის, სავაჭრო ცენტრების, მოხმარების პრობლემებისადმი მიძღვნილ ბოლოდროინდელ კულტურულ კვლევებშიც აღნიშნულია, რომ სავაჭრო ცენტრების დიდი უმრავლესობა კრიზისს განიცდის, ზარალდებიან მათი არენდატორებიც. რა უნდა ჩაენაცვლოს სავაჭრო ცენტრებს? ჯერ კიდევ ვალტერ ბენიამინმა აღწერა მეცხრამეტე საუკუნის მაღაზია-პასაჟის დაკნინების ეტაპი. ზემოხსენებული კრიზისი გვაიძულებს, უკეთ ჩავწვდეთ არა მარტო მყიდველობითი საქმიანობის არქეოლოგიას, პრეისტორიას ან მის აწმყოს, არამედ - მომავალსაც. ამასთან, განურჩევლად იმისა, თუ როგორი იქნება სავაჭრო ცენტრის მომავალი, „იქ უამრავი ნაგავია" (კოლჰასის თქმით). მრავალი განტოტვილი ძველი ცენტრი ერთგვარი დინოზავრებია, რომლებიც კონკურენციას ვერ უწევენ საცალო ვაჭრობას და, რა თქმა უნდა, ელექტრონულ ვაჭრობასაც.

როგორც ჩანს, ძირი მოერყა, პირველ რიგში, სავაჭრო ცენტრების არსებობის წინაპირობებს. მაგრამ როგორი იყო ეს წინაპირობები? არისტოტელესეული მიზეზშედეგობრიობის მსგავსად, ისინი სხვადასხვაგვარია: პირველ რიგში გასათვალისწინებელია ფიზიკური ან საინჟინრო წინაპირობები, მაგალითად, კონდიცირება. რაც შეეხება წინასტორიას, მას, რა თქმა უნდა, მრავალი საინტერესო ფორმა ჰქონდა, თუნდაც ჩატალ-ჰიუიუკში. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში პოპულარული იყო, ძირითადად, მაღაზია-პასაჟი. 1850-1860-იან წლებში მას შეენაცვლა თანამედროვე უნივერსალური მაღაზია, რომელიც ზოლამ უკვდავყო თავის რომანში *„Au bonheur des dames* „ („ქალთა ბედნიერება") (ესაა ბელეტრიზებული ვარიანტი რეალური მაღაზიების სახელწოდებებისა, მაგალითად, *Au printemps* ან *La Samaritaine*, რომლებიც ბოლო წლებში შესწავლილ იქნა მათი ურბანისტული კომერციული ღირებულების თვალსაზრისით. ისინი დაარსებულ იქნა პარიზის ძირეული რეკონსტრუქციის პერიოდში, რომელიც ოსმანმა განახორციელა), რომელიც ახლა,

ეროვნული

თავის მხრივ, დაცემის სტადიაშია. რომანის ან ლექსის მსგავსად, მასაც ჰყავს ავტორი, თუმცა, ამ შემთხვევაში, უპრიანი იქნება, ვისაუბროთ მთელი ჟანრის ავტორის შესახებ.

## შეშლილობის ტექნოლოგიები

შევაფასოთ მომხდარი ცვლილებების მასშტაბი: ახალ აეროპორტებში ყველგან ნახავთ სუპერმარკეტებს; ასევეა მუზეუმებში, და, რა თქმა უნდა, თვით ქალაქებში. ქალაქთა ძველი ცენტრები - რომლებიც თითქოს ერთგვარად დაჯაბნა გარეუბნებმა, ახალმა სუპერმარკეტებმა და სავაჭრო ცენტრებმა - ახლა, პოსტმოდერნიზმის ეპოქაში და ჯენტრიფიკაციის შედეგად აღმავლობას განიცდიან, არა მარტო იმის წყალობით, რომ მათ ტერიტორიაზე აიგო უზარმაზარი ახალი სავაჭრო ცენტრები, არამედ იმის გამოც, რომ ისინი, ფაქტობრივად, სავაჭრო ცენტრებად იქცნენ. აი, რას ვკითხულობთ ამ პროცესის შესახებ „ქალაქის პროექტში":

1994 წელს სავაჭრო ცენტრებმა ფორმალურად იკისრეს ქალაქთა ტრადიციული ცენტრების საზოგადოებრივი ფუნქციები. ნიუ-ჯერსის შტატის უზენაესმა სასამართლომ (სავაჭრო ცენტრებში პოლიტიკური ბროშურების გავრცელების შესახებ საქმის განხილვისას) განაცხადა, რომ „სავაჭრო ცენტრები შეენაცვლნენ პარკებსა და სკვერებს, სადაც, ტრადიციულად, თავისუფალი სიტყვა გაისმოდა" და რომ „ყოველი სავაჭრო ცენტრი ერთგვარი თანამედროვე მეინ-სტრიტია".

ამგვარად, „ვაჭრობა ტრიუმფით დაბრუნდა ქალაქში", მაგრამ, „ქალაქთმშენებლობის" ავტორთა აზრით, ქალაქთა ცენტრებისთვის „სავალალო აღმოჩნდა ის, რომ მათ, თავის გადასარჩენის მიზნით, გარეუბანთა ფუნქციები იტვირთეს „.

დავუბრუნდეთ კოლჰასს. მისი უდიდესი „ტრფობის ობიექტი" სინგაპურია, რომელმაც უჩვეულო ცვლილებები განიცადა. აქ ვგულისხმობთ იმას, თუ რაოდენ ჰარმონიულად ერწყმის ეს ქალაქი-სახელმწიფო მთელ რეგიონს, და, აგრეთვე, იმასაც, თუ რაოდენ შთამბეჭდავად აისახა მასში მთელი მსოფლიოს არქიტექტურული ტენდენციები. „ბროლის სასახლე" კიდევ ერთხელ გვახსენებს თავის წყაროებს (და ჯოზეფ პაქსტონის არქიტექტურულ ხელწერას). „დეპატო" ანუ იაპონური უნივერმაღი უჩვეულო კულტურული მუტაციის ნაყოფია, ხოლო მისი ლოგიკა უშუალოდ ტოკიოს - მსოფლიოში სიდიდით მესამე ქალაქის - არქიტექტურული ლოგიკის პირმშო გახლავთ, ქალაქისა, რომელიც მარაოსავითაა გადაშლილი რკინიგზის ხაზების ირგვლივ. და, ბოლოს, არ უნდა დაგვავიწყდეს დისნეი! დიახ, დისნეი, რადგან ვერავითარ ინოვაციებს ვერ გავიაზრებთ სრულად, თუკი არ გავითვალისწინებთ ყველაფერს, რაც უოლტის ფანტაზიის ნაყოფია. ურბანიზმი, მყიდველობითი საქმიანობა, გლობალიზაცია, სარეკლამო ინდუსტრია და თვით უტოპიაც უოლტმა ახლებურად გაიაზრა. შესაძლოა, თვით დისნეის და დისნეიფიკაციის ფენომენებსაც უკეთ ჩავწვდეთ ამ ახლებური კომპარატივისტული და გლობალიზებული კონტექსტის წყალობით, ვიდრე - სპორტის ან ტიპურად ამერიკული სინგლტონის კონცეპტების მეშვეობით.

მაგრამ რა უნდა ითქვას თვით სავაჭრო ცენტრების და, კერძოდ, მათი სივრცის შესახებ? არსებობს სავაჭრო ცენტრის სივრცის - მისი განყოფილებების, დერეფნების, ფორმის - ფსიქოლოგია, ისევე, როგორც მისი ეკოლოგია. და აქ წინაპირობების საკითხი ძალზე მწვავედ წამოიჭრება: გასათვალისწინებელია არა მარტო ჰაერის კონდიცირება და მისი ძალზე საინტერესო ისტორია, არამედ აგრეთვე ესკალატორი-ლიფტიც, რომელიც მნიშვნელოვან ოპერატორადაა მიჩნეული კოლჰასის ადრეულ წიგნში ცათამბჯენთა ლანდშაფტის შესახებ (სახელწოდებით - „შეშლილი ნიუ-იორკი"). მასში საუბარია სავაჭრო სივრცისა და მშენებლობის შესაძლებლობების შესახებ; ამ საკითხების განხილვას დაახლოებით ოცდაათი გვერდი ეთმობა. აქვე განხილულია ჭერში ჩამონტაჟებული ნათურებისა და დამატენიანებელი სისტემების საკითხი, აგრეთვე - მომსახურების სისტემის, ისევე, როგორც ძველი „ტექნოლოგიების" - დახლების, ვიტრინების, სარკეებისა და მანეკენების - ახლებური სტრუქტურირების შესაძლებლობები.

მოდით, განვიხილოთ საკითხის იდეოლოგია, ესე იგი, თავი დავანებოთ სხეულს და სულიერად ავმაღლდეთ: მაგალითად, საბრალო ჯეინ ჯეკობსს ბრალად ედება ისტორიის ჰეგელისეული კონცეფციის ერთგულება, რადგან ის ჭეშმარიტი ქალაქის ფუნდამენტურ ნიშან-თვისებებს იცავს და აკრიტიკებს ურბანისტულ და არქიტექტურულ მოდერნიზმს. ჯეკობსის აზრით, „ვაჭრობა ხელს უწყობს „კომპაქტური ქალაქების" წარმოქმნას, რისკენაც მიისწრაფვიან ამერიკის ქალაქთა ჩამკვდარი ცენტრალური უბნების რეანიმირების მსურველნი. უეჭველია, რომ ჯეკობსი - როგორც პოსტმოდერნისტული რევოლუციის სულის ჩამდგმელი (ქალაქთმშენებლობის სფეროში) და ახალი ურბანიზმის მოძრაობის ერთ-ერთი ფუძემდებელი - ავტორიტეტია ბევრი არქიტექტორისა და ურბანისტისთვის. ის კაპიტალიზმის წინააღმდეგ როდი იბრძვის, არამედ ხაზს უსვამს მცირე ბიზნესის ღირებულებას.

მაგრამ ყოველივე ამას საფუძველი ჩაუყარა ვიქტორ გრუენმა (რომელსაც ნულოვან საფეხურად ვერ მივიჩნევთ; წინააღმდეგ შემთხვევაში, სწორი არ იქნება ჰაროლდ ბლუმის თეორია გენიოსთა შესახებ). სავაჭრო ცენტრი პირველად სწორედ მან ააგო და ერთგვარად, გამაოგნებელია იმის გააზრება, რომ ვიღაცას აზრად მოუვიდა ყოველივე ამის (ანუ თანამედროვე ამერიკული სივრცის ან უსივრცობის) იდეა, და რომ ეს, უბრალოდ, ბაზრის ისტორიული სახეობების ახლებური აკუმულაცია კი არაა, არამედ - ადამიანის ძალისხმევის შედეგი. ამასთან, გრუენის წვლილის შესახებ მსჯელობისას უნდა გავიხსენოთ, აგრეთვე, ისიც, რომ მხოლოდ თითო-ოროლა მოდერნისტს შეეძლო ამგვარი რამის წარმოდგენა, არამც თუ თეორიული გააზრება (მაშინ, როდესაც პოსტმოდერნისტებისთვის ის უცხო სულაც არაა). ეს გვაიძულებს დავფიქრდეთ თანამედროვე ავტორზეც, რომელიც ყველა ამ ამაღლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ბული ესთეტიკური პროექტის მასკულტურული ეკვივალენტია: ესაა ჯონ ჯერდი, სავაჭრო ცენტრების ყველაზე თვალსაჩინო და ცნობილი არქიტექტორი. მიჯნა მაღალ ხელოვნებასა და მასკულტურას შორის აქაც გადაულახავია, ისევე, როგორც ნებისმიერ თანამედროვე კულტურულ სფეროში.

მაგრამ როდესაც ამაზე და სხვა ამ ტიპის გლობალურ ფენომენებზე ვფიქრობთ - მაგალითად, ლიპოს ჯგუფზე ინდონეზიაში; რობერტ ვენტურისა და დენიზა სკოტ-ბრაუნის მოწოდებაზე: „ვისწავლოთ ლას ვეგასისგან"; ფემინიზმზე (ქალები და შოპინგი ძველთაძველი თემაა); ხელოვნურ ლანდშაფტებზე; ზემომითითებული მოვლენების მიმართებაზე ფსიქოლოგიასთან და ფსიქოანალიზთან; წინააღმდეგობაზე, რომელსაც ევროპა უწევს სავაჭრო ცენტრების აგების იდეას და ამ იდეის რეალიზების ამერიკულ შედეგებზე; - წარმოგვიდგება შავი ხვრელი, რომელიც აურაცხელ ენერგიას აფრქვევს ყველა მიმართულებით.

## დავამარცხოთ ნაგვის სივრცის ვირუსი

ეჭვი არ მეპარება, რომ წიგნის ის ნაწილი, რომელშიც ე.წ. „ნაგვის სივრცის" კონცეპტი განიხილება, რემ კოლჰასის დაწერილია. ეს უჩვეულო ცნება პოსტმოდერნისტულ არტეფაქტსაც აღნიშნავს და ახალ ესთეტიკასაც (ან, შესაძლოა, ისტორიის სრულიად ახლებურ ხედვას). ცნობილია, რომ კოლჰასი საინტერესოდ წერს და ამ მხრივ არ ჩამორჩება არცერთ თვალსაჩინო თანამედროვე არქიტექტორს; მის წინამორბედ წიგნებში - ისეთებში, როგორებიცაა „შეშლილი ნიუ-იორკი" და *SMLXL* - გვხვდება ფორმალური ნოვაციებიც და პროვოკაციული თვალსაზრისებიც, მაგრამ მათში არაფერი გვამზადებს ერთგვარ უნივერსალურ მაგმაში, არა მარტო თანამედროვე ქალაქის, არამედ მთელი სამყაროს უსასრულო და უწყვეტი განზავებისთვის.

აქ საუბარი არაა არქიტექტურის ოდენ სტანდარტიზაციის (ან ამერიკანიზაციის) შესახებ. ნაგავი, ანუ კლასიკური ნაშთი არის ის, რაც რჩება დიალექტიკის ან ფსიქოანალიტიკური მკურნალობის შემდეგ: „კოსმიური ნაგავი არის ნარჩენები, რომლებითაც კაცობრიობა ანაგვიანებს სამყაროს, ხოლო ნაგვის სივრცე არის ნამუსრევი, რომლებითაც კაცობრიობა აბინძურებს პლანეტას". თუმცა, ნაგვის სივრცე ძალზე მალე იქცა ვირუსად, რომელიც ვრცელდება და მრავლდება მთელ მაკროკოსმოსში:

ცივილიზაციის ნარჩენები ანაგვიანებს ვარსკვლავურ უსასრულობას; ასევე, წარმოსახულ სამყაროდ ქცეული რეალური სივრცე ჯოჯოხეთური ბუმერანგივით გვიბრუნდება... სივრცის დანაგვიანება მაშინვე დაიწყო, როგორც კი „დიდი აფეთქება" მოხდა.

ნაგვის სივრცე ერთგვარი ტენდენციის სახით, ფარულად არსებობდა გარკვეული დროის განმავლობაში; შემდეგ ის ამოუცნობ ვირუსად იქცა:

პირველად სწორედ არქიტექტორები დაფიქრდნენ ნაგვის სივრცის შესახებ, მას მეგასტრუქტურა უწოდეს და მისი მეშვეობით ცდილეს არქიტექტურული ჩიხიდან თავის დაღწევა. უამრავი ბაბილონის გოდოლის მსგავსად, უზარმაზარ სუპერსტრუქტურებს უნდა ჰქონოდათ არამყარი ქვესტრუქტურები, რომლებსაც უწყვეტი მუტაციები უნდა განეცადათ. ნაგვის სივრცეში ყველაფერი ამოტრიალებულია: ესაა მხოლოდ ქვესისტემები ზესტრუქტურების გარეშე, ანუ ფორმის ან მოდელის მაძიებელი ცალკეული ნაწილაკები.

ძალზე მარტივი იქნებოდა იმის თქმა, რომ არქიტექტურა და სივრცე ამ შემთხვევაში მეტაფორებია: აქ უკვე არქიტექტურულ სიახლესთან კი არ გვაქვს საქმე, არამედ - ახალ სივრცობრივ ენასთან. სივრცე იქცევა ისტორიის ახალი (უკანასკნელი?) მომენტის ძირითად კოდად ან ენად, ხოლო მისი მასალის შლა, არამყარობა, ხელს უწყობს ახლო მომავლის აპოკალიფსურ გააზრებას.

„ასაკის" მატებას ნაგვის სივრცისთვის კატასტროფული შედეგები მოაქვს: თანდათან იკლებს ელექტროენერგიის სიმძლავრე, წარწერებიდან ასოები ცვივა, კონდიციონერებიდან წყალი მოწვეთავს, კედლები იბზარება, თითქოს მიწისძვრის შედეგად; სართულები იბრიცება, თუმცა ისინი მაინც მიერთებულია ძირითადი კორპუსის სხეულთან განგრენოზული დერეფნების მეშვეობით.

ნაგვის სივრცის ეს შემაშფოთებელი „სკლეროზული დაავადებები" ფანტასტი მწერლის, ფილიპ კ. დიკის ღამეული კოშმარების აღწერას წააგავს, როდესაც რეალობა ნარკომანის ჰალუცინაციას ემსგავსება და როდესაც ზედროული სამყაროს ხაფანგში ვექცევით. მაგრამ ეს კი არ გვაშინებს, არამედ მხოლოდ გვახალისებს; და სწორედ ამ ახლებური ეიფორიის არსი უნდა განიმარტოს.

## ბუნდოვანების საუფლო

კოლჰასის აზრით, „ყველაფერი, რასაც სივრცული განზომილებები აქვს (ავტომანქანები, სხეულის ნაწილები, თვითმფრინავები) მათი პირველსაწყისი ფორმის შეცვლის მეშვეობით ნაგვის სივრცედ იქცევა. რეკონსტრუირება, რესტავრირება, რეგენერირება: ეს რე-თი დაწყებული სიტყვები ნაგვის სივრცეს ასახავს". შედეგად, ხდება ყველა „ორიგინალის" და, მათთან ერთად, თვით ისტორიის განადგურება:

ერთადერთი უეჭველი ფაქტი არის უწყვეტი გადამუშავება-გარდაქმნა, რომელსაც იშვიათ შემთხვევებში ენაცვლება რესტავრაცია, ანუ პროცესი, რომლის წყალობით ისტორიის ყოველი ახალი ეტაპი ნაგვის სივრცედ იქცევა. ისტორია სხვა არაფერია, თუ არა შერყვნა, აბსოლუტური ისტორია აბსოლუტური შერყვნაა. ახალწარმოქმნილი ტრანსპლანტანტებიდან ელიმინირებულია ფერი და მატერია; ძველსა და ახალს მხოლოდ უგემოვნობა აკავშირებს.

ამიერიდან უფორმობის საუფლოში ვიმყოფებით (ციტატა ბატაიდან); მაგრამ „უფორმობა მაინც ფორმაა, უფორმო - ტიპოლოგიური ნიშან-თვისებაა". ეს არც ისე წააგავს კომპიუტერული არქიტექტურის ახალი თაობის (გრეგ ლინი, ბენ ვან ბერკელი) თვალსაზრისს. და, შემდგომ, „ფაქტობრი-

ქალაქი ეროვნული ბიბლიოთეკა

ვად, ნაგვის სივრცის საიდუმლო ისაა, რომ ის ერთდროულად უწესრიგოცაა და რეპრესიულიც: როდესაც უფორმო იმატებს, ფორმალური ქრება, და, მასთან ერთად, უქმდება მისი ყველა წესი და ნორმა". ნუთუ ეს მარკუზეს და რეპრესიული ტოლერანტობის აჩრდილებია?

კონცეპტუალური თვალსაზრისით, ნაგვის სივრცე შეიძლება ბერმუდის სამკუთხედს შევადაროთ: ის აუქმებს განსხვავებებს, ძირს უთხრის გამბედაობას, შლის ზღვარს ჩანაფიქრსა და მის რეალიზაციას შორის; იერარქიას აქ აკუმულაცია ენაცვლება, კომპოზიციას - დამატებითი ელემენტები. სულ უფრო მეტად..., სულ უფრო მეტად... ნაგვის სივრცე ერთდროულად გადამწიფებულიცაა და უმწიფარიც. ის უზარმაზარი საბანივით აფარია დედამიწას და აშთობს მას. ესაა ბუნდოვანების საუფლო, სადაც ზედა და ქვედა, საზოგადოებრივი და კერძო, სწორხაზოვანი და მრუდი, მაძღარი და მშიერი ერთობლივადაა წარმოდგენილი ერთიან მოზაიკაში.

უეჭველია, რომ არსებობს მაგიური მომენტებით აღბეჭდილი „ტრაექტორიებიც":

პოსტმოდერნიზმი ანაწევრებს შენობათა პერისტალტიკურად გაფორმებულ წინა სიბრტყეს. არქიტექტურული ტრაექტორიები მოულოდნელად ერთმანეთს კვეთს, იღუნება და უეცრად ბოლოვდება მაღალ აივანზე, სიცარიელის თავზე.... ესაა ფაშიზმი დიქტატორის გარეშე...

ამ ფსევდოდროით მატერიაში, სადაც ყველაფერი უწყვეტ მუტაციას განიცდის, გვხვდება ხოლმე მშვენიერების იშვიათი მომენტებიც, როდესაც „რკინიგზის სადგურები რკინის პეპლებს ჰგვანან, აეროპორტები ნამის ვეება წვეთებივით ლაპლაპებენ, ხიდები გროტესკული ქნარებივითაა გადებული ნაპირებზე. ყოველ მდინარეს თავისი კალატრავა[1] გამოუჩნდა. მაგრამ ამგვარი მომენტები საკმარისი არაა, რომ გაფანტოს ღამეული კოშმარით ან ჰალუცინაციებით გამოწვეული ძრწოლა. აქ უნდა გავიხსენოთ კიბერპანკი[2], რომელიც ცინიკურად (კოლჰასის მსგავსად) ტკბება თავისი (და სამყაროს) თავაშვებულობით. მაგრამ კიბერპანკი, არსებითად, აპოკალიფსური არაა. ჩემი აზრით, უკეთესი კოორდინატია ბალარდი[3], სამყაროს დასასრულის ბალარდისეული სურათი", მინუს ბაირონული მელანქოლია, ყოვლისმომცველი პესიმიზმი და *Weltschmerz* (მსოფლიო სევდა).

3/260

აქ სამყაროს დასასრული იგულისხმება; და უცნაურია, რომ სამყაროს დასასრული აპოკალიფსურად წარმოგვიდგება ხოლმე (განურჩევლად იმისა, ვიგინებით ამის გამო თუ შიში გვიპყრობს). მაგრამ ძველი სამყარო მხოლოდ ღვარძლსა და სატირას იმსახურებს, ხოლო ახალი სამყარო მარტოოდენ ძველის განადგურებას ლამობს. ამ პროცესს ურსულა ლე გუინმა[4] ერთხელ შენობათა დნობა უწოდა. „ისინი ისეთივე ბლანტი იყო, როგორც მზის სხივებქვეშ დატოვებული ყელე. ზედა ფენა უკვე ძირს ილევენთებოდა და მინაზე ვეება ცხიმიან ლაქებს აჩნევდა".

ვილაცამ ერთხელ თქვა, რომ უფრო ადვილია სამყაროს დასასრულის წარმოდგენა, ვიდრე - კაპიტალიზმის დასასრულისა. გადავამოწმოთ ეს შეხედულება და წარმოვიდგინოთ კაპიტალიზმი, როგორც სამყაროს დასასრული.

## ისტორიის გარღვევა

ჩემი აზრით, უკეთესი იქნებოდა, ყოველივე ამის შესახებ გვემსჯელა ისტორიის ტერმინებით, ისტორიისა, რომელიც შეიძლება წარმოვიდგინოთ მხოლოდ როგორც სასრული რამ, და რომელიც, როგორც ჩანს, სხვა არაფერია, თუ არა უკვე მომხდარი მოვლენების მონოტონური განმეორება. პრობლემა ისაა, როგორ დავადგინოთ რადიკალური განსხვავება ძველსა და ახალს შორის; როგორ მივცეთ ბიძგი ისტორიის საზრისს იმგვარად, რომ მასში კვლავ შევიგრძნოთ დროის, სხვაობის, ცვლილებების, უტოპიის ოდნავ გასაგონი სიგნალები. ამისთვის პოსტმოდერნის მყუდრო აწმყოდან უნდა დავბრუნდეთ უკან, რეალურ ისტორიულ დროში, ადამიანების მიერ შექმნილ ისტორიაში. ვფიქრობ, განსახილველი ორტომეული ამის საშუალებას გვაძლევს: მომავლის წარმოდგენის შეუძლებლობის გამო ის (ეს მომავალი) აქ ავბედით ტენდენციად მოიაზრება, რომელიც გლობალიზაციის შედეგად აპოკალიფსად იქცევა და აფეთქებს სამყაროს, რომელშიც აურაცხელი ნამსხვრევებისა და ატომების ხაფანგში ვიმყოფებით. ამგვარად, ანტიუტოპია გვიანდელი კაპიტალიზმის მებიუსის ლენტზე მიწებებული ძაფის ბოლოა, კაპიტალიზმისა, რომელიც მხოლოდ ამ ძაფს განჭვრეტს მანიაკალურად თავის სავარაუდო დასასრულში.

მაგრამ ეს საკმარისი არაა: ისტორიის მონოლითური ბარიერის გარღვევა შესაძლებელია მხოლოდ იმგვარ სიტუაციაში, როდესაც ისტორიული წარმოსახვა თითქოსდა პარალიზებულია: ვერასგზით ვერ ჩასწვდებით მომავალს, ვერ გაიაზრებთ განსხვავების არსს (თუ არაფერს ვიტყვით უტოპიაზე), თუ არ *ჩაეწერები* მასში, თუ მის ნაწილად არ იგრძნობ თავს (ბუნებრივია, წარსულისა და აწმყოსგან ფსიქოლოგიური იზოლირება აქ აუცილებელი პირობაა). სწორედ *წერის* გამათანაბრებელი ძალა მსჭვალავს ჩვენი არსებობის ყველა სფეროს (მანძილს, ავტოსადგომებს, მყიდველობით საქმიანობას, მუშაობას, კვებას, მშენებლობას) და თავს ახვევს მათ სტანდარტიზებულ ურთიერთიდენტურობას, რომელიც ოდენ ერთნაირ ფერში, ტექსტურაში, უფორმობაში როდი მდგომარეობს და არც მასალაზეა - პლასტმასა იქნება ის, ვინილი თუ რეზი-

1. სანტიაგო კალატრავა - თვალსაჩინო თანამედროვე ესპანელი არქიტექტორი.
2. კიბერპანკი - ლიტერატურული ჟანრი, რომელშიც აღწერილია ტოტალურად კომპიუტერიზებული საზოგადოება და რომლისთვისაც დამახასიათებელია ანტიუტოპიური მოტივები.
3. ჯეიმს ბალარდი - თანამედროვე ინგლისელი მწერალი-ფანტასტი, ფსიქოპათოლოგიური ტრილერების ავტორი.
4. ურსულა ლე გუინი - თანამედროვე ამერიკელი მწერალი.

საქართველოს პარლამენტის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნი - დამოკიდებული. სწორედ ნინადადებებში (ანუ წერის დამანაწევრებელ პოტენციაში) იჩენს თავს ამ განმეორებადობის ენერგია, რომელიც მოასწავებს დროსა და ისტორიაში, შემდეგ კი - კონკრეტულ მომავალში ორგაზმულ შეჭრას.

ამაშია საიდუმლო ამ ახალი სიმბოლური ფორმისა, რომლის შემოქმედი თანამედროვეთაგან მარტოოდენ კოლჰასი როდია (მაგრამ მასზე უფრო სრულყოფილად ეს ვერავინ შეძლო).

დავუბრუნდეთ მყიდველობითი საქმიანობის უფრო პროზაულ სამყაროს, რომელმაც ბიძგი მისცა ამ თავანყვეტილ ავანტიურას და მართლაც რომ მეტაფიზიკური რეაქცია გამოიწვია. ის, ფაქტობრივად, ჩაისახა ადრეულ სტადიაზე, ცი ძან ლიანის შეხედულებაში დედამიწის კომერციული ტრანსფორმაციის შესახებ (ეს კი განსახილველი ნაშრომის ძირითადი თემაა): „საბოლოოდ, სხვა არაფერი დაგვრჩება, მყიდველობითი აქტივობის გარდა". სამყარო, რომლის მახეშიც ვიმყოფებით, რეალურად, სავაჭრო ცენტრია; ესაა მყუდრო თავშესაფარი, მინისქვეშა ქსელი გვირაბებისა, რომლებშიც ურიცხვი ასლია გამოფენილი. ვირუსი, რომლითაც სავაჭრო ცენტრებში შეიძლება დავავადდეთ, არსებითად, მყიდველობითი საქმიანობის ვირუსია, და ის, დისნეიფიკაციის მსგავსად, შხამიანი ხავსივით მოედო დედამიწას. მაგრამ რა არის ეს საქმიანობა, რომელზეც ესოდენ დიდხანს (ავტორები კი - უფრო მეტ ხანს) ვსაუბრობთ?

თეორიულად, ესაა მთელი კომპლექსი (და, მართლაც, მაღაზიებში ვეძებთ ხოლმე ამა თუ იმ საქონლის სასურველ ან გარკვეული საფირმო ნიშნის მქონე ნიმუშს), რომელსაც დასავლური მარქსიზმი „კომოდიფიკაციას" უწოდებს. მისი ანალიზი გვხვდება ჯერ კიდევ მარქსთან, „კაპიტალის" ცნობილ შესავალ თავში, სადაც საუბარია სასაქონლო ფეტიშიზმის შესახებ. უკვე მეცხრამეტე საუკუნეში მარქსმა საგანგებო ყურადღება დაუთმო სპეციფიკურ სუპერსტრუქტურულ განზომილებას კაპიტალიზმის ბაზარზე, რომელიც ერთგვარი რელიგიური პერსპექტივის სახით გვევლინება. მარქსი გაიაზრებს საქონლის „მეტაფიზიკურსა და თეოლოგიურ სრულყოფილებას" როგორც ნიღაბს, რომელიც შრომით მიმართებებს უმალავს მყიდველს (მომხმარებელს). ამიტომ მარქსი აღიქვამს კომოდიფიკაციას, როგორც, არსებითად, იდეოლოგიურ ოპერაციას ან ყალბი ცნობიერების ფორმას, რომელსაც სპეციფიკური ფუნქცია აქვს - შენიღბოს პროდუქტის წარმოება ბურჟუაზიული მომხმარებლისგან. გეორგ ლუკაჩის „ისტორია და კლასობრივი ცნობიერება" - ეგრეთ წოდებული დასავლური მარქსიზმის შესავალი ტექსტი - ამ საკითხს განიხილავს ფილოსოფიის ისტორიის ფართო სიბრტყეზე და კომოდიფიკაციას ცენტრალურ როლს მიაკუთვნებს ადამიანის სულიერი და ფიზიკური დაკნინების, მანქანის დანამატად ქცევის (ანუ „რეიფიკაციის") საერთო პროცესში.

ამასთან, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ამ თემის იდეოლოგიური მიმართულება იცვლება, როდესაც დასავლეთ ევროპისა და შეერთებული შტატების (და, აგრეთვე, იაპონიის) წარმატებულ რეგიონებში გაბატონებულ ტენდენციად იქცევა ფუფუნების საგნებით ვაჭრობა. სწორედ ამ პერიოდში აყალიბებენ სიტუაციონისტები და მათი ბელადი გი დებორი ახლებურ თვალსაზრისს კომოდიფიკაციის შესახებ: „სასაქონლო ფეტიშიზმის საბოლოო ფორმა სხვა არაფერია, თუ არა კარგი პროდუქტის - ორიგინალის - უხარისხო ასლი". ესაა ამოსავალი პუნქტი ეგრეთ წოდებული „სანახაობათა მომხმარებელი საზოგადოებისთვის", რომელშიც ყოფილი „ერების დოვლათი" „სანახაობათა ერთობლიობად" მოიაზრება. ვფიქრობ, კომოდიფიკაციის პროცესი ყალბ ცნობიერებას კი არ ასახავს, არამედ - ცხოვრების ახალ სტილს, რომელსაც მომხმარებლობას (კონსიუმერიზმს) ვუწოდებთ და რომელიც უფრო ნარკომანიას წააგავს. ეს თანამედროვე შეხედულება კულტურის როგორც ყოველდღიური ცხოვრების სუბსტანციის შესახებ შედარებით ახალი, ომისშემდგომი კონცეფციაა, რომელიც ანრი ლეფევრმა შეიმუშავა.

ამგვარად, „მყიდველის გზამკვლევში" დასახელებული პროდუქტები, ფაქტობრივად, ასლებია. ამიტომ, ჩვენი აზრით, აუცილებელია საქონლის ცნებისთვის საწყისი მნიშვნელობის დაბრუნება. წარმოდგენა იმისა, რომ მაღალი ხარისხის საქონელს კი არა, მათ ასლებს ვყიდულობთ, უკვე ნიშნავს ამ ცნების დეფამილარიზაციას, რაც დადებითი ნაბიჯია; მაგრამ იმის შეგნება, რომ ჩვენ ვყიდულობთ ასლებს, გზას აძლევს სურვილის, ნდომის ახალ ფორმას, რომელიც წინ უძღვის რეალურ შესყიდვას - როდესაც ვკარგავთ ინტერესს საქონლის, როგორც ასეთის მიმართ. რაც შეეხება მოხმარებას, ის, როგორც მარქსი შიშობდა, სრულიად სპირიტუალურ მოვლენად იქცა. საქონლის მატერიალურობა აქ მხოლოდ საბაბია მენტალური სიამოვნების მისაღებად: კერძოდ, რა არის მატერიალური ახალი ავტომანქანის მფლობლის განცდებში, რომელიც მხოლოდ მახლობელ ქუჩებში ატარებს მას და, შეძლებისდაგვარად, მაქსიმალურად ხშირად რეცხავს და აპრიალებს?

დაბოლოს, განა, ძირითადად, მხოლოდ მაღაზიებში არ დავდივართ? განა ეს არ ასახავს სრულიად ახლებურ ეგზისტენციალურ პოზიციას იმ ადამიანებისა, რომლებსაც ეს ხელეწიფებათ და რომლებმაც (მას შემდეგ, რაც შეიგრძნეს ცხოვრების უაზრობა და თავიანთი სურვილების სრული დაკმაყოფილების შეუძლებლობა), შექმნეს ცხოვრების ახალი სტილი, სადაც სურვილის ახალი სპეციფიკური ორგანიზაცია გულისხმობს სწორედ ამ შეუძლებლობის მოხმარებას და შესაბამისი მცდელობების უაზრობას? რა თქმა უნდა, აქ შეიძლება გავიხსენოთ მდინარე ჟუძიანის დელტა და დენ სიაოპინის პოსტმოდერნული სოციალიზმი, რომელშიც „ქონების შეძენა" ფულის დაგროვებას კი არ ნიშნავს, არამედ უზარმაზარი სავაჭრო ცენტრების აგებას - სადაც მყიდველობითი საქმიანობა არ მოითხოვს თქვენგან რაიმეს შეძენას, და სადაც შესყიდვა შეიძლება განხორციელდეს ფულის გადახდის გარეშე, მანამ, სანამ შესაბამისი სივრცეები, ან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, სავაჭრო ცენტრები, უზრუნველყოფენ ამას.

© New Left Review, may/june 2003

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შოთა იათაშვილი

## პოეზია და მწვანე კალბასები

სულ ეზოში იდგა.
მზერა ზემოთ გაურბოდა და
სახეზე ღიმილი უციმციმებდა.
იდგა და თითქოს თავის ანგელოზს ელაპარაკებოდა.
ელაპარაკებოდა გამვლელ-გამომვლელსაც.
ყელი მაღლა შემართული რჩებოდა,
მხოლოდ მზერას თუ დაუშვებდა ოდნავ დაბლა და
მეზობელს, ნაცნობს თუ უცნობს შეაგებებდა.
ოდნავ შენელებული ტემპით და თბილი ტემბრით
რაღაცას იტყოდა და
სახე კიდევ უფრო აუციმციმდებოდა.
იდგა სოსო ბაძაღუა ეზოში სულ და
მე ავუვლიდი, ჩავუვლიდი,
გამოველაპარაკებოდი და ვიზრდებოდი.
მერე ჩემი ბავშვებიც იზრდებოდნენ.
გადაუსვამდა მათ თავზე ხელს სოსო და
თავის ანგელოზს დააჯენდა კინკრიხოზე,
გააყოლებდა სკოლაში, ვერის ბაღში...
გადავიდა მერე ჩვენი სახლიდან -
უფრო სწორად, ჩვენი ეზოდან.
ეზოც უკვე აღარაფერს ჰგავდა -
გარაჟების საგიჟეთი იყო მხოლოდ და მხოლოდ.
რამდენიმე დღის წინ მეზობლის მამა გარდაიცვალა.
90 წლის.
იმაზე უფრო ლამაზად მოკვდა,
არტისტები რომ კვდებიან ხოლმე ხანდახან სცენაზე.
თავის ვენახში ვაზს სხლავდა და დაეცა,
განუტევა სული.
მოვიდა სოსო ბაძაღუა გასვენებაზე.
მოიყვანა თან თავისი ანგელოზი.
ვიდექით ბევრნი ეზოში.
მაგრამ მე მარტო სოსოს ვხედავდი და მის ანგელოზს,
რომელსაც ძველებურად უღიმოდა.
ისევ ადრინდელი დამიწყო:
სადაა შენი წიგნები,
რატომ არ მჩუქნიო.
რაც კალამს მოვკიდე ხელი
და ამის შესახებ შეიტყო,
სულ წიგნებს მთხოვდა.
ვაჩუქე კიდეც ერთი-ორჯერ,
მაგრამ არ აკმაყოფილებდა -
სადაა შენი ახალი წიგნი, რატომ არ მჩუქნიო,
ყოველდღე მეკითხებოდა ხოლმე.
წავედით დასაფლავებაზე, მერე ქელეხში ძველი მეზობლები -
მე, სოსო ბაძაღუა, გოგა ხუნწარია, თენგო მანუჩაროვი...
ერთადაც ვისხედით...
ერთად გამოვედით გარეთ.
სადაა შენი ახალი წიგნი, რატომ არ მჩუქნიო -
ისევ გამიჩმახა სახეზე მოციმციმე ღიმილით.
ცოტა ნასვამმა შევუბრუნე -
არ კითხულობ მაინც ამ ჩემს წიგნებს
და რად გინდა-მეთქი.
აი, თენგო, ვიცი, წაიკითხავს, იმას ვაჩუქებ
და თუ გინდა მერე გამოართვი-მეთქი.
უცინა სოსო ბაძაღუამ რამდენიმე წამი თავის ანგელოზს,
მერე შემომხედა და მითხრა:
ის შენი ძველი ლექსები კი ვიცი,
მწვანე კალბასებზე რომ წერდი,
ახლა რას წერ, ის მაინტერესებსო.



ეროვნული ბიბლიოთეკა

არასდროს დამიწერია თითქოს ლექსი მწვანე კალბასებზე,
მაგრამ უცებ მივხვდი,
იცოდა სოსომ ჩემი ლექსები
და ძალიან ზუსტადაც ხვდებოდა,
რაზე იყო.
რაღაც ეგეთზე - მწვანე კალბასების მსგავსზე.
და ახლაც ეგეთია.
ასეც ვუთხარი.
რომ არაფერი შეცვლილა.
რომ ახალ წიგნში ზღვის კომბოსტოს კონსერვებზეა ლექსი.
გზის პირას ვიდექით უკვე.
დავიშალეთ.
და წავიდა სოსო ბაძაღუა,
გაიყოლა თავისი მოციმციმე ღიმილი
და თავისი ანგელოზი.
და დამიტოვა განმარტება საკუთარი პოეზიის -
პოეზიის - მწვანე კალბასებზე.

## სანტექნიკოსების სევდა

მე და საშა კორნილოვი
ქუთაისიდან გამოგზავნილ
საბარძიმე ღვინოსა ესვამთ -
ქრისტეს სისხლი მის თავადურ სისხლს ერევა -
და მუქი მოდის.
უნიტაზი ამუშავდა,
გაიწმინდა გაჭედილი მილები და
შხაპიც შეკეთდა -
უხარიათ ბავშვებს.
საშას შვილი არა ჰყავს.
3 წლის წინ ცოლი მოუკვდა.
3 წლის წინ ცოლი მოუკვდა ტარიელსაც -
ჩემს მეორე სანტექნიკოსსაც.
ტარიელი (თხინვალელი) შინაურია,
საშა კი მაინც ჯერჯერობით უხერხულად ზის.
სიბინძურეებს რომ ებრძოდა,
აღარც ეტყობა.
ოდნავჭაღარაშეპარული, დავარცხნილი თმა,
შარვალ-კოსტუმი,
დახვეწილი სახის ნაკვთები...
გაირკვა, რომ ტოლები ვართ.
ტარიელზე ვუყვები -
საქმეს რომ მორჩება,
როგორ წამოყრის ბავშვებს კომპიუტერიდან
და ფსონებს დებს,
და როგორც წესი, იგებს ხოლმე.
თქვენს სახლში მუდამ მიმართლებსო, - ამბობს,
მე კი ვეხუმრები, მოგების წილს ვთხოვ.
მე და საშა კორნილოვი
კოტე კიკნაძის გამოგზავნილ
საბარძიმე ღვინოს ვსვამთ და
ზარმაცებზე ვლაპარაკობთ.
ყველაზე უფრო ზარმაცებს უჭირთ -
მეუბნება საშა, ჩუმდება, მერე ამატებს -
და იციან, რის გამოც უჭირთ...
შეგვიანდა. დროა გაუყვეს სახლისკენ გზას -
მარტო ცხოვრობს ვაზისუბანში.
მარტო ცხოვრობს ტარიელიც:
„ E, :0: =5 >E>B0 C9B8!" –
რუსულ ფრაზას ურთავს საშა.
ვაჩერებ და დოქი გამაქვს,
ისევ ვავსებ.
არ უნდა საშას თავის სევდასთან მარტო დარჩენა.
არ უნდა ტარიელს თავის სევდასთან მარტო დარჩენა.

პოეზია ელექტრონული ბიბლიოთეკა

სანტექნიკოსის სევდა მაინც სხვანაირია -
სუფთა და მძიმე.

## მილიარდერი მესაფლავე

*62 წლის ბრაზილიელმა მილიარდერმა გადაწყვიტა საყვარელი ნივთები საიქიოში გაიყოლოს. მან საკუთარი „ბენტლი" თავისი სახლის უკანა ეზოში ჩამარხა, სადაც სიკვდილის შემდეგ სამუდამოდ აპირებს დამკვიდრებას.*

ჩემი სახლის წინ დიდი ხანი მე საფლავს ვთხრიდი,
კოსტუმი მეცვა საკუბოე, მზე დამნათოდა.
ფაფუკ ხელისგულს მიტყავებდა ხის ტარი ნიჩბის,
ვიტანჯებოდი, და ეგონათ, რომ ეს მართობდა.

მწვანე კოინდარს, მოხასხასეს, კოხტად გაკრეჭილს,
ვებრძოდი ისე გაშმაგებით, საიდან გაჩნდა -
ვერც კი ვხვდებოდი - უცებ ჩემში ასეთი ღონე.
თეთრ მანჟეტებს კი უკვე სისხლის ლაქები აჩნდა.

თეთრი პერანგი ოფლისაგან იწურებოდა,
მდიოდა ხვითქი, ვქოშინებდი, შემეძლო ხელი
დამექნია და მყის შემცვლიდნენ ჩემი მუშები,
მაგრამ ვილაცა ჩამძახოდა, ეგ შენი მხრწნელი

სხეული მალე ამ კოინდრის ქვემოთ რომ ჩავა,
რას იზამ მერე, რომ დარჩები იმის გარეშე,
რასთან ერთადაც იცხოვრე და ისიამოვნე!
ეგ შენი „ბენტლი" თუ იდგება ისევ გარაჟში,

ხომ გაგიჟდები მარტოსული, რომ ველარ იგრძნობ
ტყავის სავარძელს ტრაკქვეშ, ხოლო ხელებში - საჭეს!
ამიტომ ვთხრიდი, წითელ ბელტებს ვჭრიდი, ვისროდი,
დაბლა და დაბლა ჩავდიოდი, ჭიების საჭმელს

ვემსგავსებოდი, კოსტუმიც ხომ ასეთი მეცვა -
საკუბოე - და ჩემი „ბენტლიც" შავკოსტუმიან
მამაკაცს ჰგავდა, თავმომწონეს, ყველაფრის შემძლეს,
სასახლეებში მცხოვრებსა და მუდამ სტუმრიანს.

კაცის საფლავი ორ მეტრაზე უნდა გაიჭრას,
ეგეც რთულია, მაგრამ როცა მანქანის საფლავს
ჭრი, მაშინ ხვდები, რა მძიმეა მდიდრის ცხოვრება,
რამდენი ტანჯვა-წამება და სიმუხთლე ახლავს.

ექსკავატორი ბოლოს მაინც დავიხმარიე,
ასეთ მასშტაბებს შემართება ჩემი არ ეყო.
მერე დავდექი გულმომკვდარი, დამწუხრებული,
და დაველოდე, რომ ჩემს „ბენტლის" ცხვირი ჩაეყო

ამ გრძელ საფლავში, და ნელ-ნელა, სრიალ-სრიალით
ჩაშვებულიყო ჩემზე ცოტა ადრე იქ, სადაც
მექაჩებიან ბრმა ძალები ასეთ უძლეველს,
და ჩამძახიან, გაგივაო შენც მალე ვადა.



მიწას აყრიდნენ, გრუხუნებდა მისი კაპოტი
და საბარგული. მე ვტიროდი, თეთრ ცხვირსახოცზე
ვაშრობდი ცრემლებს და ვფიქრობდი, რატოა, ღმერთო,
ამდენი კარგი კაცი, ნივთი - ამოსახოცი.

მე ჩემი „ბენტლი" გავისტუმრე ახალ გარაჟში
საიქიოსი, იქ დამხვდება, დამიპიპინებს,
გაგვეხარდება ერთმანეთის ისევ დანახვა,
გაგვეხარდება, რომ კვლავ ებზინავთ და კვლავ ვსლიპინებთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკოლას მაჩაბელი

# ბოროტების გზა

*ეძღვნება თამთას*



## I

ამას ცხოვრებაში ვერ წარმოვიდგენდი, ვერ წარმოვიდგენდი თუ ოდესმე მიმტანი სერიოზულად მომეწონებოდა. ფილმებში და სერიალებში დატრიალებული ეს ბანალური სცენები, კლიენტისა და მიმტანის რომანი მუდამ სასაცილოდ მეჩვენებოდა. მართალია, არაერთხელ შევხვედრივარ მომხიბვლელ მიმტანს, თუმცა სერიოზულად არავის წავფლირტავებივარ და გულშიც არავინ ჩამვარდნია, და ერთ დღეს გამომეცხადა თამთა.

ყველაფერი 3-4 თვის წინ დაიწყო, როცა ჩემს იმდროინდელ შეყვარებულთან ერთად ოპერის გვერდით, ლალიძის ქუჩაზე ახალგახსნილ „ჩაის სახლისკენ" გავეშურე. ჩემი შეყვარებული „შოკოლადის ბლინებზე" ანძრევდა, მე კი ბავარიული პიტნა მევასებოდა და ტორტანელო, მაკარონში ჩადებული ლორი უგემრიელესი სოუსით. ჩემს შეყვარებულს ტრადიციულად მენსტრუაცია ჰქონდა, წუწუნებდა და ტვინს ჭამდა, არაფრით არ წყნარდებოდა, ხომ გახსოვთ ერთი ლადაობა, რა განსხვავებაა ტერორისტსა და მენსტრუაციან ქალს შორის? ტერორისტთან მოლაპარაკება შეიძლება, მენსტრუაციან ქალთან შეუძლებელია. მოკლედ, აი, ასეთ ხასიათზეა ჩემი შეყვარებული და უცნობმა მიმტანმა (იმ წამს პირველად დავინახე) შეკვეთილი ბლინები რომ მოიტანა, ეს ჩემი შეყვარებული ცოტა ხნით გაჩუმდა. გულში ვლოცავ ამ მიმტანს, მაგრამ საერთოდ არ ვაქცევ ყურადღებას, ვფიქრობ, როგორ დავაწყნარო ჩემი გოგო. ასე თუ ისე, გადავურჩით აფეთქებას და „ჩაის სახლიდან" გასვლისას ჩემმა შეყვარებულმა ამ ჩვენს მიმტანს მადლობა გადაუხადა, მე კი უკეთ დავინახე მაღალი, გამხდარი და კვანტფეხებიანი გოგონა.

დღეები გავიდა და მორიგი ანომალიური შეტევების შემდეგ მე და ჩემი შეყვარებული დავშორდით. ბუნებრივია, ახლა იფიქრებთ, რომ შემთხვევით გადავაწყდები ამ მიმტანს, ან სპეციალურად დავაწვები „ჩაის სახლისკენ"? არა, შეყვარებულის მერე ორ კვირაში ერთი სირბანგლა გამოჩნდა, რომელმაც ჯერ იყო და ინტერვიუზე დამიბარა, მერე განმიცხადა, აგიყვანეო და მისი ასისტენტი გავხდი, ბოლოს საერთოდ უცნაური ზარი გაისმა, შენს სახლთან ვარო და ამოვალო. ეს ზარი იყო და ჩავთვალე, რომ ამ სირბანგლას ჩემთან წერაობა უნდოდა. ერთი სიტყვით, ყველაფერს აკეთებდა, ერთი იმას არ მეუბნებოდა, მოდი, ჩემი ნვრილი და შეკუმშული ფეხები გადამიწიე და იქნებ რამენაირად გაქაჩო ჩემი ვიწრო საშოო. ნუ, მე როგორც გოიმი გოიმთა შორის ავხტი და ვეპატიჟებოდი ჩემს სირბანგლას ხან სად, ხან სად. და აი, ისევ დადგა „ჩაის სახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის" დრო. აზიურ კუპეში ფეხმორთხმით დავსხედით და შევუკვეთეთ, გამოიცანით, რა? ჰო, ჰო, ამასაც „შოკოლადიანი ბლინები" ევასებოდა. ამ გოგოებს ერთნაირი გემოვნება რატომ ჰქონდათ ამას ვერ ვხვდებოდი, ასე როგორ ჰგავდნენ ეს ჩემისები ერთმანეთს. მაშინ მეორედ ვნახე თამთა, თამთა, უკვე ნაცნობი მიმტანი, ნაცნობი სიარულის მანერით, წიწკვა ტანით, კვანტფეხებიანი. იმ დღეს კარგად შევხედე სახეზეც, ერთი უბრალო, უფერული სახით, ბოშა კანით, დაღლილი და სევდიანი თვალებით იყურებოდა ჩემი მიმტანი. რომ დამინახა მიცნო, ეს იყო პირველი ნაცნობობა.

მეორე გოგოს მესამე მოჰყვა, და ასე ჩემი მიმტანისთვის მუდამ ცვლად გოგოებიანი კლიენტი გავიჩითე, ფამილარული. მესამე მისვლაზე უკვე ქერათმიან, ჩემზე ასაკით 4–5 წლით დიდ გოგოსთან ერთად ვეწვიე. ჩემი ქერა მიუხედავად იმისა, რომ 29 წლის იყო, უფრო 35–40 წლის დამა ქალების სტილზე იცვამდა და იქცეოდა. მესამესთან ერთად „ჩაის სახლში" უკვე აღვნიშნე თამთას სინორჩე, თუ როგორ ლამაზად მიარწევდა სხეულს, კვანტფეხებიანი. ქერათმიანმა პარტნიორმა სხვებივით „შოკოლადის ბლინები" შეუკვეთა, ჩემი სახე შეგიძლიათ წარმოიდგინოთ ამ შეკვეთისას. მე და თამთას ერთმანეთზე თვალის გაკიდება შესამჩნევი იყო, ქერამ განმიცხადა, ამ მიმტანს მე მოვწონვარ, აქეთ ჩემს გამო იყურებაო. ლამის ნიძლავი დავუდეთ ერთმანეთს, რომ თამთა ლესბოსელი არ იყო. მერე მოგეხსენებათ ქერების ამბავი, ჩაძიებები, ქართული დედა-პაპური გაჭედვის ფორმები.

არ დადგა ჩვენი დაახლოების დრო? არამც და არამც, მერე იყო უკვე ორ გოგოსთან ერთად სტუმრობა „ჩაის სახლში". მე უკვე გულში ვლადაობდი, „ჩაის სახლი" პროცენტებს უნდა მიხდიდეს, რაც მე აქ კლიენტი მიმყავს-მეთქი. იმ დღეს შევუკვეთე ჩემი საყვარელი ჩაი ბეილისით და კარამელით, სენდვიჩთან ერთად. გოგოებთან ერთად რაღაცაზე ვიცინი, რომ თამთა მოადგა ჩვენს მაგიდას, მოადგა და ექსპრომტად მკლავზე ვტაცე ხელი და პულსი გავუსინჯე, დამჯერი ბავშვივით თავჩაქინდრული გაჩერდა და მელოდა. მისი პულსის ცემა პატარა ანკარა წყაროსავით ჩქეფდა, ჯერ მესიამოვნა რბილ და თბილ კანზე შეხება, მერე კი ხელი ვუშვი და ამაზრზენი იგნორით, ვითომც არაფერი ყოფილიყოს, გავაგრძელე საუბარი გოგოებთან, თამთა დაბნეული გაგვშორდა. ეს იყო ჩემი პირველი მწარე კბენა თამთასთვის, რომელიც, რა თქმა უნდა, იმ მიზანს ემსახურებოდა, რომ მასაც შევემჩნიე.

და იყო მეხუთე სტუმრობა „ჩაის სახლში". სამი მწერალი, მე, მსუქანი შოთა და ბესო იტალიურ კუპეში დავსხედით და ლიტერატურაზე ვბაასობთ, ბიჭებს შევპირდი, რომ ჩემს საყვარელ ბეილისიან ჩაის გავასინჯებდი. თამთა ჩვენს მაგიდას ემსახურება, მოდის და მეუბნება:

- თქვენი საყვარელი სენდვიჩი და ბეილისი? - შევიცხადე.

- აჰ, გამარჯობათ (აგდებული ტონით), საიდან იცით?

- წინაზე იყავით.

- უკაცრავად, არ მახსოვხართ, ეს გოგონა კი მახსოვს. მეორე მიმტანს ვულიმი ნაგლად. – არ თქვენც მეცოდინებით. ისევ თამთას მივმართავ ირონიულად. ბიჭები ლადაობენ, ვიცინით, ჩემი ირონიის ზენიტში ვარ, ვაი, რომ მალე დაგცემენ, ნიკოლას.

ჩემი მიმტანის გულში, ალბათ, ამპარტავანი და ბურჟუა, დამპალი ბიჭი გავიჩითე. ჩემი ქედმაღლობა დიდხანს არ გაგრძელებულა, ყველა ირონია და ინდიფერენტულობა ჩემი მიმტანის მიმართ საშინელ სინანულად და სასტიკი სამაგიეროებით დამიბრუნდა.

## II

უცხოეთიდან ახალჩამოსული ვიყავი, ხშირად მიწევდა ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში კონფერენციებზე გამოსვლა. მხოლოდ, გთხოვთ, შარვალ-კოსტუმიან მეცნიერს ნუ წარმოიდგენთ, რადგან ეს იყო ყველაზე არამეცნიერის სტუმრობა კონფერენციებზე. არა, არა, არც თვითმართველობის როჟად არ წარმომიდგინოთ, მათ მუდამ ვაგინებდი, სჯობს უფრო მეამბოხე, მორევოლუციონერო, ფლიდ ინტელექტუალად და კვაზიავანწიურისტად დახატოთ ჩემი პერსონაჟი, მეცნიერების დაწაფების წყურვილით შეპყრობილი.

მოკლედ, ჩვენს ამბავს მივუბრუნდეთ, უცხოეთიდან ახალი ჩამოსული ვიყავი, რომ რესპუბლიკის მოედანზე გზა გადავჭერი და მექანიკურად პეროვსკაიას მხარეს გავიხედე, შემრჩა უხერხულად მომღიმარი ჩემი მიმტანი, ჩემი თაამთა. ქართულ ფილმებში რომ არის ხოლმე გულიანი მიმართვა „ჩემი თაამთა". მივესალმეთ ერთმანეთს, ხელი გავუყარე და ერთ გზას ვადგავართ, ზებრაზე უნდა გადავიდეთ, რომ ტაქსისტი გზას არ გვითმობს. კიდევ ერთხელ მომიწევს აღნიშვნა, რომ უცხოეთიდან ახალდაბრუნებული ვარ, სადაც მხიბლავდა მძღოლების გულთბილი ღიმილი და გზის დათმობა, აქ კი, მშობლიურ ქალაქში, პირველივე დღეს მოულოდნელად ეს ტაქსისტი ჩემს ევროპულ შეგრძნებებს აცამტვერებს. აცამტვერებს და ვჭედავ, ვუჭედავ ტაქსის მძღოლს, რომ ზებრაზე მოქალაქე უნდა გაატაროს, ტაქსისტიც არ ჩერდება, ვყვირი, ბოლოს კი გინებით და ხელების ქნევით ვტრიალდები. თამთა დაბნეულია. ჩვენ ერთად ვაგრძელებთ გზას და ახლობელი ადამიანებივით ვსაუბრობთ. ყველაფერი ბუნებრივად მიედინება, ყველაფერი თავისთავად ეწყობა, თითქოს, დიდი ხნის ნაცნობები ვართ. მე მას მეგობართან ვაცილებ მთაწმინდაზე. თამთა იღიმის და ეს რაღაცას ნიშნავს ჩემთვის.

ჩვენი პირველი მოულოდნელი შეხვედრა და პრაივიტ სეირნობა იყო ორი კვირის წინ, პარასკევ საღამოს. პარასკევს შაბათი მოჰყვა, შაბათს კვირა და ჩვენ უკვე დაგეგმილად ყოველ ღამე ვხვდებით ერთმანეთს. გამიმართლა იმაში, რომ თამთა ჩემთან ახლოს ცხოვრობდა ტაშკენტის ქუჩაზე, ამიტომ ჯერ დავსეირნობთ პეკინის ქუჩაზე, ვაჟაზე, კანდელაკზე, შარტავაზე, ვუვლით გარს საბურთალოს უბნებს და მერე ჩემს ეზოში, ბუდაპეშტზე ვსხდებით. იქ ვაგრძელებთ საუბარს ღამის 2-3 საათამდე,

ეროვნული

თამთა კი პერიოდულად სიგარეტს აფუილებს. თამთა როცა ეწევა, ე.ი. სამსახურის პრობლემებზე მეწუწუნება, მიყვება როგორ დაიღალა მენეჯერის უსამართლო მითითებებით, მეუბნება რომ ემოციურია, ფსიქიკურად არც ისე გაწონასწორებულია. მას დასამშვიდებლად ჩემს ამბებს ვთხზავ ხოლმე, რომელიც უფრო რადიკალურია, და ჩემი მოსმენის შემდეგ მშვიდდება. მიზანს ადვილად ვაღწევ, უკეთ ხდება. ფეხით დავდივართ ღამის თბილისში, მარტის სიცივეა, მაგრამ ჩვენ არ გვცივა, ჩვენ ერთმანეთის ამბები, ერთმანეთის ამოცნობა გვართობს.

სოციალურ ქსელშიც გვაქვს მიმოწერა, სადაც მეკითხება, თუ რომელი ზოდიაქოს ნიშანი ვარ. ამ კითხვას ვერ ვიტან, ვიცი, რომ გადახედავს თავისას და შეადარებს, რამდენად შევეწყობით ერთმანეთს. ყველაზე დიდი უბედურება კი ისაა, რომ ყოველთვის ამართლებს, ხანდახან იმასაც ვფიქრობ, რომ ასტროლოგიას უფრო ძალუძს ქალ-ვაჟურ ურთიერთობებში დაგაკავალიანოს და დაგეხმაროს, ვიდრე ქრისტიანობას და ეს ნერვებს მიშლის. მიტყდება, რომ ასეთია ჩემი ღმერთი. თუ ყველა საკითხში შეუძლია დაგმოძღვროს, აი, გოგოს შებმაზე ქრისტე არაფერს გვეუბნება, ქალის სიყვარულში ვერაფერ გამოსავალს ვერ გთავაზობს, მარტო დაითმინე, მოითმინე და შეიკავე. მე და თამთას ზოდიაქოს ნიშნები არ ეწყობიან ერთმანეთს. ასტროლოგია ყოველთვის ამართლებს.

ამ ყველაფერს კი ის ემატება, რომ თამთა გერმანიაში აპირებს წასვლას, უახლოეს მომავალში, Au-pair-ის პროგრამით ბეიბისითერად გაემგზავრება დოიჩლანდში ვიღაც გერმანელის ბავშვის მოსავლელად. აქ ძალიან უჭირს ცხოვრება, ამიტომ გადაწყვიტა გერმანიაში მრავალრიცხოვან ქართველი გოგოების კასტას შეუერთდეს, კასტას, რომელიც საქართველოში იბადება, შემდეგ კი გერმანიაში ბეიბისითერებად გარბის. როგორც წესი, შემდეგ იქ რჩებიან, ვითომ სასწავლებლად, საბოლოოდ კი ადგილობრივს ააგდებენ და ვიღაც ჰანსს ან ჰაინრიხს დარჩება ახალგაზრდა, ფაფუკი და მშობლიური Georgian სილამაზე. ეს გოგონები ქრებიან ქართული რეალობიდან, საქართველოს ბიუჯეტს კი ახსოვს მათი გადმორიცხვები, ოჯახებს დასდევთ მათი მოგონება, რეალურად კი ეს გოგოები აღარ არსებობენ. საქართველოს ეროვნული ბანკი, ალბათ, ლოცულობს, რაც შეიძლება მეტი ასეთი გოგო დაიბადოს, რაც შეიძლება მეტი აღარ დაბრუნდეს უკან, ევროები კი რიცხონ და რიცხონ მოხუც და გაჭირვებულ მშობლებთან. 90-იან წლებში დაბადებული ამ გოგოების ბედი, რომლებიც ბეიბისითერები ხდებიან და მერე ქრებიან, არავის ადარდებს, არც მედიას, არც სოციალურ ქსელებს, არც მთავრობას, ყველა ივიწყებს მათ იმის იმედით, რომ ისინი იქ უკეთესად არიან. არადა, ვინ იცის რამდენი უცხო და საზარელი ამბის გადატანა უწევთ მარტო. უცხოეთში გაქცევის ეს უმარტივესი გზა ძალიან პოპულარულია, 90-იან წლებში დაბადებული გოგოების ნახევარი ბეიბისითერობის გზას ადგას, ეს გადინება თავის დროზე რაღაცას გვეტყვის, ვგრძნობ, ვგრძნობ, რადგან მომავლის მჭვრეტელი მწერალი ვარ.

თამთას ერთხელ სახლთან მივადექი „დომინოს" პიცებით და ჩემს ეზოში წამოვიყვანე. ის უკვე სხვანაირად იქცევა, უკვე აქტიურად მეპრანჭება, ბავშვურად თამაშობს. მინდა ყოველ წამს გულში ჩავიხუტო, ვერ ვიკავებ თავს და კომპლიმენტებით ვავსებ, ვარქმევ უამრავ მოსაფერებელ სახელს, რომლებზეც ჯერ ცხვირს იბზუებს, მერე კი ეჩვევა და სიამოვნებს. განვიხილავთ Lana del Rey-ს ბოლო კლიპს, სადაც ლანა ცდილობს სხეულის უჩვეულო ფორმების სილამაზე დაგვანახოს. ვსაუბრობთ კინოზეც, მას ვუდი ალენი უყვარს, მე კი ვერ ვიტან ამ ამერიკელ ბებრუხანას და უბერებელი ფრანგი ბესონი მევასება. პიცას ვჭამთ, კუჭი მშვიდადაა, ანუ ყველაფერი კარგადაა, არანაირი დაძაბულობა, ყველაფერი ბუნებრივად მიდის.

ერთ ღამეს ქრიზანთემებს ვყიდულობ სადღეღამისო ყვავილების მაღაზიაში, ძალიან უბრალოს, თეთრ, აკეირტებულ გვირილების მსგავს ყვავილს და თამთას სადარბაზოსთან ვხვდები. ყვავილები მოსწონს, თვალები უცეკვავს, იღიმის და თავის მოუსვენარ თავს მიქიცინებს, თავის მუქ შავ თვალებს მკვლელი მზერით მაჭერს პირდაპირ გულზე, მირტყამს ფეხებს ანცი ბავშვივით და რაც მთავარია, ჩლიფინებს, თოთო ბავშვის ხმაზე მესაუბრება, აზრებს ვერ აბამს. ნელ-ნელა ვაანალიზებ, რომ შეიძლება არ გიჟდება ჩემზე, მაგრამ აშკარაა, რომ მოსწონს ჩემთან ერთად ყოფნა, მასზე დადებითად ვმოქმედებ, ის ჩემ თვალწინ იცვლება, აღარ ჰგავს იმ მიმტანს, რომელიც დაჩაგრულია და თავდახრილი. ჩემს მიზანს ვაღწევ, თამთა ჩემთან იცვლება, თამამდება, თავისუფლდება, გამბედავი ხდება. კინოკადრებივითაა ჩვენი ღამის სეირნობები, თავი მარჩელო მასტროიანი მგონია ვისკონტის „თეთრ ღამეებში", ვიწყებ მცდელობას, შევცვალო დოსტოევსკის ტრაგიკული ამბავი, სხვა დროსა და სხვა სივრცეში. იქნებ აქ, თბილისის ქუჩებში, მაინც არ ატირდეს მასტროიანის გმირი და იქნებ აქ მაინც არ დატოვოს მშვენიერმა გოგონამ ერთგული იტალიელი.

ზედიზედ რამდენიმე საღამოს შემდეგ თამთაზე უფრო ხშირად ვფიქრობ. როგორც წესი, ურთიერთობის დაწყებაზე უფრო რთული ურთიერთობის შენარჩუნებაა. მთავარია როგორ და რა ფორმით ინარჩუნებ ურთიერთობას. გაცნობა და ტრალი-ვალი სივის გაზიარებას ჰგავს და ადვილია. კიდევ უფრო ადვილი გზაა გაქცევა, ერთი ხელის ჩაქნევა, დაკიდება. მოკლედ, დამიჯერეთ, მთავარია როგორ ინარჩუნებ, თორემ დაწყება და დასრულება არაფერია.

მე კი, როგორც წესი, დაწყებულ ურთიერთობებს ძალიან ცუდად ვინარჩუნებ. გოგოები ძალიან მალე კარგავენ ჩემდამი ინტერესს. ამიტომ ვცდილობ ჩემი მიმტანი არ შევაწუხო და გარკვეული ინტერვალებით შევეხმიანო, ყოველდღიური მომაბეზრებელი არ გავხდე, არ ვიჩქარო.

ერთ ღამეს „ამო რამეში" გავედით, მე როგორც ამპარტავანი და ბურჟუა, ღვინოს ვუკვეთ, ის კი როგორც დაღლილი და სევდიანი პლებეი - ჩაის. „ამო რამეში" არავინ არაა, ჩართულია სასიამოვნო მუსიკა, ვეუბნები რომ ვიცეკვოთ, უარზეა. ვეუბნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბი, რომ ცეკვა სხეულის, და მაშასადამე, სულის თერაპიაა, ისევ უარზეა. ისევ არ ვცეკვავთ, მე კი ვოცნებობ ცეკვაზე და ვუყვები, როგორი მოუხელთებელი მოცეკვავე ვარ, ვუყვები, თუ როგორ გარბიან გოგოები, როცა ცეკვას ვიწყებ მათ თვალწინ. თამთას ელიმება. მერე ვეუბნები, რომ სელფები გადაიღოს, ან ორივემ გადავიღოთ, უარზეა; ვეუბნები, რომ თეატრში წავიდეთ, მპასუხობს, რომ ვერ მოიცლის. ყველაფერზე უარს მეუბნება, მეფიქრება, რომ მოწყინდა და მობეზრდა. „ამო რამედან" გამოვდივართ, თოვლის მქრქალი ფანტელები ცვივა, შუა მარტის თვეში, თამთას უხარია, ისევ ბავშვივით ილიმის, ჩემი მიმტანი უკვე ჩემი დედოფალია, ისე ვზრუნავ მასზე. ვარ ძაან გულწრფელი, ეს კი ჩემი გამოსირებული ბავშვობის ძმაკაცის ბრალია, ერთხელ რომ ვკითხე რჩევა, ბრძნული აზრი დადო, თუ გოგო გულით მოგეწონება, მასთან გულწრფელი უნდა იყოო, არაფერი არ უნდა დამალოო, და თუ გაგიგებს, ეგ არისო. მეც ასე ვიქცევი, თამთას ვეუბნები, რომ ვნუხვარ, თუ ოდნავ მოიწყინა ჩემთან, მაპატიოს ჩემი ბანალური შეთავაზებები, ჩემი ბრალია ასეთი უინტერესო რომ ვარ, და ამ წინადადებით თამთასთვის აზრს ვკარგავ. ის ოთხშაბათი ისევ თამთას მიცილებით მთავრდება. ღვინით ცოტა გაბრუებული დამშვიდობებისას ვაჩერებ, ორივე ხელით ვიჭერ მის თავს, ჯერ ერთ ლოყას ვეამბორები, მერე კი მეორეს, ის კი გაბადრული ოდნავ შემკრთალი დგას და ბრწყინავს. მე მგონია, რომ ეს უსაყვარლესი მომენტია, რომანწიკაა, მეგობრები ამ ამბის მოსმენისას „კარმას გამორთავენ" ისე ჩათბებიან, რომელიმე ძაან აქტიური შეიძლება ჩასველდეს კიდეც, ან საშო გაათავებს, ან პენისი დაღვრის თბილ სითხეს.

და ეს ყველაფერი ერთ საღამოსაც, ჩვენი პირველი შეხვედრიდან ორი კვირის თავზე მოულოდნელად სრულდება.

## III

*ჩანართი ფრანგულის რვეულიდან, დაწერილი ჩაის სახლში, ქიაჩელზე*

„ყველაფერი წინასწარ ვიცოდი, მაგრამ მაინც ასე ვიქცეოდი, არ ვიცი რატომ ან როგორ, ფეხები თავისით მიდიოდნენ, საკუთარი თავისთვის მინდოდა დამემტკიცებიან, რომ მშიშარა არ ვარ, რომ შემიძლია რეალობას თვალი გავუსწორო.

ვიცი რომ ძალიან შეგაწუხე, დღეს სამჯერ დაგირეკე, სამჯერ მომიშორე ტრალი-ვალი, ტრალი-ვალი, ტრალი-ვალი. შეიძლება არც მიშორებდი, უბრალოდ ისეთი დაღლილი იყავი, ჩემო მიმტანო, რომ არაფრის თავი არ გქონდა, არის კიდევ ვერსია, რომ მოგაბეზრე თავი, მიუხედავად იმისა, რომ მახსოვს შენი სიტყვები, „ნერვებს მიშლი, არ მაწუხებ".

ფაქტი სახეზეა, დღეს საშინელი დღე იქნება. მოვედი ქიაჩელზე „ჩაის სახლში" და შენ აქ არ ხარ. რატომ მომატყუე? არ გახსოვარ? ხომ მითხარი აქ ვიქნებიო?

მე უკვე გავიზარდე, მე უკვე შევეჩვიე ამ ყოველივეს, ამ თავის არიდებებს და მოშორებებს, ღმერთის უპასუხისმგებლობას ჩემს წარუმატებელ ურთიერთობებში, და თუ არა ის, ღმერთი, ვინ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა ჩემს გულგატეხვებზე? ღმერთს ვაკისრებ სრულ პასუხისმგებლობას ჩემს გულისგატეხვებზე. თუ გინდათ ზუსტად მოგიყვებით ყველაფერს, რაც კი მოხდება, მე ვიცი ყველაფერი როგორ მოხდება, უბრალოდ ყოველთვის ყველაფერს ძალიან კარგად ვგრძნობ, ვგრძნობ, რომ შენ, ჩემო მიმტანო, საერთოდ აღარ გამოჩნდები ჩემს ცხოვრებაში, ვგრძნობ რომ ყოველი ჩემი შემდგომი ნაბიჯი განწირულია, უარიელის ყველაფერს, შეხვედრას, ზარს, მესიჯს, ყველაფერს დააიგნორებ, იმიტომ, რომ ასე იქნება.

მე კი როგორ მომწონდა შენი „კარქი, კარქი", შენი ბურდღუნები, შენი თლიფინები, მონუსხული ვარ შენი დაულაგებელი წინადადებებით, ბენტერობით, შენი სხეულის გნიასით, ხელების და ფეხების ინტიბარით, კვანტფეხებიანო, შავი გრძელი კარმენიტა თმით და შენი თუთისფერი ტუჩებით.

სად ხარ ჩემო? რატომ მოხდა ეს ყველაფერი? რატომ მოხდა ყველაფერი ასე? და რატომ დასრულდა?"

ამ ჩანაწერს ჩვენი პირველი შეხვედრიდან ორი კვირის თავზე „ჩაის სახლში" ვწერ ქიაჩელზე, ჯერ არაფერი არაა მომხდარი, თუმცა მე აშკარად ვგრძნობ, რომ წინ მწარე საღამო მელის.

თამთამ მითხრა, რომ ქიაჩელზე იქნებოდა, მეც ავედი იქ. თამთას გარდა ყველა რჯულის მიმტანი ტრიალებდა, ის კი არ დამხვდა. მარტო დავჯექი ფანჯარასთან ორსკამიან მაგიდაზე, ვიყურებოდი ქუჩაში, პეროვსკაიას დასაწყისი და რესპუბლიკის მოედანი გადაშლილიყო ჩემ თვალწინ. ვწერდი იმ ჩანაწერს და მივირთმევდი ბრაუნის ნამცხვარს. შეხედეთ, სუფთა კლასიკური კინოა, ახალგაზრდა მწერალი ზის კაფეში მეორე სართულზე და წერს მიმტან სატრფოზე, თბილისური საღამო კი გარეთ მოძრაობს. ვგრძნობდი გულდაწყვეტას, ვგრძნობდი სევდას, მაგრამ მაინც არ ვეპუებოდი, თან სერიოზული არაფერი არ მომხდარა, ყველაფერი წინ მელოდა, მე კი უკვე ყველაფრისთვის ვემზადებოდი, მსურდა ყველაფერი მალე გამეგო, მალე მენახა რა მოხდებოდა, მუღამში ვიყავი, საკუთარი ამბის ეშხში შევედი.

იმ წერილის დაწერის მერე ვერ მოვისვენე და ჩემს მიმტანს ფეისზე მივწერე, მიპასუხა და შეხვედრაზეც დამთანხმდა. როგორც ამიხსნა, მეორე „ჩაის სახლში" წასულა, ოპერასთან, და ამიტომ არ დამიხვდა ქიაჩელზე.

შევხვდით იმელის შენობასთან, თამთა ყველაზე ლამაზი, უცხო და საინტერესო მეჩვენა იმ ჩვენს ბოლო შეხვედრაზე, ლურჯი კაშნე მოეგდო გრძელ კისერზე, შავი კარმენიტა თმა გაეშალა და შავი პალტო ჩაეცვა, რომ დამინახა ისევ აცანცარდა.

ერთად რომ დავუყევით გზას, ორივე ვცქმუტავდით, ლოყებზე ვეთათუნებოდი, ცხვირზე ვეპუსებოდი, კისერში ვაკოცე, ისიც მიღიმოდა, არანაირი აგრესია, არანაირი ირონია, ვიწრო ქუჩებმა ვერის ბაღის გადასახედ ხიდთან მიგვიყვანა. თამთა პირველად ხედავდა იქაურობას. ჩვენ წინ ჩანდა ღამის თბილისი, მტკვრის სანაპიროები, მანქანების ბრიალი, შორს - სამება, პრეზიდენტის სასახლე, მარჯანიშვილის თეატრი და გალაკტიონის ხიდი. ყველაფერი ერთმანეთში ისე იყო ჩასმული, ისეთი ლამაზი იყო, ჩემი მიმტანი კი ქალაქის ფონზე დახტუნავდა, კვანტფეხება. როცა დაიღალა, სკამზე ჩამოვჯექით, ცოტა აწერვიულდა, ხანდახან თვალებს ისტერიულად აპაჭუნებდა.

თამთამ ცას ახედა და ვარსკვლავები და მთვარე შერჩა ხელში, დაიწყო ისევ ჩლიფინი და დიფდიფი, თავისი თიანეთის შესახებ, თუ რა ლამაზია და რა კარგია ზაფხული სოფელში მოჭედილი ცას ქვეშ, იჯდა ცისმემყურე და პატარა მეოცნებე ბოშა იყო, ჩემი ნომადი, ჩემი კარმენიტა იყო იქ ვერის ბაღში. ყველაფერი შეიცვალა ვერის ბაღიდან რომ გამოვედით.

კოსტავაზე ფეხით ჩამოვდივართ და მე თავად არ ვიცი რატომ, როგორ, თამაშით და მეგობრულად, საყვარლობითაც კი, სრულიად უვნოდ მუხლით ტაკოზე წავკარი, პატარა პანჩურივით.

ეს რა ქენი? მეორედ აღარ ქნა. მომესმა სიცივისგან კაშნეპირაფარებული თამთასგან. მე კი თამაშს ვაგრძელებ, ეშხში შევდივარ:

მეორედაც სიამოვნებით ამოგარტყამ პანჩურს.

– რაა? რატომ აკეთებ ამას? მიტრიალდება უკვე კაშნეჩამოწეული შეშლილი სახით, ხელს ზევით წევს და მეუბნება:

– არა, ნიკოლას, ვსიო, მე წავალ ცალკე, შენ წახვალ ცალკე. მიდის სამანქანო გზის ნაწილთან და ტაქსს აჩერებს. დაბნეული გადავუდგები, ისიც მიძალიანდება.

კი მაგრამ, რატომ მიკეთებ ამას? რატომ უნდა დამტოვო აქ მარტო?

არ გეკაიფები, ნიკოლას, ჯობს დავიშალოთ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რატომ ამომარტყი პანჩური? – აპ, აპ, ვსიო.

როგორც იქნა შევაჩერე, ვეუბნები, რომ ერთად წავიდეთ, მთანხმდება. ამასობაში სამი ტაქსი ერთმანეთს მოადგა, ვეუბნები, რომ წავიდნენ ეს ტაქსები, რომ ჩამომიყენა აქ და მხოლოდ შემდეგ წყნარად წავიდეთ, ვუხდი ბოდიშსაც და ვცდილობ ავუხსნა, რომ არანაირი შეურაცხყოფა არ ყოფილა, თამთა ხან ისტერიულად იცინის, ხან მეუბნება, რომ არ აინტერესებს რატომ ამოვარტყი, ნელ-ნელა ვმშვიდდებით.

შემდეგ თამთა ჩემს თვალწინ ტაქსს აჩერებს, სადაც უხმოდ ვსხდებით, მთელი გზა ვერ ვიღებ ხმას, უხმოდ ვარ, გაოგნებული და გულგატეხილი, მივყვები მორჩილი ძაღლივით. სახლთან ვეუბნები, რომ ის მტოვებდა შუა ქუჩაში და ჩვენი ამბიდან გადიოდა.

– რაა? რა ჩვენი ამბიდან? მიყურებს გაოცებული თამთა.

– ორი კვირაა, თითქმის ყოველ ღამე ვხვდებით, დაგავიწყდა?

– მერე რა, ნიკოლას, ე.ი. მეგობრები ვართ.

– ჩემთვის რომატიკული იყო ეს შეხვედრები.

– რაა? რომანტიკული? დამცინის. – მე ადამიანებს რთულად ვეჩვევი.

– მე კი ადვილად.

– პოდა ძალიან ცუდი შენთვის, მეუბნება თამთა და მარიგებს. – მე ახლა არ ვარ მზად ურთიერთობისთვის, მე სხვა მიყვარს, გხვდები შენ და ძალით ვცდილობ გემეგობრო, მაგრამ შენ მოგწონვარ და არ გინდა მეგობრობა. მე კიდევ არ შემიძლია ასე. საერთოდ ნუ მაწონებ თავს, არ მინდა, იყავი ბუნებრივი, არც ყვავილები, არც შოკოლადები, არაფერი არაა საჭირო.

– კი მაგრამ, ეს ჩემი ბუნებრივი მდგომარეობაა, მე ამას ძალით არ ვაკეთებ. ე.ი. მე რომ გეფერებოდი და კისერში გკოცნიდი, შენ სხვაზე ფიქრობდი? მიყურებს საშინელი სახით.

– ჰო, მე სხვა მიყვარს და ეს შენ იცი კარგად, (როგორც „თეთრ ღამეებში", ლამისაა მასტროიანის როლი შევასრულო) ჩვენ ძაან განვსხვავდებით ერთმანეთისგან, ნიკოლას.

მე გულში ვფიქრობ, მაგრამ თამთას სიტყვას არ ვეუბნები, ვფიქრობ, რაც უფრო განვსხვავდებით ერთმანეთისგან, მით უფრო კარგია, ვაანალიზებ, რომ თამთამ ეს პანჩურის მომენტი გამოიყენა და ის, რაც დიდი ხანია უნდოდა ეთქვა, ახლა მითხრა. ოდნავ მეცოდება კიდეც, თუ ჩემს ფერებას და კოცნებს ასე იტანდა სხვაზე ოცნებით. ვფიქრობ იმასაც, რომ ურთიერთობას მზადყოფნა, სივრცე და დრო არ ექვემდებარება, ურთიერთობისთვის არ უნდა შეემზადო და არც უნდა დაიგნორო, ვთვლი, რომ სიყვარული უსივრცო და უდროოა, ყველაზე მეამბოხე, ყველაზე უადგილო და არაადეკვატურია. სიყვარულის ფორმა კი ჩვენ მიერ ყალიბდება. მაგრამ თამთას სხვა უყვარს, რას უნდა გავხდე? როგორ დავამსხვრევ სხვის ხატს, როგორ ვაჯობებ უცნობს, რომელიც იმდენად ძლიერია, რომ არა მარტო მიატოვა ჩემი თამთა, არამედ მიატოვა და თან პლიუს მეც მართმევს.

გული საშინლად მაქვს გატეხილი, ვგრძნობ, რომ იქ კოსტავას იმ იმპულსურ აფეთქების წამს თამთამ შუა ქუჩაში დამტოვა, და მე მხოლოდ ძალით შევაჩერე, ფიზიკურად აქ ვარ, მაგრამ სულიერად მე იქ ვარ დარჩენილი, ისევ კოსტავას ქუჩაზე ვგდივარ და ვიყინები.

გულგატეხილი ვარ იმის გამოც, რომ თურმე ეს ერთი კვირა ძალით ურთიერთობდა ჩემთან, იღიმოდა, ხალისობდა, თან როგორ გულიანად და მერე სხვაზე ფიქრობდა და სხვაზე დარდით იკლავდა თავს. I am so broken hearted; u cannot imagine my waitress...– როდის შევხვდებით? ვეკითხები.

აღარ შევხვდებით. აზრი აღარ აქვს, მე ხომ ვიცი ჩემი ხასიათი, არა?

აღარ შევხვდებით?

ჰო, ასე ჯობს, მადლობა ყველაფრისთვის, მკოცნის ჩემი კარმენიტა, მე ბოლოჯერ ვეხები მის დალალებს, და მეც მადლობას ამოვილუღლუღებ. ცა სერიოზულ ამბავს აპირებს, წვიმა იწყება, მთელი გზა სახლამდე წვიმს. მე თავჩაქინდრული და გაოცებული მივუყვები გზას. ვფიქრობ განვლილს, განცდილს, ცრემლები არ მაწვება, ციდან რომ ცვივა წვიმის წვეთები, ეგენია შეღავათი ახლა და იმიტომ, სიბრაზე არ მერევა, ინდიფერენტულობა არ მაამპატავანებს, ხომ ისედაც ყველაფერი ვიცოდი? მხოლოდ ეს საზიზღარი გულგატეხილობა მსდევს თან. საკუთარ თავს ვეუბნები:

შენ არავის არ მოსწონხარ, შენ არასდროს არ მოწონხარ იმ გოგოებს, ვინც შენ მოგწონს, შენ მოსაბეზრებელი და უინტერესო ბიჭი ხარ, შენ ხელმოცარული და ბანძი ახალგაზრდა ხარ, მუდამ განწირული იქნები და შენი როლი მუდამ ლუზერობაა... გაიხსენე, შენ! კლიენტი, რომელიც ასეთი პრივილეგიებით და თავაწეული ტოვებდი კაფეს, მიმტანისთვის კი ხურდებსაც კი ყრიდი მაგიდაზე, აი, შენ, არარაობა ხარ, შენ დაგადეს და გაგამასხარავეს, ერთი კვირა ძალით გიტანდნენ და მაინც ვერ აგიტანეს.

ასე იგებიან ჩემი კომპლექსები, ასე ვშორდები მე ხალხს, ასე ვშორდები მე ადამიანებს, ასე ვხდები ასოციალური და მარტოსული, ასე ვბოროტდები.

თამთას არც ვლანძღავ, არც ვადიდებ, არც ვაძაგებ, არც ვნყევლი, აღარც ვნატრობ, და აღარც ვლოცულობ, აღარც ვადანაშაულებ, ვიცი, რომ ყველაფერი მისი წყალობითაა, მისი წყალობითაა, რომ ჩემი კომპლექსებით უშველებელ ციხესიმაგრეს ვაგებ, რა უნდა ვუქნა თამთას? ვერც შევეხები, ვეღარც დავურეკავ, ვერც მივწერ, ვერც ვერსად დავუხვდები, ვერც მოვეფერები, ვერც კისერში ვეღარ ვაკოცებ, ვერც ლოყებს ვეღარ მივეპუსები, ვერც ტკბილ სიტყვებს ვეღარ ვეტყვი, ამიტომ რა? რა და თამთას ვყინავ, ადგილზე, დროსა და სივრცეში ვყინავ, ერთ დიდ ყინულის ყუთში ვამწყვდევ, იყინება თამთას მკლავები, თამთას თმები, მისი ბოშური დალალები, იყინება თამთას თუთისფერი ტუჩები, ვყინავ მის მუდამ სევდიან, ნაღვლიან და მოქანცულ თვალებს, ვყინავ თამთას გრძელ ფეხებს, კვანტფეხებას. ყველაფერს ვაქცევ დიდ ყინულის ყუთში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## IV

წერილი გერმანიის სავიზო განყოფილებას თბილისში:

„ძვირფასო ბატონო/ქალბატონო

გწერთ აპლიკანტ თამთა ... -ს შესახებ (დაბადებული ამა და ამ რიცხვში, თიანეთში)

მაქვს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მას საკმაოდ რთული ფსიქოლოგიური ფონი აქვს. თვეების განმავლობაში იტანჯებოდა სხვადასხვა ნევროზული დაავადებებით. ჩემი რეკომენდაციაა შეწყვიტოთ სავიზო პროცედურები, აგრეთვე მინდა დაგარწმუნოთ, რომ მას განზრახული აქვს სამუდამოდ დარჩენა გერმანიაში.

გთხოვთ, ნუ მომწერთ დამატებითი დეტალების შესახებ, რადგან ეს საიდუმლოა.

ანონიმისგან"

ეს იმეილი წუთებია გავგზავნე გერმანიის საკონსულოს თბილისის ოფისში, სავიზო განყოფილებაში. იმეილის გაგზავნის შემდეგ ათასგვარმა შიშმა დამიარა. იმეილში მოვუწოდებ კონსულს და მოხელეებს არ ჩაურთყან ვიზა თამთას, მეტიც, მას ბრალს ვდებ სიგიჟესა და ფსიქოლოგიურ არამდგრადობაში. ვხვდები, რომ დიდი ბოროტება ჩავიდინე, ვხვდები, რომ ამ იმეილმა შეიძლება ძალიან ცუდი შედეგები მომიტანოს. ვნანობ და არ ვიცი ვის ვუთხრა, ან როგორ ვუთხრა, დაე, იცოდე, შენ, თუ რა ჩავიდინე, სულ რაღაც წუთებია. არანაირი გამართლება არ მექნება რეალურ ცხოვრებაში, აქ კი, აქ ჩემს ნოველაში შენს წინ მე ვინანიებ ყოველივეს, წელში მოხრილი ვდგავარ კომპიუტერში გახსნილი ამ მაილის წინაშე და აღსარებას გაბარებ.

რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ამ ჩემს მაილს? პირველი, რაც ყველაზე ძალიან მინდა ახლა მოხდეს, არის ის, რომ სრულიად დააიგნორონ, დააიგნორონ და თამთა გაუდგეს გზას ბეიბისითერობისკენ. მეორე, რა ვერსიაც გამიჩნდა, არის ის, რომ, ჰა, ჰა, დამატებითი საბუთები მოსთხოვონ ჩემს მიმტანს და მან ყველაფერი პირნათლად წარადგინოს. აი, შემდეგი ვერსიები კი ჯოჯოხეთია, შემდეგი ვერსიებია: პირდაპირ უარი რომ ჩაურტყან და დაბლოკონ ეს საცოდავი გოგო, და მაშინ? და მაშინ რა მოხდება? გაგიჟდება თამთა? ტირილით მოკვდება? აქ ჩემთან ხომ მაინც დარჩება? თავი რომ მოიკლას? მკვდარი მეყოლება აქ? და რო გაგიჟდეს? ან იქნებ შეეგუოს ყველაფერს და ახალი გაჭირვების, ახალი ტანჯვის გზას დაადგეს. მე გამომივა რამე? მე შევძლებ მასთან ყოფნას?

დაბოლოს, რომ გაიგოს თამთამ, რომ ეს საბედისწერო მაილი მე მივიწერე გერმანიის საკონსულოში, მაშინ რა მოხდება? მე დამიხვდება სადმე მოსაკლავად? დაე, მომკლას მისმა ხელებმა, დამახრჩოს, მისმა მკლავებმა შემიწირონ. იქნებ ყველაფერი სხვანაირად იყოს, გადაიტანოს, ნელ-ნელა დაავიწყდეს, ნელ-ნელა მეც შემიყვაროს, მეც შემნიშნოს, ნელ-ნელა მეც აღმოვჩნდე ბედნიერი, მაგრამ ვიქნები კი ბედნიერი მის გვერდით, როცა ასეთი რამ გავუკეთე? ერთ დღესაც გავუმჟღავნებ, რომ ყველაფერი მე გავუკეთე, ყველაფერი ჩემმა გაავებულმა, გაბოროტებულმა და სასოწარკვეთილმა ხელებმა გააკეთეს. რისი სახელით? სიყვარულის სახელით? გამიგებს? მაპატიებს? სიგიჟის ჰაერი ტრიალებს ოთახში, არ ვიცი რა შედეგები მოჰყვება ჩემს ამაზრზენ და გულისამრევ იმეილს, მაინც რა? რა იქნება? სული მეხუთება და მე ოფლმოდენილი ვეცემი კომპიუტერთან გაგზავნილი იმეილის წინაშე...



ეროვნული ბიბლიოთეკა

ანიკა მექანიკური

# აღდგომის გველი



## მიდიან კაცები

ციოდა იმ ზამთარს, ძალიან ციოდა. სანამ მყავდა, დამიჯდებოდა ხოლმე წინ, ჩემს მაჯებს თავის ხელებში მოიქცევდა და სულის შებერვით მითბობდა. მერე შემომხედავდა სულ ოდნავ წამოზრდილ მუცელზე და მეუბნებოდა, ჩემო კომშის ყვავილოო, ჩემო ჩიტუნაო და იღიმოდა ფართო, ნათელი ღიმილით. ეგეთი კაცი იყო. გვიან შემოდგომაზე ფარდას რომ გადაწევ და უცებ თოვის შარიშური შემოგანათებს, ეგეთი მშვიდი სიხარული მედგა ტანში.

არც ცუდი სიზმარი მინახავს, არც რამე წინათგრძნობა მქონია, ისე მომიკვდა ეგ კაცი. თოვდა იმ დილით. მივეხუტე ზურგზე, როგორც სახლიდან ყოველი გასვლისას, და წავიდა. ფანჯრიდან ვუყურებდი, სწრაფად მიდიოდა თოვაში, კი მომეჩვენა, თითქოს, წელ-წელა ქრებოდა, მაგრამ ეგ არაფერი-მეთქი, ჩამოვაფარე ფარდა და დავიწყე ლოდინი. დილანდელი ჩაის ჭიქები დავრეცხე ცივ წყალში, ლამფაში ნავთი ჩავასხი, რადიო ჩავრთე და ახალ ამბებს მოვუსმინე. ამბობდნენ, ქალაქის ცენტრში ისევ იბრძვიანო. არ მჯეროდა მაგ ომის. გარეუბნამდე სროლის ხმა არ აღწევდა და რა შემაშინებდა. ქოთნის ყვავილებს წყალს ვუსხამდი ტელეფონმა რომ დარეკა. რაღაცნაირი ხმით რეკავდა, თითქოს, ერთმანეთის მიყოლებით, ზრიალით, იმსხვრეოდა ჭურჭელი ქვის იატაკზე. უცნობმა ხმამ მითხრა, რომ ჩემს კაცს ბრმა ტყვია მოხვდა და აღარ არის. ის ხმა კიდევ სხვა რამეებსაც ამბობდა ძმათამკვლელ ომზე და წყევლაზე, მაგრამ აღარაფერი მომისმენია. ტყემლის მურაბის მომჟავო გემო ჰქონდა ამ სიკვდილს და ვიგრძენი, მუცელში როგორ აიზილა ერთმანეთში სისხლი, ხორცი და კიდევ რაღაც მომწკლარტო სითხე. მერე დიდხანს ვიწექი გულდაღმა საკუთარ ნარწყევში და ველოდებოდი, როდის დაიწყებდა ჩემი ტანი გაბზარვას და უწვრილეს ნაწილებად დაფანტვას. მუცელში ფეთქვას ვგრძნობდი ყრუდ, ზუსტად ისე, ღრმა ძილში რომ ხარ და, თითქოს, გესმის და თან არ გესმის როგორ გამეტებით აბრახუნებს ვიღაც სახლის კარზე. ვიწექი ასე საღამომდე, ვაყურადებდი საკუთარ სიკვდილს და არაფრით გამოჩნდა. მერე კარზე უცხო ხელებმა დააკაკუნეს და მივხვდი - ჩემი მკვდარი კაცი სახლში დაბრუნდა. დავიკბინე გაყინული მაჯები, წამოვდექი, კაბა ჩამოვისწორე, თმა ჩამოვიშალე და დავხვდი.

## ყვავილები ცოცხლებისთვის

არც შავი თავსაფარი მეხურა, არც შავი ტანსაცმელი მქონდა რომ იმაში გამოვხვეულიყავი. მუქი, მუქი მწვანე კაბა გადავიცვი უწვრილესი ცისფერი ყვავილებით და მივუჯექი ჩემს კაცს თავთან. ნელ-ნელა სველი ნაჭრით ჯერ პირიდან გადმოსული სისხლი მოვუწმინდე, მერე ყელში ჩასული და შემხმარი. სვენებ-სვენებით ვრეცხავდი ნაჭერს მუხლებზე ჩამოდგმულ წყლიან თასში და მომავალი მარტოკენა ღამეების სიბნელე მიდგებოდა ტანში. გულთან ახლოს დიდი წითელი ლაქა ჰქონდა პერან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზე, ვიფიქრე, ამას გავხდი და იმ ჯემპრს ჩავაცმევ- მეთქი, დღისით რომ ვქსოვდი და მაგის მოსვლის დროს კარადაში ვმალავდი. შობაზე უნდა მეჩუქებინა. ვერ მოვერიე ამ ჩემს კაცს, ვერ გავხადე ის სისხლიანი პერანგი და ზემოდან გადავაცვი შობის ჯემპრი ძლივძლივობით. ჩამოვადე მერე მხარზე თავი და ჩავეჭიდე იმის გაციებულ ხელებს. თითქოს, ხმაურობდნენ ჩემი კაცის ზურგი და მხრები, თითქოს, იმ ადგილის ხმები წამოიყოლესო, იმ ადამიანების, გასროლის. მერე დაცემის ხმაც გავიგონე და ისიც, როგორ აშრიალდნენ გამხმარი ფოთლები მის ზურგქვეშ. მაშინ ვიგრძენი, რომ ეს ხმები დიდი ჭრელი გველები იყვნენ. გამოუძვრნენ ჩემს კაცს მხრებიდან და მუცელში შემომიცოცდნენ.

დღისით ვერ ვდარდობდი ჩემს კაცს. მოდიოდნენ ქალები, ზოგი უცხო, ზოგი - ნაცნობი და მოჰქონდათ ყვავილები. ჩამომისხდებოდნენ ახლოს და მეუბნებოდნენ, რას იზამ ეგ ყოფილა შენი ბედი, მაგრამ ჯერ ახალგაზრდა ხარ, ეგ ბავშვი რომ მოიცილო არავინ დაგზრახავს, აბა მარტომ როგორ უნდა გაზარდოო, იქნებ კიდევ გათხოვდეო. გამოიწვდენდნენ მერე ხელებს ჩემკენ, მუცელზე დამადებდნენ და ვგრძნობდი, იმათგანაც გველები მიცოცდებოდნენ ტანში. მერელა მივხვდი, ჩემთვის და ჩემი ცოცხალი შვილისთვის მოჰქონდათ ის ყვავილებიც.

ღამე რომ ჩამოდგებოდა და ყველა წავიდოდა, მივადებდი შუბლს შუბლზე ჩემს გაყინულ კაცს და ვისიზმრებდი, თითქოს, ცოცხალი იყო, თითქოს, ისევ ერთად ვილღვიძებდით დილაობით და მეჩვენებოდა, რომ ხელები უთბებოდა.

საშინლად უჭერდა სიცივე სასაფლაოზე რომ ავედით. ცივ მიწაში დაფლეს ჩემი კაცი, ყვავილები დაუტოვეს თავთან და მალევე მიმოიფანტნენ უკმაყოფილოები, რომ, როგორ წესი იყო, პური არ ვაჭამე და ღვინო არ დავალევინე. დიდხანს არც მე დავრჩენილვარ.

იმ ღამით პირველად შევწექი მარტო ჩვენს ლოგინში, სიცივე და ოთახში დარჩენილი ყვავილების მძაფრი სუნი ტანში გამიჯდა, მუცელზე ხელები შემოვიწყვე, დიდი მლაშე ქვა გადავყლაპე და დავიჯერე, რომ ჩემი კაცი დამთავრდა.

## სიზმარი ცოცხლებზე

თავიდან ყველაფერი კარგად იყო. დედაჩემი რომ მუცელზე ხელებს დაიწყობდა, მშვიდად ვსუნთქავდი. მივეყუდებოდი შიგნიდან და მისი ხელების სუნს ვაყურადებდი - მშვიდს, მწვანეს, ქოთნის ყვავილებგამოვლილს. მამაჩემის ხელი ცოტა მძიმე იყო, მაგრამ ისიც მშვიდი. დედა რომ ჩაიძინებდა, მუცელზე თავს მიადებდა და მელაპარაკებოდა. მე აქედან ჩემს ამბებს ვუყვებოდი, ვეუბნებოდი, რომ, რაც ის და დედა დაიბადნენ გზაში ვარ და აქედან გამოძრომისთანავე ამდენხნიანი მარტოობის დარდებს ამოვუშვებ და მთელი გზის დაღლილობას გამოვიტირებ-მეთქი. მერე ორივე ვყუჩდებოდით, მე - შიგნით, ის - დედას მუცელზე მიხუტებული. კარგი იყო.

მერე უცებ ყველაფერმა ფერი იცვალა. თითქოს დიდმა დარტყმამ გამომაღვიძა და ყელამდე სისხლში დავიწყე ცურვა. იმ ღამით დედას ტირილის ხმამ შემოაღწია და მივხვდი, ამის მერე ველარასოდეს დავიძინებდი ფართო, ნამდვილი ძილით.

ნელ-ნელა მოცოცავდნენ ჭრელი გველები, ჯერ თავებს შემოყოფდნენ, ორკაპა ენებს აასავსავებდნენ და როცა ბოლომდე შემოძვრებოდნენ, მკბენდნენ. თავიდან ძალიან მტკიოდა, მერე მივეჩვიე. ნელ-ნელა ვივიწყებდი დედაჩემის ხელების სუნს და მამაჩემის ხმას. მწკლარტე სისხლის გემოთი გამოვიღვიძე სიცოცხლეში და არცერთი წვეთი არ მიტირია.

## როგორ მოვათბუნოთ მუცელი

იმ მარტოკენა ღამეებში ხელები ისე მეყინებოდა, მესმოდა, როგორ ჭრიალებდნენ ჩემი წვრილი ძვლები და, მეგონა, ისე დაიფშვნებოდნენ, როგორც გუბეებზე მოდებული თხელი ყინული ფეხის დაბიჯებისას, მაგრამ მერე უსაშველოდ წამოზრდილ მუცელზე დავიხედავდი, გავიფიქრებდი, რომ გოგო იქნებოდა თუ ბიჭი, მამას დაემსგავსებოდა და მითბებოდა ხელები.

ხანდახან ღამით, მძიმე ოხვრას გავიგონებდი მუცლიდან, ხელს მივიდებდი და, თითქოს გაქვავებულიყო, გაციებულიყო და შიშის ქარი მიყინავდა ტანს. მაშინვე წამოვხტებოდი ლოგინიდან, როგორც ქოთნის ყვავილებს ვფუთავდი ზამთრის წინ, ისე შემოვიხვევდი შალს მუცელზე, მოვათბუნებდი და ვიწყებდი სიმღერას ზაფხულის მშეიდ, თბილ დილებსა და ადამიანებზე, რომლებიც პურს გვაწვდიან, როცა გზაში ვართ და გვშია. მეგონა, ეს სიმღერები უშველიდა, მეგონა, ჩემი სიყვარული საკმარისი იქნებოდა, მაგრამ არ ეყო. მოღუშულ, ქარიან დღეს დაიბადა და როცა პირველად ავიყვანე ხელში, მომეჩვენა, რომ უკვე ყველაფერს ხედავდა და მაგის ცივი ხელების შეხებაზე უსაშველო ზამთარი ჩამოდგა ჩემს ტანში.

## ფართოდ გახელილი თვალებით

მედარდებოდა დედაჩემი. ადგებოდა დილაუთენია, ჩაის დააყენებდა, ძლივძლივობით ნაყიდ პურზე თხლად კარაქს გადაუსვამდა და მეძახდა. სანამ ვსაუზმობდი, ჩანთას მილაგებდა და მერე მივყავდი სკოლაში. მოეფარებოდა თუ არა თვალს, მე ისევ გარეთ ვიპარებოდი და ჩემს ამოჩემებულ ადგილას მივდიოდი კორპუსებისგან მოშორებით. დავიჭერდი პატარა ლეკვს ან კნუტს და ვაწამებდი ფართოდ გახელილი თვალებით. თან ნემსებივით მესობოდა ეს ხმები და თან მსიამოვნებდა, თითქოს, ამით იმ ჩემს ჭრელ გველებს სამაგიეროს ვუხდიდი. ასე მეგონა.

სკოლა რომ დავამთავრე, მერეც დავდიოდი იმ ადგილას. ერთხელ რომელიღაც მეზობელმა დამინახა და გვიან, სამსახურიდან მომავალ დედაჩემს მიაძახა, რა სატანისტი შვილი გყოლია, ან რა გეგონა, უმამოდ, მარტომ რომ მოინდომე ბიჭის გაზრდაო. შემეცოდა დედაჩემი, ძალიან შემეცოდა, მაგრამ გველები არ მასვენებდნენ.

ელექტრონული ბიბლიოთეკა



ბევრი იდარდა დედაჩემმა. მერე ისევ იმ მეზობელმა ურჩია, ეკლესიაში წაიყვანე, იქ უშველიანო. არ სჯეროდა დედაჩემს არც მეზობლის, არც მღვდლების, მაგრამ მაინც ადგა და ტაძარში წამიყვანა, იქ კიდევ ვიღაც შავებში გამოხვეულ კაცს ყელის გამოწევით შეეხვეწა სწორ გზაზე დამიყენეო. დიდხანს იდგა და თვალებაწყლიანებული მიყურებდა, სანამ იმ კაცმა შიგნით არ შემიყვანა და ჩემ უკან კარი არ მიკეტა. ამ დღის შემდეგ ცოტა ხანი მშვიდად ვიყავი. დედაჩემსაც თვალებში სინათლე ედგა, ჩემს სანახავად მოსული, დანყნარებულს რომ დამინახავდა ხოლმე. მაგრამ ერთ დღეს იმ შავებში გამოხვეულმა კაცმა მეც და სხვებიც ერთ არც ისე ხალხმრავალ შეკრებაზე წაგვიყვანა და გვითხრა, რომ ეს ერთი მუჭა ხალხი, ზოგი ფერადი თმით და ზოგი ფერადი ტანსაცმლით, ღამით მაჯებიდან ჭრელ გველებს უშვებდა და სხვა ადამიანებს სულსა და გონებას უმღვრევდა. მერე მოგცვა ხელში ქვები და პირველმა თვითონ ისროლა. ვისროდი და ისევ იგივე მემართებოდა, რაც ადრე, თან ვიტანჯებოდი და თან გველებზე შურისძიებაზე ვფიქრობდი, როცა იმათ შეშინებულ თვალებს და ტკივილისგან დამანჭულ სახეებს ვხედავდი. გავიფიქრე, ნუთუ ამ დამფრთხალ ადამიანებს იმ ჩემს გველებთან რამე აკავშირებთ-მეთქი. ამ დროს ნაცნობი ხმა გავიგონე, შემოვბრუნდი და კაცი, რომელიც ჩემს გველებს უნდა მორეოდა და ჩემთვის ძილი და სიმშვიდე დაებრუნებინა, კიდევ ერთ დიდ ქვას მანვდიდა. მაშინ შევამჩნიე, მისი მაჯებიდან ჭრელ გველებს ამოეყოთ ენები. მერე სხვებსაც დავაკვირდი, ვინც ყველაზე გამეტებით ისროდა ქვებს, იმათ ყელის ძარღვებშიც გველები ჰყავდათ. უცებ რამდენიმე წუთის წინანდელი ჩემი თავი დავინახე შორიდან, ქვას ვუმიზნებდი რომელიღაც ფერადთმიანს, რომელიც თავისი დიდი ზურგით ფარავდა სხვებს, და დიდ, ჭრელ გველს ამოეყო ენა ჩემი მაჯიდან. შემეშინდა, ძალიან შემეშინდა. დავაგდე ქვა და ვთქვი, დედაჩემის სიმღერებმა უნდა მიშველონ-მეთქი.

წამოვედი. სახლში წამოვედი.

## აღდგომის გველი

სისხლის სუნი მოიყოლა რომ მოვიდა. ჩამიდო კალთაში თავი და გამოიტირა თავისი გზები. ვუყურებდი ამ ტირილში როგორ უჩნდებოდა თანდათანობით პატარა წითელი ნაკბენები ტანზე და ტკივილისგან იკლაკნებოდა. ყველაფერს მივხვდი და ვთქვი, მე უნდა ვუშველო-მეთქი ჩემს შვილს. დავხუჭე თვალები და დავიწყე სიმღერა მამამისზე, იმის დიდ, კეთილ თვალებზე, ჩემს ქოთნის ყვავილებზე და მერე მუცლიდან თეთრი, სიკეთის გველი გამოვიცოცე. ის თეთრი გველი ჩემს შვილს ნელ-ნელა წოვდა ტკივილებს ნაკბენებიდან და ვხედავდი, როგორ იზარებოდნენ მის სხეულში ჭრელი გველები, როგორ ემსგავსებოდნენ მტვრის ნამცეცებს. და ვგრძნობდი, როგორ უთბებოდა ხელები ჩემს შვილს, როგორ ემსგავსებოდა მამამისს.

საღამოხანს ფანჯარასთან იწვა გულაღმა დიდხანს ნატაჯნი ადამიანივით. მივედი, თმაზე გადავუსვი ხელი და ვუთხარი, რომ დღეიდან არჩევანი აქვს. შემომხედა დიდი, დარდიანი თვალებით და მომადო თავი მუცელზე. მე კიდევ დავიწყე სიმღერა აღდგომის გველზე და ბნელი ღამის შემდეგ გათენებაზე. დავხედე ჩემს შვილს და ეძინა, ეძინა ღრმა, მშვიდი ძილით.

ვიგრძენი, როგორ გაუდიდდა გული ჩემს კაცს, იქ, სადაც იყო, და ამოვისუნთქე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ღმერთმა დალოცოს კომუნიკაცია



## თევზების ღამე

დიდხანს იდგნენ ქუჩაში, შეიძლება კვირების ან თვეების განმავლობაშიც. ზუსტად ვერ ვიხსენებ. სიზმარივით იყო ყველაფერი. ყველას გვეგონა, აი, სადაცაა გავილვიძებთ და ქალაქი ჩვეულ ცხოვრებას დაუბრუნდებაო. ისევ ჩამოვსხდებოდით ჭრელაჭრულა კაბებით ღია კაფეებში, ჩვენი კაცები ქუჩის კუთხეში ჯერ ყვავილებს გვიყიდიდნენ და მერე ყელში გვაკოცებდნენ, დილაობით ჩვენს გოგო შვილებს გრძელ, ლამაზ თმას ჩამოვუშლიდით და სკოლაში გავაცილებდით, არასოდეს დამთავრდებოდა ქალების მხიარული თავყრილობები ჩემს სამკერვალოში - ასე გვეგონა.

დავსხდებოდით ქალები ხალიჩაზე ფეხმორთხმით, ჩაის ჭიქებს მოვიდგამდით და ერთმანეთს ვუყვებოდით ახალ ამბებს. ზოჰრე ამბობდა, რომ მისი ძმა სულ შეიცვალა, წვერი მოუშვა, გამთენიისას ლოცვა დაიწყო და მზის ამოსვლამდე უკვე მომიტინგეებთან და მებრძოლებთან არის. გილმარიამი მამამისზე ჰყვებოდა იმავეს. ლეილას ქმარს გრძელი შავი მოსასხამები მოუტანია მისთვის და მათი ორი გოგოსთვის, გარეთ გასვლაც აუკრძალავს მათთვის. დანარჩენები ჩუმად იყვნენ, უხმოდ დარდობდნენ. თითქოს გრძნობდნენ, რომ მათი მონაყოლით მეტი სიცხადე შეეემატებოდა ქალაქში დაბუდებულ ურჩხულს. ამბების მოყოლაში ჩაი გვიცივდებოდა. მერე დგებოდნენ და მიდიოდნენ ქალები, მზის ბოლოს სხივებით განათებული ქუჩებით გაციებულ სახლებში ბრუნდებოდნენ.

მეც მეშინოდა და არაფერს ვამბობდი ჩემს კაცზე. სხვებისთვის მოყოლა კი არა, ჯერ საკუთარ თავსაც ვერ ვაჯერებდი, რომ ეს შავ ტანსაცმელში გამოხვეული, უხეშწვერიანი და თვალებჩამქრალი კაცი ის იყო, ვისაც დილაობით ახალგაღვიძებული რბილ ლოყებზე ვკოცნიდი, ვისი ყოველი კოცნაც ჩემს შიშველ ზურგზე ადრიან გაზაფხულზე ლურჯი ყვავილების გამოჩენას ჰგავდა, ან დილის სუსხიდან თბილ ოთახში შესვლას. არ მჯეროდა, რომ ეს გაუცხოებული კაცი უვლიდა ჩვენს გოგოსთან ერთად ეზოდან ამოყვანილ ავადმყოფ კნუტებს. სიზმარია-მეთქი, ვამბობდი. თვალებს მაგრად ვხუჭავდი და ვივიწყებდი, როგორ დაუჭრა ჩვენს პატარა გოგოს ჩემი შეკერილი ფერადი კაბები, როგორ გააჩინა დიდი ლურჯი ლაქა ჩემს ყელზე, როცა ვკითხე, რაში სჭირდებოდა ღმერთს ჩვენი შავ ჩადრებში გამოხვევა და ამდენი ადამიანის სიკვდილი-მეთქი, როგორ ზრიალით გაიხურა კარი, როცა ვთხოვე იმ აქციებზე აღარ წასულიყო. გვიან ღამით რომ მოვიდოდა და დაიძინებდა, ვიწექი სიბნელეში და ვუსმენდი, როგორ სუნთქავდა. ცივი, ცივი ზამთრის ქარი უბერავდა იმის მხრებიდან. მიკარების მეშინოდა, ხელებს გულზე ვიწყობდი და ვამბობდი: ღმერთო, გეხვეწები ჩემი კაცი დამიბრუნე-მეთქი.

იმ ღამით ციოდა ძალიან და ჩემთან დაიძინა ჩემი გოგო. თმაზე ვეფერებოდი მძინარეს, თევზებზე ვუყვებოდი და მშვიდ ცურვაზე, რომ როგორმე მის სიზმრებში შემეღწია და ერთი მუჭა სიმშვიდე მიმეტანა. მაინც ნუხდა ძილში და შიში ჩამიგუბდა ტანში, რაღაც ცუდი მოხდება-მეთქი, გავიფიქრე. თენდებოდა სახლში რომ შემოვიდა. ფეხებთან ჩამომიჯდა და მითხრა, გავიმარჯვეთ, ურწმუნოები ქვეყნიდან გაიქცნენო. ვიგრძენი, როგორ ჩამომემსხვრა მხრები და უწვრილეს ნამსხვრევებად გაიშალა ხალიჩაზე. გაალვიძა ჩვენი გოგოც და თავისი ხელით მოგვაჭრა ორივეს თმა, მერე შავი ჩადრები ჩამოგვახურა. ზამთრის დილასავით ხელები ჰქონდა.

ფარდებს შორის მკრთალი სინათლე ჩანდა, ღრუბლიანი დღე თენდებოდა. რაღაცის თქმა მინდოდა, მაგრამ ვიგრძენი დამჭკნარი ყვავილი იყო ჩემი ენა, მივხვდი, რომ ყველა სიზმარი წყალმა წაიღო და ცხადი დაიწყო.

## ბაჰარი

ბაჰარ - გაზაფხულს ნიშნავს ჩვენს ენაზე. ბაჰარი ჯერ ჩემს გოგოს დავარქვი, მერე ჩემს სამკერვალოს და ყვავილებიანი აზრაც გამოვკიდე. სამკერვალო არც ეთქმოდა, ერთი პატარა ოთახი იყო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახლისგან არც ისე შორს. დილაობით გოგოს რომ სკოლაში გავუშვებდი, გადავიცვამდი რომელიმე ჭრელ კაბას, თმას მხრებზე ჩამოვიყრიდი და მივდიოდი ჩემს ნაჭრებთან. მიყვარდა ფერად-ფერადი კაბების კერვა, ის მხიარული ქალებიც მიყვარდნენ, სიცილ-კისკისით რომ შემოაღებდნენ ხოლმე კარს და საათობით მიყვებოდნენ სიყვარულზე, მე კიდევ ვუკერავდი ლამაზ-ლამაზ ტანსაცმელს იმ თავიანთი კაცებისთვის. თუმცა, ეს იმ ღამემდე იყო, იქამდე, სანამ ჩვენს ღმერთს მხიარული და ფერადი ქალების ყურება მობეზრდებოდა.

იმ ღამის შემდეგ ყველაფერი შეიცვალა, მეორე დღესვე წამოვიდა ჩემი ქმარი, ყვავილებიანი აბრა ჩამომიხსნა და ყველა ფერადი ნაჭერი გადამიგდო, რაც თვალში მოხვდა. ქალები აღარ მოდიოდნენ, დღეებს ჩაის სმასა და ბედნიერი ამბების მოყოლაში აღარ ვატარებდით. მე მაინც დავდიოდი სამკერვალოში, გადამალულ ფერად ნაჭრებს ამოვიღებდი, სახეს დავადებდი და თვალებს ვხუჭავდი. დასვენების დღეებში ბაჰარიც დამყავდა. სანამ სამკერვალომდე მოვაღწევდით, მორალის პოლიციის ათასი წარმომადგენელი გვხვდებოდა, თავიდან ფეხებამდე შავებში გამოხვეული ქალები, რომლებსაც სიარულისას შავი მოსასხამის ბოლოები კბილებით ეჭირათ. გვაჩერებდნენ მე და ბაჰარს, საერთოდ ყველა ქალს აჩერებდნენ. ბაჰარს ოდნავ უკან გადაწეულ ჩადრს უსწორებდნენ, მე თავშლიდან გადმოყრილ რამდენიმე ღერ თმას. ღვთის რისხვით და როზგებით გვემუქრებოდნენ. ჩვენ ყველანი თავებს ვუქნევდით და მივდიოდით ისევ ჩვენს გზაზე.

ერთ დღეს მე და ბაჰარმა ძველისძველი რადიო ვიპოვეთ სამკერვალოს ძველმანების ყუთში. რადიოსიგნალებსაც ახშობდნენ იმ დროს და ძლივს დავიჭირეთ ერთი არხი. ფარდებს ჩამოვუშვებდით, გავყუჩდებოდით და ვუსმენდით დაბალ ხმაზე. ბაჰარი მარტო ხმებს აყურადებდა, მე ცოტა ინგლისური მესმოდა და ჩემს გოგოს თან სიტყვებს ვასწავლიდი, თან მოსმენილ ამბებს ვუყვებოდი. დიდი, ანთებული თვალებით მიყურებდა ასეთ დროს. მერე წარმოვიდგენდით ხოლმე როგორები იყვნენ, რა ეცვათ იმ ხმებს, ჩვენ რომ ვუსმენდით. როცა სიგნალი წყდებოდა, ბაჰარი სარკესთან დგებოდა, ჩადრს იხსნიდა და რადიოწამყვანების ხმის მიბაძვით ჰყვებოდა, რომ ქუჩაში ველოსიპედით სეირნობა ენატრება, რომ არ უნდა მზის ამოსვლისას ლოცვისთვის იღვიძებდეს და მოკლე თმა ჰქონდეს და რომ ერთი სული აქვს, სანამ დედამისი ისევ ფერადი კაბების კერვას დაიწყებს. მე პირზე ხელს ვაფარებდი. მეშინოდა, მის გამო მეშინოდა.

მერე თანდათანობით ქალებმა ისევ დაიწყეს სიარული ჩემს სამკერვალოში, მოჰქონდათ მუქი ლურჯი, მწვანე, ყავისფერი ნაჭრები და მე ვკერავდი მოქამულ, უსახურ გრძელ მოსასხამებს. ჩაის სმაც დავიწყეთ ისევ და ცოტა ლაპარაკიც. ამასობაში ბაჰარმაც ისწავლა ინგლისური, დიდი გოგოც გაიზარდა და ხანდახან ამ დარდიანი ქალებისთვისაც დგამდა წარმოდგენებს, რასაც რადიოში მოისმენდა, თავისებურად გადააკეთებდა და მათაც უყვებოდა. ამ დროს ბაჰარი რადიოში მოსმენილ ფრაზას მანჭვაგრეხით იმეორებდა - კომუნიკაცია ეხმარება ადამიანებსო. ნელ-ნელა სიცილიც გავიხსენეთ, დახურულ ფარდებში ჩადრების მოხსნაც გავბედეთ. ჩვენს დარდებზეც ვყვებოდით და მხრები ცოტათი გვიმსუბუქდებოდა. თუ ვინმეს განსაკუთრებულ დარდს შევამჩნევდი, ჩუმად ამოვაძვრენდი ხოლმე გადამალულ პატარა ფერად ნაჭრებს და ჩაშავებულ ჩადრებს შიგნიდან ყვავილებად ვამაგრებდი. მიყვარდა იმ ქალების ანთებული თვალების დანახვა. თითქოს, ისევ ცოცხალი ვიყავი.

## ნაჭრის ქალაქი

ერთ დღეს სამკერვალოს კარი შემოაღო ჩემმა ქმარმა, უხმაუროდ, სიტყვის უთქმელად, და ვერცერთმა ვერ მოვასწარით ჩადრში თმის დამალვა. ქალები სწრაფად წამოიკრიფნენ, გამოეხვივნენ თავიანთ მოსასხამებში და წავიდნენ სახლებში. დავრჩით მარტო მე და ბაჰარი, უთავშლოდ, და რომელიღაც ძალიან მხიარული სიმღერა ისმოდა რადიოდან. გვიყურა ცოტა ხანს და გადმოანთხია მერე მაჯებიდან ბრაზის მდინარეები. სანამ დიდ ლურჯ ტბებს გაგვიჩენდა მე და ბაჰარს სახეზე და ტანზე, ყველა კადრი ზუსტად მახსოვს - ჯერ რადიო მიახეთქა კედელს, მერე ჩაის ჭიქები დალეწა, სათითაოდ დამიჭრა ყველა ძაფი, იპოვა გადამალული ფერადი ნაჭრები და ერთად დაყარა. კიდევ დამწვრის სუნი მახსოვს, ჩემი ნაჭრების დაფერფლილი ნაკუწებიც. სულ ეგ იყო.

მოვირჩინეთ მე და ბაჰარმა ლურჯი ტბები. იმ ამბის შემდეგ იშვიათად ვლაპარაკობდით, ისიც მე თუ ამოვიღებდი ხმას. მთელი დღეები ფანჯარასთან იდგა, სადენებზე ჩამომსხდარ ჩიტებს უყურებდა, კანტიკუნტად აფრენილ თვითმფრინავებს ელოდებოდა, დროდადრო თვალებს ხუჭავდა, შუბლს ფანჯარაზე აყრდნობდა და თავისთვის ლაპარაკობდა ჩუმად, ძალიან ჩუმად. რომ ვეკითხებოდი რას აკეთებ-მეთქი, მეუბნებოდა, სიგნალს ვუშვებ, დანარჩენ სამაყაროსთან კომუნიკაციას ვამყარებ - ჩემი ამბები უნდა მოვუყვეო.

ასეთ დროს მარტო ვტოვებდი ბაჰარს და გავდიოდი გარეთ მამამისის დაბრუნებამდე. დავხეტიალობდი ქუჩებში, ჩამქრალ, თვალებდათხრილ სახლებს ვუყურებდი და ვიხსენებდი იქიდან გამომავალ სინათლეებს, ადამიანების მხიარულ ხმებს. გარეთ არაფერი შეცვლილიყო მნიშვნელოვნად, ნაცნობი ქუჩები ძველებურად უერთდებოდნენ ერთმანეთს, მაღალი, ძალიან მაღალი ნაცრისფერი შენობები ცას ფარავდნენ. ამ ქუჩის იქით ბაჰარის საყვარელი ტკბილეულის მაღაზია იყო, იმის იქით ბაღი, სადაც პატარაობისას დამყავდა, უფრო ზემოთ ჩემი სამკერვალო, უფრო სწორედ მისი ნანგრევები. რამდენჯერაც იქ მივიდოდი, იმდენჯერ საზარელი დამწვრის სუნი მცემდა. ქალაქი ძველებურად სუნთქავდა, ჩემი სამკერვალოს, ჩემი ნაჭრების გარეშე.

იმ დღეს ქუჩის კუთხეში ყვავილები ვიყიდე, მერე სამკერვალომდე მივედი და დიდხანს ვუყურებდი მის ჩამწვარ ფანჯრებს. ერთი კი ვიფიქრე ნაჭრის ქალაქს შევკერავ, დიდს, ფერადს, მზიანი ქუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩებით, შევიყოლებ ბაჰარს და სხვა გოგოებს და კარს შიგნიდან ამოვკეტავ, საგულდაგულოდ ამოვაგვირისტებ-მეთქი, მაგრამ ჩემი ქმრის ხელები და ის საშინელი დამწვრის სუნი გამახსენდა. ყვავილები სამკერვალოს კიბეებზე დავტოვე, იქ, სადაც ბაჰარი თამაშობდა ხოლმე პატარაობაში, სადაც პირველად წაიქცა და მუხლები გადაიყვლიფა. დავტოვე და წამოვედი. ეს დღე არ ჰგავდა სხვა დღეებს, არც ეს წამოსვლა. ვიცოდი, რაღაც უნდა შემეცვალა, რაღაც დიდი უნდა გამეკეთებინა, მნიშვნელოვანი.

სწრაფად მოვდიოდი, საფეთქლებში ვგრძნობდი გულის ცემას. დედაჩემის ნაჩუქარი და ქორწინების ბეჭდები მოვიხსენი და ფრთხილად დავაკაკუნე ხის კარზე ერთ-ერთ მაღალსართულიან სახლში. იქიდან გამოსულიც ძალიან ვჩქარობდი, მწვანე კუპიურებს მოსასხამის ქვეშ მაგრად ვუჭერდი ხელს და ზუსტად ვიცოდი, სწორად ვიქცეოდი.

ბაჰარი გაოცებული მიყურებდა, როცა მისი ტანსაცმელი პატარა ჩემოდანში ჩავტენე, მერე სადგურზე წავიყვანე და მატარებელში ჩავსვი. ვიცოდი, მწვანე კუპიურები საზღვარს გადაალახვინებდა, რაღაც პერიოდი თავსაც გაატანინებდა, მაგრამე მერე თვითონ უნდა მიეხედა საკუთარი თავისთვის.

მატარებელი რომ წავიდა კიდევ დიდხანს ვიდექი სადგურზე. ვერაფერს ვგრძნობდი, მარტო ის ვიცოდი, რომ ბაჰარი თავის ხმას მთელ სამყაროს მიაწვდენდა.

## ღმერთმა დალოცოს კომუნიკაცია

ძალიან ბევრი წელი გავიდა ბაჰარის წასვლის შემდეგ. ახლა მე ვზივარ ხოლმე ფანჯარასთან და თვითმფრინავებს ველოდები. მხოლოდ ხმა მესმის, დანახვით ჩემი გოგო რომ გავუშვი იმ საღამოს მერე აღარაფერი დამინახავს.

მამამისმა ბაჰარის წასვლის ამბავი რომ გაიგ
მითხრა, ყველაფერი მაგ შენი თვალების ბრალი
მარტო ჭრელა-ჭრულა, ბრჭყვიალა რამეებს ხედა
ყველაზე მთავარს კი ვერ ამჩნევო და დიდი, უსა
ველო სიბნელე გააჩინა ჩემს თვალებში. ბოლოს იმ
სი დიდი ხელები დავინახე თვალებთან ძალიან, ძა
ლიან ახლოს.

იმის მერე ბევრმა წყალმა ჩაიარა. მაგისმა წყალ
მაც ჩაიარა და ვცხოვრობ ახლა მარტო. რადიოსიუ
ნალებს აღარ ახშობენ, ამბობენ, აღარც შავი ჩად
რებით დადიან, ფერადი თავშლები ახურავთ გოგო
ებს და გრძელი ლამაზი თმაც უჩანთო. ნეტავ და
ნახა როგორ დაიბრუნეს ქალებმა ყვავილებიანი კა
ბები. ყოველ ღამე მესიზმრება, რომ ისევ ვკერ
კისკისა, მხიარული გოგოები შემოდიან ჩემს სამ
კერვალოში და ყველაფერი კარგადაა. იმდენად ცხ
დია ეს სიზმრები, რომ ხანდახან თითებიც მტკივ
თითქოს, ნემსი ვიჩხვლიტე.

ბაჰარმა გრძელი, ძალიან გრძელი გზა გაიარ
ჯერ ლტოლვილთა ბანაკი, მერე ღარიბული უბნ
ბი, მერე ბევრი ქვეყნის საზღვარი, ახლა, როგორ
ტელეფონში მიყვება დიდ, ნათელ ბინაში ცხოვრობ
და ყოველთვის ფერადი კაბები აცვია. მთხოვს, რომ
ჩავიდე, მაგრამ მე აქ მირჩევნია, ეს ჩემი ქალაქია
ჩემს სამკერვალოს ყოველთვის ვაგნებ. ვდგავარ დ
ვხედავ, ამ უსაშველო სიბნელის იქით ვხედავ ყვა
ვილებიან აბრას, რომელსაც გაზაფხული მოჰყავს
და ჩემს პატარა გოგოს, რომელიც კიბეებზე თამა
შობს.

საღამოობით რადიოს ვრთავ, ჩაის ჭიქაზე ხე
ლებს ვაწყობ და ველოდები, როდის მოიყვანს სიგ
ნალი ჩემამდე ხმას - „საღამო მშვიდობისა, ახლ
საფრანგეთის დროით 7 საათია, მე ბაჰარ ჰათამი
ვარ". მეტი აღარაფერი მესმის, ვიღიმი ფართოდ
ჩემი გაზაფხული გოგო მთელ სამყაროს აწვდის
თავის ხმას.

გაციებულ ჩაის ვწრუპავ და ჩემთვის ვამბობ
„ღმერთმა დალოცოს კომუნიკაცია".



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფარიბა ვაფი

# ქალი, რომელსაც ქმარი ჰყავდა

*სპარსულიდან თარგმნა მზია ბურჯანაძემ*



ქალმა, რომელსაც ქმარი ჰყავდა, ქალს, რომელსაც ქმარი არ ჰყავდა, უთხრა, რომ მისი ქმარი ერთი უგუნური კაცია. უგუნური და ეგოისტი. ქალმა, რომელსაც ქმარი არ ჰყავდა, გულგრილად მოუსმინა. ასეთი სიტყვები მისთვის ამინდის ბიუროს ცნობებივით ჩვეულებრივი იყო. ქმრიანი მეგობრები დროდადრო მოდიოდნენ მასთან და ქმრებს ლანძღავდნენ. მერე მის ჭკუა-გონებას ასხამდნენ ხოტბას იმის გამო, რომ მათსავით დილეგში არ ჩაიგდო თავი.

სიგარეტს მოუკიდა და სამზარეულოში გავიდა. მდუმარედ დაასხა ჩაი, მაცივრიდან ნამცხვრის ნარჩენი გამოიღო, მაგიდაზე დადო და დაელოდა, სანამ მეგობარი ყველაფერს უამბობდა.

ქალმა, რომელსაც ქმარი ჰყავდა, ამბავი მეგობარს დაწვრილებით უამბო. ეს წვრილმანები, მისი აზრით, საუხერხულო იყო, მაგრამ გრძნობდა, რომ მათ გარეშე მონათხრობი გასაგები ვერ იქნებოდა. შემდეგ უხმოდ ატირდა.

მისმა მეგობარმა ჩაის სმა შეწყვიტა და ქალის სხეულზე მუშტის კვალს ზიზღით მიაშტერდა. ქალის კანზე ლურჯი ლაქა გართხმულიყო, მწვანე არშიითა და კონახურისფერი წერტილებით. მზერა ლაქას მოაშორა, ჭიქაში გაციებულ ჩაის მიაშტერა და, რაც სალანძღავი და უწმაწური იცოდა, კაცების მისამართით გაუშვა. მაგრამ უცბად აზრი შეიცვალა და ქალს მიუბრუნდა:

ის რა შუაშია, შენ ხარ უნიათო, თავის დაცვა რომ არ შეგიძლია.

ქალს, რომელსაც ქმარი ჰყავდა, არაფერი უთქვამს, მაგრამ მეგობრის მკვენწლავი სიტყვა გულზე ლახვრად დაესო. მის უბედურებას ეს დანაშაულის გრძნობაღა აკლდა, მაშინვე რომ უხილავი ტვირთივით ჩამოაწვა მხრებზე და თითქოს წელშიც მოხარა. მეგობარი მისმა უკმაყოფილო დუმილმა შეაკრთო. გაიფიქრა, რომ ძალიან მკაცრად მოუვიდა და ისეთი რამ წამოაყვედრა, რაც ქალს ბევრჯერ მასზე ღრმად და მწარედ განუცდია.

გაუღიმა და ისევ მოლბა:

რამდენ ხანსაც გენდომება, ჩემთან დარჩი.

სავარძლის ბალიში ჩაიხუტა და კვლავ დასერიოზულდა:

შენს ადგილას, მეტად იქ აღარ დავბრუნდებოდი.

ქალი, რომელსაც ქმარი ჰყავდა, წამოდგა და ბოლთის ცემას მოჰყვა. კედლებზე სურათები მოათვალიერა. ოთახის კუთხეში პატარა ბიბლიოთეკიდან წიგნი აიღო და გადაფურცლა. თაროზე მომცრო ქანდაკებას ხელი შეავლო. გაიფიქრა, რა კარგი იქნებოდა, მასაც ჰქონოდა ასეთი ლამაზი და კოპწია სახლი. ამაზე პატარა ადგილზეც თანახმა იქნებოდა. მთელი სიცოცხლე იქ დარჩებოდა... მისი სახლი ძალიან ხალხმრავალი იყო და მთელი დღე მანქანასავით მუშაობდა, რომ ნივთები ადგილებზე დარჩენილიყვნენ. სახლი მხოლოდ რამდენიმე წუთს იყო დალაგებული. ქმრისა და ბავშვების გამოჩენისთანავე არეულობა იწყებოდა. ხანდახან უნდოდა, ისინიც საოჯახო ნივთებივით გაეშეშებინა, რომ ცხოვრება ისევ ისეთი ყოფილიყო, როგორისთვისაც ამდენი იწვალა და როგორც მოაწყო. მაგრამ სად იყო სიმშვიდისა და სიწყნარის ნატამალი!

მისი მეგობარი ვაი-ვიშსა და წუწუნს ვერ იტანდა.

მე გარეშე პირი ვარ, ბატონო, შემეშვი. შენთვის მოძებნე გამოსავალი.

მერე იმაზე ალაპარაკდა, როგორ შეეძლო ამ საქმის მოგვარება:

ერთი ბეწო თავმოყვარეობაა საჭირო და ცოტაც - ნებისყოფა.

ქალს, რომელსაც ქმარი ჰყავდა, მცდელობა არ დაეკლო. მცირე წარმატებისთვისაც მიეღწია. ყველაფერი მოეწესრიგებინა. თავის პატარა სახლში ადამიანის უფლებების განაწესის მსგავსი რამ შემოეღო და

ბიბლიოთეკა

ყველა ეიძულებინა, დამორჩილებოდა. საკუთარი საქმე ყველას თავად უნდა შეესრულებინა და სხვისი უფლებებისთვის პატივი ეცა. რამდენიმე თვის მანძილზე ეს განაწესი სიმშვიდეს ანიჭებდა.

თუმცა მისი სიმშვიდე ამ სახლის სიმშვიდისგან განსხვავდებოდა. როგორ შეეძლო, ეს მეგობრისთვის ეთქვა? თვითონაც ვერ გარკვეულიყო, რა იყო და როგორ. ეგ იყო მხოლოდ, რომ ძლიერად შეიგრძნობდა ამ განსხვავებას. მისი სიმშვიდე ერთგვარი შეჩერება იყო, თანაც - უსარგებლო. დროის ამ მონაკვეთში ვერაფერს გააკეთებდი. მყისიერი იყო. დღეს იყო და ხვალ აღარ იყო. ადვილად სხლტებოდა ხელიდან. წარმავალობას ებმოდა. როგორც მატარებლის სადგურზე შეჩერება. გზაში ხომ, გაჩერებებზე, ვერაფერს გააკეთებ, ნამაზის შესრულების ან საპირფარეშოში წასვლის გარდა. შეიძლება, წერილი დაწერო ან გადაწყვეტილება მიიღო, ისწავლო თუ არ ისწავლო? რაღაც საქმე შეასრულო თუ არ შეასრულო, როცა იცი, რომ რამდენიმე წუთში მატარებელი დაიძვრება? შეიძლება, ვიღაცას ისე დაუმეგობრდე, რომ გული გადაუშალო? შეიძლება, რაღაც შეცვალო?

ქალს, რომელსაც ქმარი ჰყავდა, ბავშვებზე სიტყვა არ დაუძრავს. მისი მეგობრის აზრით, ისინი ბავშვები არ იყვნენ. მიზეზები იყვნენ. ქმარიც მიზეზი იყო. სხვაც ყველაფერი მიზეზი იყო. მიზეზი შიშის და სიზარმაცის მისაჩქმალად. დივანზე მიწვა და იქვე ჩაეძინა.

მის მეგობარს არ დაუძინია. ჩვეულებრივ, გვიანობამდე არ ეძინა და წიგნს კითხულობდა ხოლმე. იმ ღამით წიგნი არ წაუკითხავს. სავარძელში უფრო ღრმად ჩაეფლო და მეგობარს გახედა. ფიქრით მის სახლსა და ცხოვრებაში შეიჭვრიტა. შეეცადა, იქიდან ისეთი რაღაცები გამოექექა, სიბრაზეშერეულ გრძნობებს რომ გაუწონასწორებდა. სიამოვნების წუთები, სიხარულის საათები; რაღაცები, რომელთა განცდა სხვაგან, ოჯახის გარდა, შეუძლებელი იყო. ერთგვარი სავარჯიშო იყო, რომელსაც წლების განმავლობაში ასრულებდა, რომ მხოლოდ ის ნაგლეჯი არ დაენახა, რომელსაც მისი მეგობარი არჩევდა და აჩვენებდა. ეს შემპარავი ქმედება სინამდვილესთან შეხვედრისთვის იყო.

შემდეგ გაიფიქრა, რატომ არ აძლევდა ქალს უფლებას, მისი ცხოვრების სინამდვილეც დაენახა? ნებას რთავდა, მისი სახლის სიმშვიდეზე ლეგენდები შეეთხზა და მასზე ეოცნება! რატომ არ ეუბნებოდა, რომ უსულო საგნები ვერც ერთი ადამიანის ადგილს ვერ ავსებენ და რომ სახლის ბერწი სიწყნარე და სიჩუმე ხშირად გუნებას უწამლავს?! გაახსენდა, ზოგჯერ, ღამღამობით, შუქს რომ ჩააქრობდა, როგორ ნატრობდა, რომ ყველაფერი, რაც კი გააჩნდა, სხვა ადგილისთვის და გრძნობებისთვის ენაცვალებინა.

მისმა მეგობარმა ამოიკვნესა და შეირხა. ძილშიც მოღუშული იყო.

რამდენიმე დღეში ქალმა, რომელსაც ქმარი ჰყავდა, მასპინძელს აუწყა, რომ სახლში ბრუნდება. მეგობარმა შეხედა:

ბავშვებს რამე დაემართათ?

ქალი ყოველ დილას, ქმრის მოსვლამდე, ბავშვებს მალულად ნახულობდა. მათთვის ნათქვამი ჰქონდა, რომ მისი წასვლა-მოსვლის თაობაზე მამისთვის არაფერი ეთქვათ. მაგრამ იმ დილით, სახლში რომ მივიდა, კაციც უნახავს. კაცს უთხოვია, რომ ქალი სახლს და ოჯახს დაბრუნებოდა.

მისმა მეგობარმა სიგარეტს მოუკიდა.

შენც გინდა დაბრუნება?

ქალი, რომელსაც ქმარი ჰყავდა, უხმოდ დააშტერ-
და იატაკს.

თითქოს გეჩქარება დაბრუნება.

ქალი, რომელსაც ქმარი ჰყავდა, სავარძლის კი-
დეზე ჩამოჯდა.

სულაც არ მეჩქარება.

ცოტა უხერხულად მოუბოდიშა, რომ პატარა და
სულელური უსიამოვნების გამო რამდენიმე დღით შე-
აწუხა. ქალმა, რომელსაც ქმარი არ ჰყავდა, ნაფაზი
დაარტყა. თითები უცახცახებდა.

ყოველთვის, როცა პატარა და სულელი გახდები,
თავისუფლად შეგიძლია თქვა: „პატარა და სულელი-
რი".

ადგა და სამზარეულოში გავიდა. ძველი, მწარე
ჩაი დაისხა, შემობრუნდა და იყვირა:

შენ პატარა ხარ? უღირსი ხარ? სულელი ხარ?

ხმა უკანკალებდა. ქალს მიუახლოვდა და მიაშ-
ტერდა.

ქალი, რომელსაც ქმარი ჰყავდა, ნებას რთავდა,
ეყვირა მისთვის, მაგრამ მაინც უნდა წასულიყო.

არ მესმის, როგორ შეგიძლია მაგ კაცთან დაბრუ-
ნება.

ქალმა, რომელსაც ქმარი ჰყავდა, გააწყვეტინა:

ნანობს.

თვითონ გითხრა?

არა.

ქალი, რომელსაც ქმარი არ ჰყავდა, გაოგნდა. მე-
რამდენედ ხედავდა ცხოვრებაში, რომ სისტემური და
ლოგიკური ცოდნა ასეთი მარტივი რაღაცების გაგე-
ბაში ვერაფერს შველოდა. მისი მეგობარი საკუთარი
ფეხით ბრუნდებოდა სატანჯველში, ის კი ვერ ხვდე-
ბოდა, რატომ.

ქალმა, რომელსაც ქმარი ჰყავდა, არ იცოდა, რო-
გორ ეთქვა, რომ წლების თანაცხოვრების შემდეგ ისი-
ნი სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ. ერთმანეთში ვე-
ღარ საუბრობენ, როგორც წლების წინ. სიტყვები
შეეცვალათ. ხანდახან სიტყვებიც აღარ აქვთ. სიტყვე-
ბი არ სჭირდებათ და მათი გადაყრა დაუნანებლად
შეიძლება. მის ქმარს არ უთქვამს, რომ ნანობს. არ შე-
ეძლო ამის თქმა. ამის სათქმელად ენას ვერ მოიბრუ-
ნებდა. როგორც ადამიანი, რომელიც იძულებულია,
უცხო ენაზე ილაპარაკოს და არა - მშობლიურზე.

კაცს მაცივარი გაეხეხა. მასზე ბევრად უკეთ გა-
კეთებინა ეს საქმე. ყინული გამოელო და ჭურჭლის
სარეცხ ნიჟარაში ჩაეყარა. მაცივრიდან ყველაფერი
გამოელაგებინა: კარაქი, ყველი, კვერცხი და რამდე-
ნიმე დღის ნინანდელი საჭმლის ნარჩენები. მერე მა-
ცივრის წინ დამჯდარიყო და გულმოდგინედ გამოხ-
მინდა.

როგორ შეეძლო, ეს ყველაფერი ეთქვა ქალის-
თვის, რომელსაც ქმარი არ ჰყაედა?! ის ვერ იცხოვ-
რებდა კაცთან, რომელმაც მასზე ხელი აწია. ვერ,
ერთი წუთითაც ვერა. მაგრამ ის კაცი არ ჰგავდა ამ
კაცს, მაცივართან რომ დამჯდარიყო და ისე გაეხეხა
თითქოს განეზრახა, ახალივით ექცია.

ქალი, რომელსაც ქმარი ჰყავდა, წავიდა, მეორე
ქალმა კი სიგარეტი გააბოლა და მაცივარს მიაშტერ-
და. შუაღამისას იგრძნო, ფიქრმა დაღალა. ფანტაზი-
ჩართო: იქნებ ის დამსხლტარი და შორეული აზრი მო-
ეხელთებინა. გამთენიისას ჩაეძინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლექსი პროზად - მცირე ანთოლოგია

***პუბლიკაცია მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო დალილა გოგიამ***



მე-19 საუკუნის საფრანგეთში პოეტებმა ალოიზიუს ბერტრანმა და შარლ ბოდლერმა დიდი წინააღმდეგობისა და კრიტიკის მიუხედავად, პოეზიის ახალი ქვეჟანრი დაამკვიდრეს. *ლექსი პროზად, ანუ პოეტური პროზა* (prose poem) არის ლექსი, რომელსაც აქვს პროზის ფორმა - ის არის არა სტრიქონებად დაყოფილი და გარითმული, არამედ ერთიანი ტექსტი, გაჯერებული პოეზიისთვის დამახასიათებელი ყველა ნიშნით. ვერლიბრისა და რიტმული პროზისგან განსხვავებით, მას არ გააჩნია რითმა, რიტმი თუ მეტრი.

იმ დროისთვის, ეს იყო ამბოხი იმ დროისთვის/მაშინდელი გაბატონებული კლასიკური ლექსის ფორმისა და კონცეფციის წინააღმდეგ. ამ მიმართულებით პირველი პოეტური კრებულია ალოიზიუს ბერტრანის 1841 წელს გამოცემული **Gaspard de la Nuit**, რასაც მოჰყვა შარლ ბოდლერის სახელგანთქმული **Le Spleen de Paris.**

„...ჰკითხე სიოს, ტალღას, ვარსკვლავს, ფრინველს, საათს, ყველაფერს რაც დაფრინავს, ყველაფერს, რაც კვნესის, ყველაფერს, რაც ბრუნავს, ყველაფერს, რაც მღერის, ყველაფერს, რაც ლაპარაკობს, ჰკითხე, რომელი საათია და ქარი, ტალღა, ვარსკვლავი, ჩიტი, საათი გიპასუხებენ: „თრობის საათია!...“ ნაწყვეტი შარლ ბოდლერის ლექსიდან „დათვერი“.

*ლექსი პროზად, ანუ პოეტური პროზა*, პოეზიის ეს ახალი ფორმა, როგორც ინოვაცია, მთელ მსოფლიოში გავრცელდა და პოპულარული გახდა. მანამდეც და მერეც მას მიმართავდნენ რაბინდრანათ თაგორი, ნოვალისი, ედგარ ალან პო, რაინერ მარია რილკე, ხორხე ლუის ბორხესი, პაბლო ნერუდა, უილიამ კარლოს უილიამსი, ალენ გინსბერგი, ბობ დილანი, ჯეკ კერუაკი, და ა.შ. უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ პოეტები არ წერენ პოეტურ პროზას, პროზაულ ნაწარმოებებში პოეტური პროზის პასაჟებს იყენებდნენ ოსკარ უაილდი, ივან ტურგენევი, ფრანც კაფკა, ჰანს კრისტიან ანდერსენი და მრავალი სხვა.

თანამედროვე პოეტური პროზის ფორმა და მოცულობა განსაზღვრული არ არის. ის შეიძლება იყოს სულ ორიოდე წინადადება ან რამდენიმე გვერდი. დროსთან ერთად შეიცვალა მიდგომები, ფორმები, კონცეფცია, ზოგადად, გაფართოვდა ლექსი პროზად, როგორც ლექსის ცნება, თუმცა კრიტიკოსები აღნიშნავენ, რომ ის დღესაც ალტერნატიულ გზას ნიშნავს. როგორც ცნობილი ამერიკელი პოეტი, ჩარლზ სიმიკი ამბობს: *„პოეტები პოეტურ პროზას წერენ იმიტომ, რომ ისინი პოეზიისა და პროზის საუკეთესო თვისებებს იღებენ, და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, როგორც თავიდან მისმა შემქმნელებმა ჩაიფიქრეს, ის დღესაც ამბოხია“.*

ლექსი პროზად ხშირად იწყება აბსურდული წინადადებით, მეორდება ერთი და იგივე სიტყვები, ფრაზები, წინადადებები, შესაძლოა შეგვხვდეს უსიუჟეტო კომპოზიცია, საერთოდ არ ფიგურირებდეს პერსონაჟი, სამაგიეროდ ტექსტი გაჯერებულია უცნაური, ან, სულაც შეშლილი ლოგიკით, შავი იუმორით, პარადოქსებით, უხვად გამოიყენება წრიული ნარატივი, ალეგორია, სიზმარი, მეტაფორა, სიურრეალისტური ამბები, თუმცა არ არის აუცილებელი, ამბავი დაიწყოს და დასრულდეს. ძირითადი მიზეზი, რის გამოც ლექსს პროზად წერენ, ალბათ ისაა, რომ ავტორები იკვლევდნენ საზღვარს პროზასა და პოეზიას შორის. ამასთან, მათ სურთ შექმნან მხატვრული სახეებისა და მოვლენების მოულოდნელი, იმპულსური, თუ პარადოქსული შეჯახება, ლექსი, სავსე წინააღმდეგობებითა და შეუსაბამობებით.

თანამედროვე ამერიკული პოეტური პროზის ცნობილი წარმომადგენლები არიან ჩარლზ სიმიკი, ჯეიმს თეიტი, რასელ ედსონი, ჯეიმს რაიტი, ფრენკ ოჰარა, ფრანც რაიტი, და ა.შ.

დღეს პოეტური პროზის მრავალი ანთოლოგია გამოდის, მათ შორის აღსანიშნავია:

New and Selected Prose Poems and Great American Prose Poems: From Poe to the Present;

The study of the form in The American Prose Poem: Poetic Form and the Boundries of Genre;

The Field Guide to Prose Poetry: Contemporary Poets in Discussion and Practice;

*The House of Your Dream: An International Collection of Prose Poetry;*

*Models of the Universe: An Anthology of the Prose Poem* და ა.შ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ტომას სტერნზ ელიოტი

1888 – 1965

### ისტერიკა

ის იცინოდა, და ვიცოდი, რომ ეს სიცილი ისე მითრევდა,
რომ მეც მისი ნაწილი ვხდებოდი, ვიდრე მისი კბილები
შემთხვევით ვარსკვლავებად არ იქცნენ, რომლებსაც მწყობრში
სიარული შეუძლიათ. მე მისრუტავდა მისი წამიერი სულის ხუთვები,
მიწოვდა მისი ყოველი სულის მოთქმა და საბოლოოდ დავიკარგე
მისი ყელის, უჩინარი კუნთების ფეთქვისაგან მთლიანად
დაჟეჟილ, უკუნ მღვიმეებში. ხნიერი მიმტანი,
ხელების კანკალით, მაგრამ სწრაფად შლიდა თეთრ-ვარდისფერ
უჯრულა სუფრას ჟანგისფერ-მწვანე რკინის მაგიდაზე
და თან იმეორებდა: „თუ ქალბატონი და ბატონი
ჩაის დალევას ბაღში ინებებენ... თუ ქალბატონი და ბატონი
ჩაის დალევას ბაღში ინებებენ...“ და მივხვდი,
რომ თუ როგორმე მისი ძუძუების რხევას გავაჩერებდი,
იმ საღამოს ფრაგმენტების შეკოწიწება კიდევ შეიძლებოდა
და მთელი ყურადღება ამ მიზნის
ზედმიწევნით ფაქიზად მიღწევაზე გადავიტანე.



## ერნესტ ჰემინგუეი

1899 – 1961

### მონპარნასი

ამ უბანში ცნობილი ადამიანები თავს არ იკლავენ.
არცერთი წარმატებული თვითმკვლელობა.
ჩინელი ბიჭი თავს იკლავს და კვდება.
(მის სახელზე მოსულ წერილებს ისევ იმ ყუთში ყრიან, რომელსაც „დომე“ აწერია.)
ნორვეგიელი ბიჭი თავს იკლავს და კვდება.
(არავინ იცის, სად გაქრა მეორე ნორვეგიელი ბიჭი.)
მოდელი მკვდარი იპოვეს
ლოგინში, მარტო, თანაც ძალიან მკვდარი.
(ამ ფაქტმა ლამის გაუსაძლისი პრობლემები შეუქმნა კონსიერჟს)
ზეითუნის ზეთი, კვერცხის ცილა, მდოგვი და წყალი, საპნის ქაფი
და კუჭის გამორეცხვები იცავს ცნობილ ადამიანებს.
ყოველ საღამოს ცნობილი ადამიანები ამ კაფეში დადიან.

## მარკ სტრენდი

1934 – 2014

### რეანიმაციის განყოფილება მზის ჩასვლის ფონზე

გადამდგარმა მეთაურმა მოიწყინა. მის ოთახში, კოშკში, ციოდა. ციოდა ოთახში დერეფნის მეორე ბო-ლოშიც, და სხვა ოთახებშიც. საერთოდ, რატომ იყიდა ეს კოშკი, როცა სხვა, უფრო იაფი და თბილი კოშკ-ბიც იყიდებოდა? მაგრამ მას ეს კოშკი მოეწონა - ქვის გვირაბები, ჭიშკარი; გაყინულ თხრილსაც კი, რო-მელზეც, ერთ დღეს ციგურებითაც ისრიალებდა, თავისი პეწი ჰქონდა. მეთაურმა ბრენდი დაისხა და სიგა-რას მოუკიდა, შეეცადა, სხვა რამეზე ეფიქრა - ბევრი გამარჯვება უნახავს, მებრძოლების სიმამაცეც, მაგრამ ახლა მისი აზრები მორევივით ბრუნავდა, ხან იქით მიაწყდებოდა, ხან აქეთ, როგორც ქარი და-რწის ერთი ცარიელი ქალაქიდან მეორე ცარიელ ქალაქში.

### უღრუბლო დღე სექტემბრის ნათელში

კაცი ხის ქვეშ დგას და იქვე, ახლოს, სახლს უყურებს. ის მკლავებს ჩქარივით აფართხალებს, ალბათ ვი-ღაცას, ვისაც ჩვენ ვერ ვხედავთ, ნიშანს აძლევს, შეეძლო ეყვირა კიდეც, მაგრამ, რადგან არ გვესმის, ალ-ბათ არ ყვირის. ახლა, ქარი ხეებს აცახცახებს და ბალახს მიწასთან ასწორებს. კაცი მუხლებზე ეცემა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინას მუშტებს ურტყამს. ძაღლი მოდის და მის გვერდით ჯდება, კაცი ფეხზე დგება და კიდევ ერთხელ აფართხალებს მკლავებს. ის კაცი რას აკეთებს, მე არ მეხება. მისი სასოწარკვეთილება ჩემი სასოწარკვეთილება არ არის. მე არ ვდგავარ ხის ქვეშ, არ ვუყურებ სახლს. მე არ მყავს ძაღლი.

### სიმშვიდე სახლში

გინდა, კარგად დაათვალიერო საკუთარი თავი. სარკის წინ დგები, იხდი პიჯაკს, იხსნი პერანგს, იხსნი ქამარს, იხსნი შარვალს. იხდი ფეხსაცმელს და წინდებს, იშიშვლებ ფეხებს. იშორებ საცვალს. ბოლოს, უყურებ სარკეს. და ჰა, ინებე, შენ
იქ არ ხარ.

### შუაღამის კლუბი

დიდი ხანია, ნიჭიერი ადამიანები, გვარწმუნებენ, რომ სურთ
იმისთვის უყვარდეთ, რასაც რეალურად წარმოადგენენ, და
რაშიც არ უნდა მიაღწიონ სრულყოფილებას, მაინც, შეღამებისას,
ზუსტად ჩვენსავით დაუცველები არიან, მთელი ღამე
მუშაობენ ოთახებში, სადაც ცივა და გაბმულია მთვარის შუქის ქსელი;
მართალია, დღისით, ზოგჯერ თავის მანქანებს მიყრდნობილები
ოქროსფერ, სევდიან, უსიცოცხლო მდელოებს აშტერდებიან,
მაგრამ ისინი, ძირითადად, მოკუზული სხედან სიბნელეში,
ფეხები უდევთ იატაკზე, ხელები მაგიდაზე, პერანგი კი, გულს ზემოთ,
სისხლით აქვთ მოსვრილი.

### მოხუცი ნოსტალგია

ის დრო, რომელიც ნარმოსახვითი მომავლით ნეტარებაში გავიდა,
მოლოდინში, რომ ოდესმე სიყვარულისა და სურვილის დინება ისე
გაგიტაცებს, რომ სამუდამოდ შეგცვლის და დაგარწმუნებს, რომ შენს
გარშემო სამყაროს უმცირესი ნანილიც კი დამუხტულია
დაუჯერებელი ბრწყინვალებით; ჰო, და კიდევ, ნატვრაში, რომ ვიღაც
ახედავს ხეებს და ათრთოლდება ზემოდან გადმოლვრილი, ერთმანეთთან
ქარით განშორებული, ოქროს ფოთლიანი, ფერნასული ორნამენტების
მდინარის ხილვით და უთვალავი ჩიტის მელოდიური
ჭიკჭიკით; მთელი ის დრო, ამხელა და ამდენი ხნის წინანდელი, ისევ დაბრუნდება,
მაგრამ ცოტა ხნით, ისე, როგორც ციცინათელები ზაფხულის
ღამის სურნელოვან ხვატში.

### შემთხვევა, რომლის შესახებაც მეტი არაფერია სათქმელი

ტაქსით ქალაქის ცენტრში მივდიოდი პრინცთან ერთად, რომელიც ინტერვიუზე დამთანხმდა იმ პირობით, რომ არც მისი ქვეყნის, და არც თვად მის სახელს არ ვახსენებდი. განმიმარტა, რომ ორივეს არსებობას საიდუმლოდ ინახავდნენ და მათთან დაკავშირებულ ყველა საქმეზე დუმდნენ. პრინცი მაღალი იყო და გრძელი ცხვირი ჰქონდა, რომლის ქვეშაც პატარა ულვაშებს მალავდა. ღია ლურჯი, გაღელილი პერანგი და კრემისფერი შარვალი ეცვა. „ჰობი არ მაქვს". ამიხსნა მან. „ჩემი ერთადერთი ინტერესია სექსი, კაცთან, ან ქალთან, ახალგაზრდასთან, ან არც ისე ახალგაზრდასთან, მთავარია, სასურველი შედეგი მივიღო - მოტივტივე კუნძულზე თეთრი ტრუფელების სურნელი, ან ჩაშაქრული იის გემო უნდა ვიგრძნო. ნება მიბოძეთ, ახლავე გაჩვენოთ, რისი თქმა მინდა". როცა ის ვნახე, ვნახე, რამხელა იყო და რას სჩადიოდა, გაქანებული ტაქსიდან წივილ-კივილით ჩამოვხტი.

## რასელ ედსონი

1935 – 2014

### ბუზის სიკვდილი

ოდესღაც ცხოვრობდა ერთი კაცი, რომელიც ბუზად შეინიღბა და იქვე, უბანში გაფრინდა თავისი წინწკლების დასატოვებლად.

მგონი, რამე უნდა ქნას, არა? - უთხრა ვიღაცამ ვიღაცას.

აბა რა! ვიღაც სხვამ უპასუხა.

აქ რა ხდება, რა ხმაურია? უთხრა ვიღაცამ სულ სხვა ვიღაცას.

ბიბლიოთეკა

ვინ ხმაურობს? უბრალოდ ის ვთქვი, რომ თუ ის კაცი კედელს არ მოშორდება, პოლიცია ესერის და ჩა-მოაგდებს.

ჰო, ეგ კი, მართალია. რა ჯობია, მკვდარ ბუზს.

მიყვარს მკვდარი ბუზები, ისინი მახსენებენ ინდივიდებს, რომლებიც თავის ბედისწერას შეხვდნენ...

## ემილუს წაშლა

მამა ვეებერთელა საშლელით შლის საკუთარ ქალიშვილს. როცა საქმეს ასრულებს, კედელზე მხოლოდ წითელი ლაქა რჩება.

*მისი ცოლი ამბობს, სად არის ემილუ?*

*ის შეცდომაა, და წავშალე.*

*და მისი საყვარელი ნივთები სად გაქრა?* ეკითხება ცოლი.

*ისინიც წავშალე.*

*და მისი ლამაზი ტანსაცმელი?*

*წავშალე მისი კარადა, მისი კაბები, მოკეტე და აღარ ახსენო ემილუ. მომეცი თავი, ემილუს ამოგიშლი.*

ქმარი საშლელს შუბლზე უსვამს და ქალს ნელ-ნელა ავიწყდება.

*მმმმმმმმმ, ნეტავ, რა დაემართა ემილუს?* ამბობს ის.

*არასოდეს მსმენია მისი სახელი,* ამბობს ქმარი.

*და შენ?* ამბობს ქალი, *შენ ვინ ხარ? შენ არ ხარ ემილუ, არა? როგორც მახსოვს, შენ არ უნდა იყო ემი-ლუ, რომელიც აღარ მახსოვს.*

*რა თქმა უნდა, არა, ემილუ გოგო იყო, და მე ვგავარ გოგოს?*

*.... არ ვიცი, აღარ ვიცი, რა როგორი უნდა იყოს...*

## შორეული პატრონების მარიონეტები

პიანისტს ესიზმრება, რომ საავარიო-სამაშველო კომპანია ქირაობს მას, რომ საკუთარი თითებით გაა-ნადგუროს პიანინო.

და აი, პიანინოს საავარიო კონცერტის დღეს, როცა იცვამს, პიანისტი ფანჯარაზე პეპელას ხედავს. ნე-ტავ, პოლიციას ხომ არ უნდა გამოვუძახოო, ფიქრობს. შემდეგ ფიქრობს, ნეტავ ეს პეპელა მარიონეტი ხომ არაა, თავისი პატრონი რომ მართავს ზემოდანო.

უცებ, ყველაფერი მშვიდდება. ტირილს იწყებს.

სხვა პეპელა ავიწროებს პირველ პეპელას. პოლიციას ხომ არ გამოვუძახოო, ისევ ფიქრობს.

თუმცა, იქნებ ორივე მარიონეტი-პეპელაა? დარწმუნებულია, რომ ასეა, და მათი პატრონები არიან ერ-თმანეთის მტრები და ახლა ერთმანეთს ეჯიბრებიან, რომელი პეპელა შეავიწროებს მეორეს უფრო მეტად.

და ეს მის ფანჯარაზე ხდება. კოსმიური გეგმა კი ასეთია: შორეული პატრონები მანიპულირებენ ჩვენით უფრო დაბალი პატრონებით, რომლებიც, თავის მხრივ, ერთი ბეწო პეპლის პატრონები არიან, და ახლა პი-ანისტით მანიპულირებენ. მთელ სამყაროში სიმებია გაბმული!

უცებ, ყველაფერი მშვიდდება; უცნაური სინათლეა... რაღაც მოუვიდა სინათლეს!

ტირილს იწყებს.

## ძილი

იყო ერთი კაცი, რომელმაც არ იცოდა, სწორად როგორ უნდა დაეძინა და მთელი ღამე თავს ულიმლამო, არაპროფესიონალურ ძილში აკანტურებდა. ისეთი ძილით ეძინა, რომელმაც დაქანცა და გამოფიტა.

კაცმა ძილის სახელმძღვანელოს წაკითხვა გადაწყვიტა, მაგრამ წიგნმა უბრალოდ, ძილი მოჰგვარა, ზუსტად იგივე ძილი, რომლითაც ეძინა ხოლმე, და რომელმაც დაქანცა...

ძილის ოსტატი სჭირდებოდა, ისეთი, რომელიც ღამეს შოლტითა და სკამით დისციპლინას მიაჩვევდა და ცეცხლმოკიდებულ რგოლშიც კი გადაახტუნებდა. ისეთი ვინმე უნდა ეპოვა, ვინც ვეფხვებს პაწაწინა პედესტალზე ჯდომასა და მთქნარებას აიძულებს....

## კონკიას ცხოვრება სასახლეში

როცა კონკია პრინცს ცოლად გაჰყვა, მან ყურადღება წვრილმანებს მიაპყრო, და თავის ბროლის ფეხ-საცმელს გამადიდებელ შუშად იყენებდა.

მეფის კარზე მას ფორთოხლის ნაფცქვენები და თევზის ფარფლები ეცვა, რომელსაც სასახლის უკან პოულობდა.

*როგორ მიშლი ნერვებს,* თქვა პრინცმა.

მაგრამ კონკია არ ჩერდებოდა და თავისი ბროლის ფეხსაცმლით რაღაცეებს აკვირდებოდა.

*არ გესმის?* თქვა პრინცმა

კონკიას პირი ღია რჩებოდა, როცა თავისი ბროლის ფეხსაცმლით რაღაცეებს აკვირდებოდა.

*არ გესმის? არ გესმის? არ გესმის?* ყვიროდა პრინცი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სასიყვარულო ბარათი

ძვირფასო,

უპირველეს ყოვლისა, მინდა გითხრათ, რომ ძალიან მიხარია ნარმოსახვითი შესაძლებლობა, რომელიც, რა თქმა უნდა, დაფუძნებულია იმ ფაქტზე, რომ ასეთი შესაძლებლობა ბუნებაში მართლაც არსებობს: ჩიტები, და სხვა არსებები, ისეთ პოზებში მინახავს, რომლებსაც კაცები და ქალები უნდა იყენებდნენ... მე ჩემი თავი თქვენთან ერთად ისეთ პოზებში ნარმოვიდგინე, სადაც ფრენა საჭირო არაა, მხოლოდ იმის გამო, რომ სხეულის ბუნებრივი შესაძლებლობა ჰორიზონტალურ საყრდენს გულისხმობს...

რადგან კაცები ერთი ბეწო ფურცლებზე ფერებითა და ხაზებით თვალუწვდენელ მიწას ქმნიან, მე, თქვენი სხეულის ზედაპირზე უფრო მეტი წარმოვიდგინე და მთელი სამყარო დავატიე...

დიახ, მაინტერესებს თქვენი მკერდი... მაინტერესებს... მშია არის ზუსტი სიტყვა, რომ ნახო, შეეხო, გასინჯო... მაინტერესებს, თქვენი ხელები როგორ გახდის ტანსაცმელს თქვენს სხეულს.

მაინტერესებს თქვენი აზრი: ჩემ წინ გაიხდით? თუ მომანიჭებთ აუწერელ ნეტარებას, თავად გაგხადოთ?

იმისათვის, რომ ჩემი პენისი თქვენს ვაგინაში მქონდეს, თქვენი სიყვარული დამჭირდება; ვიცი, ჩემს ბილწ, გამაგრებულ სურვილს თქვენს ტკბილ სხეულში არ მიიღებთ, ამის გარეშე კი, არ გექნებათ ჩემი შეყვარების მიზეზი, თუ სიყვარულს საერთოდ აქვს მიზეზი, ვერ გეტყვით....

თქვენი თაყვანისმცემელი

## ავტომობილი

აი, კაცი დაქორწინდა ავტომობილზე.

*მაგრამ, მე იმის თქმა მინდა, - თქვა მამამისმა, -რომ ავტომანქანა არაა ადამიანი, რალაც სხვაა.*

*მაგალითად, შეადარე დედაშენს. ხედავ, როგორ განსხვავდებიან? ეგ უფრო ფართოა, არა? ამას გარდა, დედაშენს თმაც სხვანაირად აქვს დაყენებული.*

*უნდა ეცადო, ამ სამყაროში ისეთი რამ იპოვო, რაც დედაშენს ჰგავს.*

*მე უკვე მყავს დედა, და არაა საკმარისი, რომ ის ჰგავს დედას? აუცილებელია, ბევრი დედა მოვაგროვო?*

*ვინც დედაჩემს ჰგავს, ყველა ხანშიშესული ქალია, და ვერანაირ ემოციას და სურვილს ვერ აღძრავს.* თქვა ვაჟმა.

*ვერც ავტომობილი. - თქვა მამამ.*

ვაჟი მამას მანქანის გასაღებს უჩვენებს. *აი, ნახე, ეს განსაკუთრებული პენისია და მანქანას ზუსტად იმავეს უკეთებს, რასაც კაცი ქალს; მერე მანქანა აჩენს ადგილს, რომელიც ამ ადგილიდან ძალიან შორსაა, თან კილომეტრებს ლეკვებივით ყრის.*

*და მე ბაბუა გავხდები? თქვა მამამ,*

*შენ გახდები ის, სადაც ხარ, როცა მე შორს ვარ.*

მამა და დედა უყურებენ, ავტომობილი, წარწერით *ახალადაქორწინებულები*, გზაზე თანდათან როგორც პატარავდება.

## მკერდი

ერთ ღამეს, ქალის მკერდი შევიდა კაცის ოთახში
და თავის ტყუპისცალზე დაიწყო ლაპარაკი.
მისი და ისე, მისი და ასე.
ბოლოს, კაცმა თქვა: *კი, მაგრამ, შენზე რას იტყვი, საყვარელო მკერდო?*
და მკერდმა მთელი ღამე თავის თავზე ლაპარაკში გაატარა.
ზუსტად იმავეს იმეორებდა, რაც თავის ტყუპისცალზე თქვა: მე ასე,
მე ისე.
ბოლოს, კაცმა ძუძუს თავზე აკოცა და თქვა, როგორ ვწუხვარ, და
ჩაეძინა...

# ჩარლზ სიმიკი

**დ. 1938**

## ბედნიერების მაგიური კვლევა

მსოფლიოში ყველაზე პატარა თეატრში პურის ნამცეცები ლაპარაკობენ.
ეს მისტიკური პიესაა დაკარგული სამოთხის შესახებ. ოდესღაც აქ იყო
სამზარეულო, სადაც მაგიდაზე ნამცეცები დარჩა. ფანჯრიდან ჩანდა
ახალგაზრდა დედა, რომელიც ღობესთან იდგა და მეზობელს ელაპარაკებოდა.
მას სციოდა და კაბას უფრო და უფრო მჭიდროდ იხვევდა ტანზე.
ცაში ღრუბლები ცურავდნენ მაშინაც, როცა თავი უკან გადააგდო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და გაიცინა. იქ, სადაც სიტყვები ძალას კარგავს, არსებობს მყარი მაგიდა.
ნამცეცები გიცქერენ შენ, როცა შენ უცქერ მათ. უცნობი შენში და
უცნობი მათში ერთმანეთს იზიდავენ. ის უცნობები ჰგვანან
საიდუმლო საყვარლებს, რომლებიც თავს რაღაც, უცნაურად და
გადაჭარბებულად ბედნიერად გრძნობენ.

* * *

ქუჩაში შემთხვევით პოეტ მარკ სტრენდს გადავეყარე. მან მაშინვე მოახერხა ჩემი გაოცება - თავზ დადგა და ღვინო ისე დალია. პირი დავაღე. წვეთიც არ დაუღვრია. ეს ის ღვინო იყო, თავის ელჩ მამინაც ვალს რომ მოჰპარა 1948-ში. „ეს ისაა, რასაც სუბიექტური რეალობა ქვია?" ვკითხე მე.

წლების შემდეგ იმავე სტრენდმა კეჩუას ენიდან თარგმნა ცნობილი ლექსი კაცზე, რომელმაც მწვან ბოთლში ოქროსფრთიანი ბუზი გაზარდა. ერთი ამას შეხედეთ!

* * *

მე ნაპოლეონის უკანასკნელი ჯარისკაცი ვარ. თითქმის ორასი წელი გავიდა, მაგრამ მე ისევ მოსკოვს ვტოვებ. გზაზე არყის ხეებია ჩამწკრივებული და ტალახი მუხლებამდე მწვდება. ცალთვალა ქალი ცდი ლობს ქათამი მომყიდოს, მე კი ტანსაცმელიც კი არ მაცვია.

გერმანელები ერთი გზით მიდიან, მე მეორეთი. რუსები სულ სხვა გზით მიდიან და ისევ ხელს გვიქნ ვენ. მე ხმალი მაქვს და თმის შესაჭრელად გამომადგება. თმა უკვე ოთხი ფუტის სიგრძის გამეზარდა.

* * *

ქალაქი დაეცა. ჩვენ მივედით შეშლილი კაცის დახატული სახლის ფანჯარასთან, ჩამავალი მზე ამაო ბის მიტოვებულ მანქანებს ანათებდა. „მახსოვს," თქვა ვიღაცამ, „ანტიკურ დროს როგორ გადააქცევდნენ ხოლმე მგელს ადამიანად და მერე ლექციებს უტარებდნენ ადამიანური გულის შესახებ".

* * *

მას თავის რომანში პერსონაჟები აერია. სულ დაავიწყდა, ვინ ვინ იყო, ვინ რას წარმოადგენდა. მკვდა რი ქალი სადილზე გამოცხადდა. მეძველმანე უღრანი ტყიდან ჩინურ ხალათში გამოწყობილი გამოვიდა. ი დღეს, როცა მკვლელი ელექტროსკამზე უნდა დაესვათ, მან ყვავილები იყიდა ვიღაც რიტასთვის, რომე ლიც ნაწნავებიანი, სქელსათვალიანი ათი წლის გოგონა აღმოჩნდა... და ა.შ.

ჩემ გამო თითიც არ გაუნძრევია. როგორც თავიდანვე იყო ჩაფიქრებული, მე ვბერდებოდი და სულ უფ რო და უფრო ვჭირვეულობდი, იმ მივარდნილ ქალაქში, რომელსაც ის ყოველთვის აღწერდა, როგორ *„მკვდარს"* და *„ახლოს არაფერთან"*.

* * *

მამაჩემს უყვარდა ანდრე ბრეტონის უცნაური წიგნები. ის ჭიქა ღვინით ადღეგრძელებდა იმ შორეულ საღამოებს, „როცა პეპლები ერთ გრძელ უწყვეტ ძაფს ქმნიდნენ". ან, როცა მე და მამა მოსაფსმელად სახ ლის უკან მინდორში გავიდოდით, მეტყოდა: „აი,ბინოკლები უსინათლო თვალებისთვის". დაქირავებულ სახლში ვცხოვრობდით, სადაც მოხუცებისა და მათი ძაღლების სუნი იდგა.

„აკრძალული ხილის სურნელით გაჟღენთილი უფსკრულის თავზე ფარფატი". შებოლილ ძეხვს რიგრი გობით ვჭრიდით. „მე მიყვარს ამერიკა", ხშირად ამბობდა. მილიონი დოლარის შოვნას იმ ნივთების წარმო ებით ვაპირებდით, რომელსაც სიზმარში წინა ღამით ვხედავდით.

* * *

მე ბოშებმა მომიტაცეს. ჩემმა მშობლებმა დამიბრუნეს.
შემდეგ, ბოშებმა ისევ გამიტაცეს. ისევ დამიბრუნეს.
ასე გაგრძელდა კარგა ხანს.
ერთ წუთს რომ ქარავანს მივყვებოდი და ახალი დედის შავ ძუძუს ენოვდი,
მეორე წუთს, გრძელ სასადილო მაგიდასთან ვერცხლის კოვზით ვსაუზმობდი.
გაზაფხულის პირველ დღეს ჩემი ერთი მამა აბაზანაში მღეროდა, მეორე კი
ცოცხალ ბელურას ტროპიკული ჩიტის ფერებში ღებავდა.

* * *

„ყველამ იცის ჩემი და დოქტორი ფროიდის ამბავი", - ამბობს ბაბუაჩემი.

„ჩვენ ერთი მაღაზიის ვიტრინაში გამოფენილი ერთი და იგივე შავი ფეხსაცმელი გვიყვარდა.

სამწუხაროდ, მაღაზია ყოველთვის დაკეტილი იყო და სულ ეკიდა პატარა აბრა წარწერით: „ბლექები ოჯახში გარდაცვლილია". ან „ლანჩის მერე დავბრუნდები" და რამდენი ხანიც არ უნდა დაველოდებოდი, არავინ მოდიოდა.

ერთხელ ნავასწარი, დოქტორი ფროიდი რა უსირცხვილოდ ეტრფოდა იმ ფეხსაცმელს. ერთმანეთს მრისხანედ შევხედეთ და ჩვენს გზას გავუყევით.

მას მერე აღარასოდეს მინახავს".

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ვიღაც ჩემს კართან მოფლატუნდა ბუზღუნით:
*ჩვენს ბატს ხარშავენ.*
რა უცნაურია. მე უკვე დანა-ჩანგალი მოვიმარჯვე. გულისპირზე ხელსახოციც ავიფარე. თუმცა, თეფში ჯერ ცარიელი მაქვს.
და მაინც, ის ვიღაც კართან ისევ ბუზღუნებს იმ ჰიპოთეტიკურ, სავარაუდოდ მოხარშულ ბატზე, რომელიც, როგორც ამტკიცებს, საზიაროდ გვყავს.

* * *

უამრავ ადამიანს ასეირნებენ მფრინავი თეფშებით.
ალბათ, ამას ვერ დაიჯერებთ, რადგან უთვალავი თეთრი ეკლესიაა
თქვენ ირგვლივ, კვირაობით ხალხით გადაჭედილი.

* * *

ქვა უხარისხო სარკეა. ბუნდოვნად აჩვენებს. შენ ხარ ბუნდოვანი,
თუ თავად ის, ვინ იცის? სიჩუმეში შენი გული ჭრიჭინებს.

* * *

რუსი კანიბალები ინგლისელ კანიბალებზე უარესები არიან?
აბა რა, ინგლისელები გულს გიჭამენ, რუსები - სულს. *„სული უდაბნოს მირაჟია"* . ვუთხარი ანა ალექსანდროვნას. თუმცა მან მაინც განაგრძო ჩემი სულის ჭამა.
*„შემწვარი ბატი არ გიყვართ, ან მოლუსკების პატარა პრიალა კისრები თავისსავე წვენში?"* ვეკითხები მე. ის კი მუცელზე ხელს იტყაპუნებს და მაგიდის მეორე ბოლოდან ეშმაკურად მიღიმის.

* * *

ო, კუდიანებო, ო, სილატაკევ! ის ორნი ალმაცერად მიყურებდნენ ჩიტის გალიის გისოსებიდან, რომელსაც მხრებით ვატარებდი, და ჩემი კისრის დიამეტრს ზომავდნენ...
ისინი, წიგნიდან გადმოსული კუდიანებისთვის მეტისმეტად ახალგაზრდები და ელეგანტურები იყვნენ, ღრმად ამოჭრილი სადღესასწაულო კაბები და შავი, ზოლიანი წინდები ეცვათ, ტუჩებზე სქლად ესვათ წითელი პომადა.
დიდგულიანი ხეები მათ ფოთლებს ჩურჩულით სთავაზობდნენ დახვეულ გზაზე, რომელსაც გაუყვნენ და თვალს მოეფარნენ.
მე კი დავრჩი ჩემი გალიით, იდიოტური ჯამით, კიდევ უფრო აბსურდული ამაოების სარკით, და ძლივს გასაგონად მოწკრიალე ვერცხლის ეჟვნით.

* * *

ოდესღაც ვიცოდი, მერე დამავიწყდა. თითქოს, მინდორში ჩამეძინა და გაღვიძებისას აღმოვაჩინე, რომ ჩემ ირგვლივ ტყე ატეხილიყო.
*„ეჭვი არაფერში შეიტანო, ყველაფრის გჯეროდეს"*. ეს იყო მეტაფიზიკის დედააზრი ჩემი მეგობრისთვის, მიუხედავად იმისა, რომ მისი ძმა მის ცოლთან ერთად გაიქცა. შემდეგი ოცი წელი, ის ყოველდღე ყიდულობდა ცოლისთვის ერთ ვარდს და იჯდა და ამინდზე ესაუბრებოდა.
მე რული მერეოდა ჩრდილში და მესიზმრებოდა, რომ მოშრიალე ხეები ჩემი უამრავი მე იყო და ყველანი ერთდროულად მელაპარაკებოდნენ საკუთარ თავზე ისე, რომ ერთი სიტყვაც არ მესმოდა. მშვენიერი მისტერია, ჩემი ცოლი, ჩვენი ურთიერთგაგების ზღვარზე იდგა. ყოველთვის ზღვარზე! დაფიქრდით ამაზე!
ჩემი მეგობრის ცარიელ სახლში ყველა ფანჯარაში ენთო სინათლე. მის ირგვლივ მრავლდებოდნენ მუქი ხეები.

* * *

უმნიშვნელო პოეტების დრო მოდის. მშვიდობით უიტმენ,
დიკინსონ, ფროსტ. მოგესალმებით მათ, ვისი სახელიც არასოდეს გაცდება
ოჯახს, და ალბათ, სადილის შემდეგ მძიმე წითელ ღვინოზე
შემორჩენილ ერთი-ორ ახლო მეგობარს... ბავშვები წუწუნებენ, რომ
ხმაურობ და ძილს უფრთხობ, როცა მათ ოთახში შედიხარ და კარადაში
გადამალულ ძველ ლექსებს ეძებ, თან შიშობ, ცოლმა ნაგავს ხომ არ გააყოლა.
*თოვს*, ამბობს ვიღაც და ღამეს გაჰყურებს. შემდეგ შენკენ ტრიალდება,
შენ ამ დროს სახე გიწითლდება, რალაცნაირად, ამაღლებულად, თუ
თეატრალურად ემზადები არეულ-დარეული სასიყვარულო ლექსის
წასაკითხად, რომლის ბოლო სტროფიც (შენთვის უცნობი)
უკვალოდაა დაკარგული.
*ალექსანდერ რისტოვიჩის მიხედვით*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მარგარეტ ეტვუდი

დ. 1939

## ქალების რომანები

1.

კაცების რომანები კაცებზეა დაწერილი. ქალების რომანებიც კაცებზეა დაწერილი, მაგრამ სხვა კუთხით. შეიძლება მოიძებნოს კაცების რომანები, სადაც ქალი არ ჭაჭანებს, ალბათ, სახლის მეპატრონის, ან ცხენის გარდა, მაგრამ ვერ იპოვით ქალის რომანს კაცის გარეშე. ზოგჯერ კაცები თავიანთ რომანებში ქალებს უშ... ვებენ, მაგრამ აუცილებლად დააკლებენ ისეთ ნაწილებს, როგორიცაა, მაგალითად, თავი ან ხელები. ქალე... ბის რომანებსაც აკლია კაცის ნაწილები. ზოგჯერ ეს ნაწილები მოიცავს ქიპიდან მუხლამდე მონაკვეთს. ზოგჯერ ეს იუმორის გრძნობის გამო ხდება. რთულია იუმორის გრძნობის შენარჩუნება მოსასხამში, ქარიშ... ხალში, კამათის დროს. ქალები, როგორც წესი, არ წერენ კაცების საყვარელ რომანებს, მაშინ, როცა კაცე... მა სახელი გაითქვეს ქალების საყვარელი რომანების წერით. ზოგიერთებს ეს უცნაურად ეჩვენებათ.

2.

მიყვარს ისეთი რომანების კითხვა, სადაც კაბა მოკრძალებით შრიალებს მთავარი გმირის მკერდზე, თუ, მოკრძალებული მკერდი შრიალებს კაბის ქვეშ. ასეა თუ ისე, კაბა აუცილებლად უნდა ფიგურირებდე... მკერდიც, შრიალიც, და, რაც მთავარია, მოკრძალება. მოკრძალება უპირველეს ყოვლისა, ისევე, როგორც ნისლი, სადაც სულ ოდნავ იკვეთება პეიზაჟის კონტურები. ვარდისფერი გაელვება წყვდიადში, სუნთქვი... ხმა და იატაკზე გასრიალებული ატლასი რაზე მიუთითებს? არა უშავს. ვამბობ მე. არა, არა უშავს.

3.

კაცებს მკაცრი და ძლიერი პერსონაჟები მოსწონთ: მკაცრი კაცებთან და ძლიერი ქალებთან. ზოგჯერ მთავარი გმირი ქალთან სირბილეს იჩენს, რაც ყოველთვის შეცდომაა. ქალებს არ უყვართ ძლიერი და მკაცრი ქალი პერსონაჟები. ისინი მკაცრები და რბილები უნდა იყვნენ. ამას ლინგვისტურ სირთულეებამდე მივყავართ. ბოლო რომანებში მხოლოდ მცრემარცვლიანი კაცები შემხვდნენ, მართალია, ისევ დომინან... ტები, მაგრამ ძალიან მალე იკარგებოდნენ ბაგისმიერი მრავალმარცვლიანობის მკლავებში და აბლაბუდი... სინაზით ჩურჩულებდნენ: *ძვირფასო, ძვირფასო.*

4.

კაცების რომანებში აღწერილია გზა ძალაუფლებისაკენ. მკვლელობა და ა.შ., ან გამარჯვება და ასეთი რამეები. იგივე ხდება ქალების რომანებშიც, ოღონდ, მეთოდებია სხვადასხვა. კაცების რომანებში, კაცები ქალის, ან ქალების, და ძალაუფლების მოპოვებისთვის ერთდროულად იღწვიან. ეს ტრაბახია და არა მე... თოდი. ქალების რომანებში, კაცის მოპოვებით, ძალაუფლებასაც მოიპოვებ. კაცია ძალაუფლება. მაგრამ აქ სექსი ვერ გიშველის, კაცს უნდა უყვარდე. როგორ გგონიათ, რა საჭიროა მთელი ეს დაჩოქებები ქალის ფაშფაშა კაბის კალთასთან, სპარსულ ხალიჩაზე, სხვების თანდასწრებით? როცა დეკორაცია არ არსე... ბობს, ვერბალიზაციაც საკმარისია. სიყვარული. შენ, მანდ, შეგიძლია უკვე წამოდგე, ნუ გეშინია, სიყვა... რულს არ მოუკვლიხარ. თუ უკვე მოგკლა?

5.

სურვილი აღარ მაქვს, ნაღვლიანი რამეები ვიკითხო. არც არაფერი ძალადობრივი, ან შემაწუხებელი, მსგავსი აღარაფერი. არავითარი დასაფლავება წიგნის ბოლოს, თუმცა, შუაში კიდევ შეიძლება. თუ სი... ვდილი აუცილებელია, მაშინ მკვდრეთით აღდგომაც უნდა იყოს, ან, სამოთხე მაინც, ხომ უნდა ვიცოდეთ, იქ რა ხდება. დეპრესია და გაჭირვება მათთვისაა, ვისაც ჯერ ოცდახუთი არ შესრულებია. ისინი აიტანენ, მოეწონებათ კიდეც, და თანაც, საკმაოდ დიდი დრო აქვთ. მაგრამ რეალური ცხოვრება ცუდად გექცევა, თუ ხელს დიდხანს არ გაუშვებ, სახეზე დაგაყრის და გონებაც დაგისუსტდება. დაბრმავდები. მე ბედნიერე... ბა მინდა, თანაც გარანტირებული, ირგვლივ მხოლოდ სიხარული, გადასაფარებლები, რომლებზეც მე... დები და პატარძლებია ამოქარგული, ჭკვიანი გოგოები, მაგრამ არც მეტისმეტად ჭკვიანები, კარგი კბილე... ბითა და შიგნეულობით და თანაბარი ზომის ძუძუებით, და არავითარი ჭარბი თმით, ვიღაც, ვისაც ენდობი, რომელმაც იცის, სადაა ბინტები და დოლბანდები, და იმ პერსონაჟს, იმ პოტენციურ გარყვნილსა და მკვლელს, მოწესრიგებულ, მდიდარ მემამულედ აქცევს, სუფთა ფრჩხილებითა და სწორი ლექსიკით: ყო... ველთვის - აი, რა უნდა თქვას. *მუდამ.* მე აღარ მინდა ვიკითხო წიგნები, რომლებიც არ მთავრდება სიტყვით *მუდამ.* მე მინდა, თვალებს შორის ხელი გადამისვან, ოღონდ მხოლოდ ერთი მიმართულებით.

6.

ზოგი ამბობს, რომ ქალის რომანი არის რაღაც, სადაც არაა პოლიტიკა. ზოგი ამბობს, რომ ეს არის რა... ღაც, რაც ურთიერთობებს ეხება. ზოგი ამბობს, რომ ამ რაღაცაში უამრავი ოპერაციაა. სამედიცინოს ვგულისხმობ. ზოგი ამბობს, რომ ის რაღაც არ მოიცავს დღევანდელი დღის პანორამულ ხედვას. რაც შემე... ხება მე, ისეთი რამ მინდა, რასაც ჟურნალების მაგიდაზე დატოვებ და დიდად არ ინაღვლებ, თუ ბავშვები გადაშლიან. და გგონიათ, რომ ეს არაა რეალური საზომი? ცდებით.

7.

*მას გარეული ფრინველის დამფრთხალი თვალები ჰქონდა.* ასეთ წინადადებას ჭკუიდან გადავყავარ... როგორ მინდა, ასეთი წინადადებების წერა უხერხულობის განცდის გარეშე შემეძლოს. როგორ მინდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უხერხულობის განცდის გარეშე შემეძლოს მათი კითხვა. ვიცი, ეს ორი მარტივი რამ რომ შემეძლოს, ჩემთვის დედამიწაზე გამოყოფილ დროს ხავერდში შეფუთული მარგალიტივით გავატარებდი. *მას გარეული ფრინველის დამფრთხალი თვალები ჰქონდა.* კი, მაგრამ, რომლის? ალბათ, ჭოტის, ან გუგულის. განსხვავება დიდია. საკუთარი ნარმოსახვის ასეთი ზუსტი გამოხატვა საჭირო აღარაა. როცა ვინმე ნაიკითხავს: *ჭურჭიკივით სხეული,* აუცილებლად გაახსენდება ნანლავური პარაზიტები და ზოოპარკები და სიმყრალე.

*ქალს გააფთრებული მხეცის გამოხედვა ჰქონდა,* ვკითხულობ წიგნში: წიგნს გვერდზე უხალისოდ ვდებ, ცერა თითი კი ისევ იმ ემოციურ ადგილას მიდევს. სადაცაა, კაცი მკლავებში მომწყვდეულ ქალს გასრესს, ქალის ტუჩებს თავისი ცხელი, ხარბი, მყარი, მომთხოვნი ტუჩებით აწვება, ქალის დაჭყლეტილი მკერდი კაბიდან კი ხტება, მაგრამ მე უკვე კონცენტრირება მიჭირს. მეტაფორა ქეჩოთი გაურკვევლობისკენ მიმათრევს და წინ მთელ ედემის ბაღს მიშლის. მაჩვები, სინდიოფალები, ტახები და სკუნსები, თავისი მგლოვიარე, თუ ღვარძლიანი, თუ ავი, თუ სათუთი თუ სევდიანი თუ ღორული თუ მზაკვრული გამოხედვით. აგონია, როცა ვხედავ, რომ რომანტიკული ჟრუანტელი ისე თრთის, როგორც შავფრთიანი პეპელა, რომელიც სადღაც, გადამწიფებულ ატამში ჩაეფლო და ვერ გადაყლაპა, თუ ვერ გააგორა. კი, მაგრამ რომელი ატამი? ვებუტბუტები უტყვ ჰაერს. რომელი პეპელა?

## რაიმონდ ჩანდლერზე შეყვარებული

რა ბედნიერება იქნებოდა რომანი რაიმონდ ჩანდლერთან! არა დაჩეხილი სხეულების, ან დამარინადებული პოლიციელების, ან ექსცენტრიკული სექსის, არამედ ავეჯის სიყვარულის გამო. მან იცოდა, რომ ავეჯი სუნთქავს, გრძნობს, არა ისე, როგორც ჩვენ, არამედ, უფრო დახშულად, ისე, როგორც ჟღერს სიტყვა გადასაკვრელი*მასალა*, თავისი შმორისა და მტვრის ნახევარტონებით, ძველ ქსოვილზე მზის სხივით განათებული თაიგულით, ან ოფისის სკამების საზურგეზე გადაცრეცილი ტყავით. მახსენდება მისი სასტიკი მკვლელობის მსხვერპლი, ციეი, უსხეულო ქალების თვალებივით მქრქალი ცისფერი სატინით გადაკრული, სიმრგვალეებში გაცვეთილი ტახტები, გული ისე ნელა რომ უცემთ, როგორც ნიანგებს ზამთრის ძილის დროს. მახსენდება მისი ზოზინა საფოსტო ეტლები და ავსული ბალიშები... მან ყველაფერი იცოდა გაზონების, მწვანე სახლების და მანქანების ინტერიერის შესახებაც.

აი, როგორ ნარიმართებოდა ჩვენი რომანი: შევხვდებოდით რომელიმე სასტუმროში, ან მოტელში, ძვირფასსა თუ იაფასიანში. შევიდოდით ნომერში, ჩავკეტავდით კარს და ავეჯის კვლევას დავიწყებდით, ფარდებს დავათვალიერებდით, სურათის, ვითომ ოქროთი მოვარაყებულ ჩარჩოებსა და აბაზანაში, ნებოვანი თუ გაკრიალებული ნიჟარის აქა-იქ ამოტეხილი მინანქარის, თუ ნამდვილი მარმარილოს პირს ხელს გავაყოლებდით; ხალიჩებზე დარჩენილი სიგარეტის, დაღვრილი ჯინის, ნაჩქარევი სექსის, ინგლისიდან იმპორტირებული, ოვალური, გამჭირვალე საპნის მძაფრ სურნელს ჩავისუნთქავდით თუ სხვა რამეს, ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა არ ექნებოდა. მნიშვნელოვანი იქნებოდა მხოლოდ ჩვენი დამოკიდებულება ავეჯთან და ავეჯის პასუხი ჩვენდამი. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ავეჯს ჩავისუნთქავდით, შევეხებოდით, გავეხახუნებოდით, შევისრუტავდით და ზედ გადავუფრენდით, მე და ჩანდლერი ერთმანეთს მკლავებში მოვიმწყვდევდით და საწოლზე (სამეფო ზომის? ატმისფერი? ჭრიალა? ოთხბოძიანი? მოჩითულსაბნიანი? ღია მწვანე ხაოიანზენრიანი?) დავეცემოდით, უკვე მზად, ერთმანეთის ზუსტად იგივენაირად გამოსაკვლევად.

## რობერტ ჰასი

**დ. 1941**

ამბავი სხეულის შესახებ
ახალგაზრდა კომპოზიტორი იმ ზაფხულს ხელოვანთა ბანაკში მუშაობდა.
ქალს ერთი კვირა შორიდან უყურებდა - იაპონელი მხატვარი იყო, ასე,
სამოც წლამდე, - და გრძნობდა, რომ უყვარდა. მას მოსწონდა
ქალის ნახატები. ქალი ისე ნატიფად ხატავდა, როგორც საკუთარ სხეულს დაატარებდა, ხელებს ამოძრავებდა, მას უყურებდა, იცინოდა, თუ მის
შეკითხვებზე პასუხს ეძებდა.
ერთ ღამეს, როცა კონცერტიდან ბრუნდებოდნენ, ისინი ქალის კოტეჯთან
მივიდნენ და ქალი მიუბრუნდა და თქვა, *„მგონი, ჩემთან დაწოლა გინდათ.*
*მეც მინდა, მაგრამ უნდა გითხრათ, რომ ორმაგი მასტექტომია გამიკეთეს"* . და
როცა მან ვერ გაიგო, „ორივე ძუძუ დავკარგე". ის ციალი, რომელსაც ის მუცლისა
და გულმკერდის ღრუში დაატარებდა, მუსიკის მსგავსი, მაშინვე ჩაქრა, მაგრამ
მაინც მოახერხა და ქალს პირდაპირ შეხედა, როცა თქვა, „ძალიან ვნუხვარ. მგონი
ვერ შევძლებ". ის თავისი კოტეჯისკენ გაემართა და დილით, ნახა, რომ მის კართან
თასი იდგა. თასში ჩანდა ვარდის ფურცლები, მაგრამ როცა ხელში
აიღო, ვარდის ფურცლები მხოლოდ ზედაპირზე აღმოჩნდა, მის ქვეშ კი, -
ქალმა ალბათ თავისი ოთახის კუთხეებში მოაგროვა - მკვდარი ბუზები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ჯეიმს თეიტი

1943 – 2015

### არასწორი გზა სახლისკენ

მთელი ღამე მიჰყვებოდა კარი მდინარეს.
ცდილობდა, თავისი წინა ცხოვრებიდან სასიამოვნო
მომენტები გაეხსენებინა: როგორ ეყრდნობოდნენ
შეყვარებულები, საათობით კოცნიდნენ ერთმანეთს და
იმ ცნობილ სიტყვებს ჩურჩულებდნენ. მოგვიანებით,
უხეში სიტყვებიც გაჩნდა, ფეხსაცმელსაც ესროდნენ და
აჯახუნებდნენ კიდეც. ათასობით ნასვლა-მოსვლა,
დილით ადრე და გვიან ღამით. წლები და წლები.
იმდენი გეგმა ჰქონდათ, რომ კონებად კრავდნენ.
კარი ძილში კუნძულივით ნანაობდა,
მთვარემ სულ ოდნავ გადაატრიალა სახელური,
თითები დაეწვა და გაიქცა. კარმა არაფერი თქვა
და ძილი შეიბრუნა. ალბათ ესაა, რისი თქმაც უნდათ
პატარა თევზებს და დანარჩენებს.
სადღაც შორს, ზარი გაისმა, და გაისროლეს.

### კარზე კაკუნია

ისინი მეკითხებიან, ქვეყნის დასასრულზე თუ
მიფიქრია. და მე კი ვამბობ: *„შემოდით, შემოდით,
ვისაუზმოთ ღვთის გულისათვის“*. ორი-სამი ლუკმის
მერე სიკვდილის მერე ცხოვრებაზე იწყებენ ლაპარაკს.
„უი“. ვამბობ მე. „იმ მუხლუხოს ხედავთ?" შემდეგ სულის
ხსნაზე საუბრობენ და იმ რჩეულებზე, რომლებიც უფლის
გვერდით სხედან. „რას აკეთებენ," ვეკითხები მე. უბრალოდ სხედან?“
გულანთებული ზომბებით ვარ გარშემორტყმული. „მოდით, ლიმონის ღვეზელი
ვჭამოთ, გუშინ ძაღლის N3 საცხობში ვიყიდე. მაგრამ მათ ჩემს
სულზე უნდათ გასაუბრება. უკვე თვალები მებლიტება და პეპლები მელანდება.
„ხომ არ წაგვეძინა, ბატონებო? მე ძალიან მეძინება“. ვამბობ. დგებიან
და მიდიან. კარს აღებენ და ჩემი მეზობლისკენ მიემართებიან.
შავი ღრუბლები გროვდება მათ ზემოთ და თავად,
აღსასრულის გარეშე, ვერაფერს ხედავენ.




## ენე კარსონი

დ. 1950

### მოკლე საუბრები: ჰედონიზმის შესახებ

სილამაზე სასოწარკვეთილებაში მაგდებს. უკვე
აღარ მანაღვლებს, რატომ. უბრალოდ გაქცევა მინდება.
როცა ქალაქ პარიზს ვუყურებ, სურვილი მკლავს,
ფეხები შემოვახვიო. როცა ვხედავ,
როგორ ცეკვავ, ცივ, თვალუწვდენელ
სივრცეში ვხვდები, როგორც მეზღვაური,
მკვდარ, გაშლილ ზღვაში. ატამივით მრგვალი
სურვილები ჩემში მთელი ღამე ყვავის და
იმათ, რომელიც ძირს ცვივა, აღარ ვაგროვებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### მოკლე საუბრები:
### იმაზე, თუ სად ვიმოგზაუროთ

მე ვიმოგზაურე ადგილის ნამსხვრევებში.
ვნახე სამი ნახევრადღია ჭიშკარი და მომძვრალი
ღობე. სხვა რამის ნამსხვრევი
არ მინახავს. ადგილი მივიდა იქ და კატასტროფა
განიცადა. იქ დარჩა ადგილის
კატასტროფის ადგილი. სინათლე დაეცა მასზე.

### მოკლე საუბრები:
### Le Bonheur D'Etre Bien Aim e -ს შესახებ

დღე დღეს მისდევს, და, როგორც კი ვიღვიძებ, შენზე
ვფიქრობ, ალბათ ვილაცამ ჰაერში ჩიტების ხმები
ჩამოკიდა, სამკაულივით.

### მოკლე საუბრები:
### უკან-უკან სიარულის შესახებ

დედა უკან-უკან სიარულს გვიკრძალავდა. ასე
მკვდრები დადიანო, გვეუბნებოდა. საიდან მოიტანა? ალბათ
არასწორად თარგმნა. მკვდრები, საერთოდ,
უკან-უკან კი არა, ჩვენს უკან დადიან. მართალია, ფილტვები
არ აქვთ, და ვერ დაგვიძახებენ, მაგრამ ძალიან უყვართ,
როცა უკან ვიხედებით. უმეტესობა სიყვარულის
მსხვერპლია.

### მოკლე საუბრები:
### დეფლორაციის შესახებ

ცხოვრებაში არც ისე ბევრს ვმოძრაობთ.
შესვლა, ნასვლა, საიდუმლოში შეღწევა
ოქროს ხიდის გადავლა, და როცა შენ პატივი
ამყარე, ეს პატივის აყრა მოძრაობაში ვნახე.
ეს მოხდა ვენეციაში. ამას ხმის იოგების დასიება
სცოდნია, მე მოვედე მთელ ვენეციას, ხიდებს ზემოთ და ხიდებს
ქვემოთ, მაგრამ უკვე წასული დამხვდი. საღამოს,
შენს ძმას დავურეკე, მან კი, *რა მოგივიდა ხმაზე?*
მკითხა.

## ფრანც რაიტი

**1953 – 2015**

### დანის პირი

თუ დიდხანს ვუყურებ, დადგება ნამი, როცა მის სახელს ველარ გავიხსენებ, ესაა მდგომარეობა, როცა ადვილად ჩნდება ჭრილობა, ზუსტად ისე, თითქოს რაღაც უნებურად წამოგცდაო, როცა შესაძლებელია, წყლის ჭიქაში სისხლის ერთი წვეთი აზვირთდეს, ხავერდოვანი აფეთქებით აყვავდეს და გაიშალოს უფერო, უგემო, და უმიზეზო შიშად, რომელშიც ვიღვიძებ.

### სახლი შობაზე

თხუთმეტი წლის შემდეგ ქალაქის ციხის ბებერი მცველი ისევ პოსტზეა, მაგრამ სამწუხაროდ, ტვინი ძველებურად აღარ უჭრის და არასწორ მიმართულებებს აძლევს.

დავრეკე, მითხარი, რას ფიქრობ? თვალის დახამხამებაში მანქანას დაუჯერებლად პატარა, ჩაბნელებული სახლის წინ ვაჩერებ. თითს ფოთლებში ჩამალულ ზარს ვაჭერ. არაფერი. რამდენიმე საათი გარს

ი 143/42



ეროვნული ბიბლიოთეკა

ვუყვლი სახლს, და, ვერ ვიტან როცა მე გეუბნები ამას, მაგრამ სახლში, ზანესვილში, არავინაა. იქ ჩემი
მტვრიანი კბილის ჯაგრისი მელოდება, მტვრისგან დაბინდულ სარკეში კი ჩემი ყმაწვილობის სახე მელის.
ახლა, უკვე უნდა შევანუხო მტვრის ნატიფი თოვლი, რომელიც უკვე წლებია განუწყვეტლივ ეცემა ჩემს
საბანსა და თმაზე, ჩავიცვა მტვრით დაფარული ტანსაცმელი, უხმოდ ვიარო ჩამშვიდებულ ჰოლში და კი-
ბეზე ჩემი სამუდამო მთვარეული ნაფეხურები დავტოვო.

რა თქმა უნდა, ეს არ მოხდება ხვალეე. მაგრამ ამ დღეებში აუცილებლად მივალ. ჩავალ და
მამას გვერდით მივუჯდები. მოხუც მამას, რომელიც მკაცრად საუბრობს და იქ არასოდეს ყოფილა. წა-
ვალ, დავჯდები და შევჭამ ერთ თეფშ მტვერს, და სხვა ყველაფერს.

## იმაგო

### ზრდასრული მწერი

ჩემი საკნიდან ღრუბელი, ტყეში გახრწნილი ძაღლი და ა.შ., მოჩანდა, როცა დიდი
ხნის წინ მიტოვებულ აღსარებას მივუბრუნდი. ამ დროს ჩემი ხელი უკვე ისე შორს
იყო წასული, რომ პატარა, უთმო ობობას ჰგავდა. თვალის კუთხიდან ვაკვირდებოდი,
ფურცელს ფურცელზე როგორ ავსებდა. წერდა საფოსტო მარკის ზომის რვეულში და
ისეთი პაწაწინა ასოებით, რომ ვერავინ წაიკითხავდა. ზემოთ ავიხედე, საკნის გისოსები
ოქროდ ქცეულიყო. და ვიდრე დამავიწყდება, მინდა პირველმა მივულოცო ყველას,
ვისაც აქამდე თვითმკვლელობა არ ჩაუდენია. შენიღბულო და მუქჩამქრალო ადამიანებო, სამყარო ვერა-
სოდეს გაიგებს თქვენს სახელებს, არასოდეს ეცოდინება, რა ვალშია
თქვენთან, ან როგორ დაიტანჯეთ, რა უდრტვინველად გაიღეთ ყველაზე ძვირფასი,
ის, რაც ყველას გაერთიანებთ - შეგრძნება, რომ ყველასგან აბსოლუტურად
განსხვავებული ხართ - ის გაქრა, როგორც კი სექსუალური სიმწიფე და ფრთები შეიძინა.
ეს მშვენივრად იცოდით, მაგრამ არავისთვის გითქვამთ. ჩვენ სიკვდილს სიცოცხლეს
ვეძახდით და სიცოცხლეს სიკვდილს.
თქვენ იხილეთ სხვა სამყარო, და ის ზუსტად ისეთივე იყო, როგორიც ეს სამყარო.
აი, ამას კი ყველას ეუბნებოდით, ვიდრე ვიღაცამ ზრდილობიანად გაჩუმება არ
გთხოვათ. და ამინდი? - ამინდს იმ სიტყვებით ველარ აღწერთ, რაც აქამდე იცოდით.
ალისფერი შიშები ჩემს მოკრძალებულ დაკრძალვაზე ჩასამწკრივებლად
ემზადებოდნენ და თავისუფლად ფუთფუთებენ ჩემს სხეულში. შემდეგ, ამინდი
გაქრა. ვერ აღგიწერთ ეს რა ბედნიერებაა. ამ დროს მე გარიჟრაჟის ვარსკვლავებს ეუყურებდი. დღისი-
თაც და ღამითაც მათ გავცქერი, რადგან მგონია, რომ ისინი ახალგაზრდავდებიან, როცა მე ვკვდე-
ბი. ერთხელ მოდით და მითხარით, რას
ფიქრობთ ამაზე. წამების, მაგალითად საშინელი ლუტუნის დროს, მგონია, რომ
მართლა კარგი კვერცხი ვარ ცხელ წყალში. ოჯახური ეპიგრაფი უხეშად რომ ავხსნა,
ამბობს - აპრილის ჯადოქრებს მაისის ქარბუქი მოაქვთ. ერთ დღეს, საკუთარი თავის განსახიერება
ფუჭი, მაგრამ უფრო მონდომებული მცდელობის შემდეგ, ჩვენც
გაგვიგებენ. მაგრამ, ფუქსავატობის დრო არაა ახლა, როგორც აღმოჩნდა, ჩვენ
მნიშვნელოვან, ძილისწინა სამკურნალო კოცნაზე ვსაუბრობთ. ამ დროს, ტრადიციულად, გამოკეტი-
ლები ვართ საგიჟეთში, რომელიც თავისი სახელოვანი ჯგუფითაა ცნობილი.
თუმცა, ამ ბოლო დროს, მარად უცვლელმა, სამთავრობო სტრუქტურების საიდუმლო სოციალისტურ-
მა ელემენტებმა იზრუნეს და როგორც ჩანს, ჰუმანურობის მარცვალმა
მიაღწია იმათთანაც კი, ვინც ოდესღაც წმინდა დარბაზებს ჩვენი განავლით და
ნარწყევით სვრიდა.
აი, რას ვგულისხმობ:
იქ გატარებული შედარებით ცოტა ხნის შემდეგ, ჩვენ გვათავისუფლებენ შეშლილი
ექიმების, ან სხვათა ლოცვის თანხლებით, (რომელიც წარმოადგენს მათი შვებისა და
ზიზღის ნარევს) და თვალით საიდუმლოდ გვანიშნებენ, რომ მილვაუკის ნებისმიერ კინოთეატრში მთე-
ლი წელი უფასოდ შეგვიშვებენ. ჩვენ გვიყვარს თავშეყრა ყოველდღე,
ავდარსა თუ დარში, და ცოფიანებივით ვიკრიბებით პიკნიკზე, იმ მაღალი, არამყარი,
სანთლისმუქიანი ფიჭვების ქვეშ, სადაც ვერც ჩრჩილი აღწევს, ვერც ჟანგი, და ვერც კივილი, ვყვებით
უწმაწურ ამბებს და ერთმანეთს ულმრთო გარყვნილების ზღვარზე
ვატარებთ. ყველანი ვიღებთ ჩვენს მშვენიერ ინექციას ოკეანის ძალიან მშრალი
მარტინიდან, რომელიც ვერმუტის ორი წვეთის ფასია დავიწყებულ სიზმარში.

# აქ შეიძლება ყოფილიყო თქვენი რეკლამა

ტელ: 577 747-719
ელ-ფოსტა: info@arilimag.ge


